

652 /
1976/3

646
ՀԱՅԿԵՆԻ
ՆՈՅՆՈՒԹՅՈՒՆ

ԿՐԻՍՏՈՍ

1

9

7

6

5 ✓

„დედა ენა“ ანი წლისა

ფ. ხალვაში — „დედა ენა“ — ჩემი მასწავლებელი და მეგზური	5
ნ. მალაფონია — დედა ჩემი, ენა ჩემი	7
ალ. გობრონიძე — ქართული ენის საბანძური	86

კოეზია, კროზა

13478

მ. სულაბერიძე — გუნების კოეზია ლექსი	11
მ. ვარუანიძე — ჩემი დედუ- ლეთი ქრონიკები	13
ზ. ზოიძე — ლექსები	39
ჯ. ჯაყელი — მარბალიტიბი ნიშარაში მოთხრობა	46
დ. თაღორაძე — ლექსები	61

ნარკვევი

ჯ. ხოფარია — მიბარჯა	66
--------------------------------	----

მ ი ლ ო ც ვ ა


მამია ვარუანიძე იი წლისა	95
------------------------------------	----

**ლიბერატურულ-მხატვრული და
საზოგადოებრივ-პოლიტიკური
შურნალი**

**საქართველოს საბჭოთა
მწიგნობის კავშირისა და
აჭარის განყოფილების
ორგანო**

ბ ა თ შ ი — 1976

სიძებნები — ოქტომბერი



რედაქტორი ა. შონია

სარედაქციო კოლეგია: ხ. ახვლედიანი, მ. ვარშანიძე (პ. მგ. მდივანი),
პ. ლორია, ალ. ჩავლეიშვილი, ფრ. ხალვაში.

რედაქციის მისამართი: ბათუმი, ენგელსის ქ. № 21.
ტელეფონი — 3-33-71.

ხელმოწერილია დასაბუქდად 12.10.76, საბუქდი თბაჩი 6, საგამომცემლო 5.
შეკვეთის № 4329, ემ 01267 ქალაქის ზომა 60×90¹/₁₆, ტირაჟი 2.040.

* * *

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა
და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის აჭარის პოლიგრაფიული
საწარმოო გაერთიანება, ბათუმი, ლექსემბურგის 20.

„დედა ენა“



„დედა ენა არის ძვირფასი საღარო, დაუსრულებელი რვეული, რომელშიაც დაცულია მთელი სიმდიდრე ხალხის ქონებისა, ფანტაზიისა და გულისა, ნაფიქრისა, ნაგრძნობისა, ნამოქმედარისა და რომლის შესწავლა ბავშვს აკავშირებს მთელის ერის სულთან და გულთან, მის ხანგრძლივ ისტორიულ ცხოვრებასთან და ავსებს მას სულიერის ღონითა და მხნეობით“.

თაკობ კოკებაძეილი

ო, ენავ ჩემო,
დედაო ენავ,
შენ, ჩვენო ნიჭო,
სრბოლავ და ფრენავ,
შენ, ჩვენი სუნთქვის დიდო ალამო,
შენ, ზირთა ჩვენთა ტკბილო მალამო,
შენ, კირო ჩვენთა ჰვათა და კირთა,
შენ ერთი უმგობი სამარის კირთან.

შენ, აკვნის ჰიენო,
ცრემლო სამარის...
იგერის ენავ,
ენავ თამარის...
შენ, ნიჭო ჩემო,
სრბოლავ და ფრენავ,
დედაო ენავ, დედაო ენავ!

ირაკლი აბაშიძე.

„დედა ენა“ -- ჩემი მასწავლებელი და მეგობარი

მახსოვს, პირველად რომ ჩვენს სახლში წიგნი „დედა ენა“ შემოვიდა. სოფლელი ბავშვები, ჯერ კიდევ, ნაკლასევს მედრესეშიც უნდა მივსულიყავით ხოჯასთან, ისლამური ლოცვისთავეების საკითხავად.

სკოლის მერე, მედრესეში რომ მივიდოდით, „დედა ენას“ ფეხსაცმელივით გარეთ ვტოვებდით; ხოჯასთან შეტანა ცოდვად ითვლებოდა.

მე ჩემი უფროსი და-ძმების ნახმარი „დედა ენის“ დაქლეტილი წიგნი მერგო. ისე ვუვლიდი, ისე მიყვარდა, გარეთ დასატოვებლად ვერ ვიმეტებდი. ხშირად ხალათქვეშ ვმაღავდი. ერთხელ ხოჯამ პერანგის განახვიდან შენიშნა მუცელზე მიკრული წიგნი და უმაღლე უბიდან ამომავლიჯა, გარეთ გაისროლა და მეც წყევლით თან მიმავალა.

ამის შემდეგ აღარასოდეს მედრესეში აღარ მივსულვარ.

საქონელს რომ ზეგნის საძოვარზე გავრეკავდი, საგზალთან ერთად წიგნსაც წავიღებდი. ვიწყე მთის მოღზე, წინ გადაშლილი „დედა ენა“ მედო და მშობლიური ანბანით გონგახსნილს საყვარელი მთავორების ლურჯი სამყაროც ამ წიგნის გაშლილი ფურცლები მეგონა.

ერთხელ, წვიმაში კლდის თაროზე შეფარებული წიგნი საქონლის წამოსხმისას იქ დამრჩენოდა. ღამით, შინ გამახსენდა. ავწუწუნდი.

რა გაფლოკინებსო, გამიჯავრდა ყანიდან მოსული დაღლილი მამა.

თიკანი დავკარგე, თავიდან ვერ გავიმხილე, ახლა ტყეში მარტო როგორ წავიდე-მეთქი.

დამიჯერა, შეწუხდა. კვარი ანთო და წინ გამიძღვა. კლდის ქვეშიდან რომ წიგნი გამოვიღე, უნებურად წამოვიძახე, ვიპოვე-მეთქი. გაჯავრებული მამაჩემი მოღბა, მაპატიო სიცრუე და წყენით მითხრა:

— შენ მამაძაღლო, თიკანი მაგ წიგნზე ძვირფასია თუ?.. სიმატლე გეთქვა.

შემდეგ, როცა კითხვა გამართულად ვისწავლე, დედაჩემი და სიხარულს ველარ ფარავდა. წიგნს დართულ სქელი ფურცლები რადად დასტამბული დიდრონი ქართული ანბნები მაკრატლით გამოჭრა, ძაფზე ლამაზად აასხა და სამკაულივით ყელზე შეიბა.

ცხოვრების სიმწიფეში შესულნი ხშირად ვახსენებთ ხოლმე ჩვენს საუკეთესო მასწავლებლებს. მეც შემიძლია მათი მოგონება, დასახელება.

მაგრამ ყველაზე პირველი დიდი ჩემი მასწავლებელი და მეგზური წიგნი „დედა ენა“ იყო.

მადლობა შენ და უკვდავება შენ, ენავ მშობელო! შენ, მადლიანო „დედაენავ!“

ოქტომბერი, 1976

ნასვორი მარაზონი

დედა ჩემი, ენა ჩემი

მამაჩემი, ეს უწიგნური კაცი, დღესა და ღამეს ასწორებდა, რომ მრავალშვილიანი ოჯახი შეენახა, ხუმრობა ხომ არ იყო: სუფრას ჯერზე ათი-თერთმეტი ვუსხედით.

დედამ ხარის ბეჭზე ნასწავლი წერა-კითხვა იცოდა. „ღრეფილობა და დაფის ყიდვა ვის შეეძლო!“ — იტყოდა ხოლმე.

უფროსი ვაჟებიდან ორი მოჯამაგირეობდა, მაგრამ ძირითადად მხოლოდ თავს ირჩენდნენ. მომდევნო ორი ბიჭი ოჯახში მუშაობდა. ქალიშვილი დედასაც ეხმარებოდა და ყანაშიც გვშველოდა. ჰოდა, მათ სკოლისთვის ვინ მოაცილიდა! რაც მთავარია, ისინი ჯანიერი იყვნენ.

„თლა უსწავლელი ოჯახი რაფერ შეიძლება?!“ — დარდობდნენ მშობლები.

და ჯერი ჩემზე მიდგა, ვინაიდან ჩემი უმცროსი ჯერ ბატარა იყო. მე „ხელს მიწყობდა“ ისიც, რომ მალარიას დაჯანბნებული ვყავდი. ჩემთვის ქინა-ქინა ზანდუკში ჰქონდათ. ამ გარემოებას ისიც დაემატა, რომ ბავშვებში ფიზიკურად ყველაზე სუსტი, უფრო ეშმაკი, ცელქი და მოხერხებული, სიმღერისა და ლექსის მოყვარული ვიყავი.

დედა ხალხური მოქმელი იყო, ციებიანი იწვა და სიმღერით ლექსობდა. ჩემს მეტი ახლოს არავინ ჰყავდა. მე ვუსმენდი, წყალს ვალეგინებდი და საბნებსაც ვახურავდი. ამიტომ დედაჩემის სიმპათია ჩემს მხარეზე იყო. და „ნასწავლობის“ იდეაც ამ გარემოებამ წარმოშვა ოჯახში: ფიზიკურად სუსტმა უნდა ისწავლოსო.

და 1900 წლის სექტემბრისათვის ოჯახის ყველა წევრი ჩემს მზადებას შეუდგა.

დედას ეხერხებოდა ქალამნის ამოსხმა. ოჯახში ყველა „მოკოპილ“

ქალმანს იცვამდა. მაგრამ მე „მეგრული“ შემიკერა (მეტი ტყავი იხს-
ჯებოდა), ძველი კაბის კალთისაგან ჩანთა გამომიჭრა და ბაზრისთვის მო-
ემზადა. ერთ პარასკევს დედამ ყველი წაიღო ოზურგეთში, გაყენეს
ლმისტარი, ორი კალამი, ერთი ფანქარი, სამელნე და ჩალამკალამი მო-
მიტანა.

პირველ სექტემბერს ასე მომზადებული, ახალდაბანილი, თმაგაკრე-
ჭილი შევხვდი. ამ დღეს დედამ თავისი ხელით გადამკიდა ჩანთა, შიგ
ჩამილაგა ნაყიდი სასწავლო ნივთები, ჭიშკრამდი მიმაცილა, სამჯერ წალმა
შემომამბრუნა და მამაჩემს გადამცა.

— ა, კაცო, კარგად შეხედე ერთი, ბალანაი ბალანას გავს: ჩაცმული,
დახურული (დახურული კი არ ვიყავი!)... მიიყვანე და მასწავლებელს
ჩააბარე. ჰო, არ დაგავიწყდეს „დედაინა“ (ასე უძახოდნენ ჩვენში). ფული
ხომ გაქვს?

მე უჩვეულოდ დადინჯებული გადავედი ეზოდან და სკოლაში მიმა-
ვალ მეზობელ ბავშვებში გავერიე.

ახალგაზრდა მასწავლებელმა ივანე კიკვაძემ თავზე ხელი გადამისვა,
სახელი და გვარი მკითხა; პასუხი მომიწონა „ყოჩაღი ბიჭი ყოფილხარო“
და, როგორც ტანად პატარას, წინა მერხზე მიმიჩინა ადგილი. მეც ერთ
გოგონასთან დავჯექი და ისე დაირეკა ხარი, რომ ადგილიდან არ დავძ-
რულვარ.

მამას წიგნის საფასური მასწავლებლისათვის მიეცა და შინ წასული-
ყო.

მასწავლებელმა სიაში ამოგვიკითხა ყველა და ყურნალი დახურა.

მერე დაიწყო წიგნის დარიგება. გამოირკვა, რომ ფული ყველას შე-
მოეტანა და არცერთი ბავშვი უწიგნოდ არ დარჩენილა.

ბავშვებმა ლაპარაკი შევწყვიტეთ. წიგნის ფურცლების შრიალი ის-
მოდა. ხანდახან ზოგიერთი შეიძახებდა სიხარულით და მეზობელ ბავშვს
რომელიმე ნახატს უჩვენებდა.

მე პირველ დახატულ იას ხელი მოვუსვი. სულ ჩვენს ეზოში ამო-
სულს ჰგავდა. დავყნოსე და იის სურნელი ვიგრძენი.

თოხი. თხა. ურემი. უ, რამდენი ნახატია, — მიკვირდა მე და ვფურ-
ცლავდი წიგნს. ფურცლავდნენ ყველანი. მასწავლებელი გაღიმებული
იჯდა და გვიცქერდა.

„აკი მასწავლებელსაც სცოდნია გაღიმება!“ — გავიფიქრე მე... დე-
დაჩემი მეუბნებოდა, მასწავლებელმა გაბრაზება და ცემა იცისო. ეს კი
იღიმება.

ვიღაც ბიჭუნას წიგნი გადაუვარდა.

მასწავლებელი წამოდგა და იმ ბავშვს შენიშვნა მისცა.

— ბავშვებო! ახლა გეყოფათ წიგნის შლა და დათვალიერება. შეინახეთ ჩანთაში. კარგად გახსოვდეთ: არ დახიოთ, არ დაჯღაბნოთ, ფული არ ამოხიოთ. წიგნის ყველა გვერდი საჭიროა. თავის დროზე წავიკითხავთ და ვისწავლით. ჯერ ანბანს ვისწავლით, კითხვას ვისწავლით, თვლას, ანგარიშს და ნასწავლი გამოხვალთ... ბევრს რომ ისწავლით და იშრომებთ, სამშობლოს გამოადგებით.

ამ დარიგების შემდეგ შინ გაგვიშვა. გაგვაფრთხილა — გზაში არ ითამაშოთ, სახლში დროიანად მიდით, მშობლებსაც წახეხართ, მერე გაერთეთ, ითამაშეთ... მერე გაკვეთილებს მოგცემთ, დავალებებსო და სახლში ისწავლით.

მე ჩანთა ფრთხილად გადავიკიდე, რომ წიგნი არ შელახულიყო. და შინისაკენ მოვკურცხლე.

დედა ბოსტანში ტრიალებდა, ბოსტნეულის მწიფე თესლს აგროვებდა. ჭიშკრის ჭრიალზე შედვა, იქაურობა სწრაფად მიატოვა და ეზოში მომეგება.

— რა ქენი ბიჭო? წიგნი მოგცეს? — მოუთმენლობა ეტყობოდა. მე მოწიწებით გამოვწიე ჩანთა და „დედა ენა“ ამოვიღე. ხელი სწრაფად გამოიშვირა, მაგრამ ისევ დაუშვა.

— ვა, ხელი არა მაქვს სუფთა... გადამიშალე ნენა ერთი ფურცელი... არა, მოიცა, ჯერ ყდა მიჩვენე კარგად.

მე ახლოს მივეტანე და ვუჩვენე.

— ოო, შენ გენაცვალე. — დაიწყო გაბმით და დამარცვლით კითხვა: — დედაინა არა, დედა ენა ყოფილა, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი სახალხო სკოლებისათვის შედგენილი ი. გოგებაშვილისაგან (ი სახელია ვითომ?). მერე იადონი ახატია. რაის სილაშაზეა ეს დალოცვილი! მერე რა ვალობა იცის! ზომ გინახავს, ნენა, ჩვენს ეზოში რომ მღერის? ჰო, მერე — სურათებით ფასი ექვსი შაური. ძვირი კია მაინც... ექვსი შაური, ერთი ქილა სიჰინდის ფასია. მარა წიგნიც რომ კაია! (და მერე განაგრძო) თბილისში მელიქიშვილის და კაპ. სტამბაში და ციფრები. — ეს კაპ. სტამბაში რაღას ნიშნავს ნეტა! ეს რა არისო, არ თქვა მასწავლებელმა?

— არა, — მოკლედ ვუპასუხე მე.

— აბა, კარგად მოუარე, ნენა. ჯერ ამდენი ფულია შიგ მიცემული, მარა ფულს ვინ ჩივა... საინტერესოა. მაინც რაფერ ბეჭდავენ!.. შეინახე, ნენა, საღამოს წავიკითხოთ! — და ხელი არ მოუკიდია, არ გავსვაროო — ისე იკაიქარა, ხელი დაიბანა და კაბის კალთაზე შეიმშრალა. ახლა გულმა აღარ მოუთმინა, ჩანთა გამომართვა, წიგნი ფრთხილად ამოაძრო, სამზა-

დის პარმალში სამფეხა სკამზე დაჯდა და გადაშალა. ჯერ ნახატებზე შე-
ჩერდა, მერე ბევრი გადაფურცლა და გაღიმებული შეჩერდა.

„საწყალი მელა“ წაიკითხა.



საწყალი მელა ჩიოდა,
არ მომივიდა ძილია.
ერთსა საქათმეს მივაგენ,
გამოვუთხარე ძირია.

— აგი, ბიჭო, ზეპირადაც კი მახსოვს, მე ქალიშვილობაშიც გამიგო-
ნია. დედაჩემმა იცოდა და მასწავლა. — და მერე ზეპირადაც განაგრძო:

იხვსა, ბატსა და ქათამსა
ყველას გავკარი კბილია...

მერე თურმე პატრონი დაედევნა მელას, კომბალი ჩაართვა თავში და
მელამ ცამდი აასხა ტვინი. მერე ობლები რომ რჩებოდა, შეებრალა...
მაგრამ თურმე თავი ინუგეშა: ყველას ეშველებო, შვილებიც დაიზრდე-
ბიანო, მხოლოდ თავი დავკარგე გმირო...

— უიმე, ამ კითხვაში კაცები უსადილოდ დამრჩება, ნენა. შეინახე
და სალამოს ვიკითხოთ. — მითხრა და წიგნი ზელში მომაჩეჩა.

დედის კითხვამ ინტერესი გამიათქცა. იგი დიდ ნასწავლად მომეჩ-
ვენა და გულში ვინატრე — ასე კითხვა შემეძლოს-მეთქი.

იმ სალამოს დაიწყო და მერე დიდხანს ჩვეულებად დავგეხმედა. თი-
თქმის ყოველ ნავახშმევს კითხულობდა დედაჩემი, ოჯახი უსმენდა, ხო-
ლო მე სანამ კითხვას ვისწავლიდი, ზეპირად ვიცოდი ყველა ლექსი.



ბ ზ ნ მ ბ ი ს პ ო მ ზ ი ა

სულის სიმტკიცე არ აბერებდა, —
ჩვილს დედა ღამეს აქ უთენებდა.
მიდის პოეზია ალამბრელებთან,
მიდის პოეზია ქაქუთელებთან.

მიდის პოეზია ალალ მშრომელთან,
ჩაის ბუჩქებთან.

მანღარინებთან.

თქვენს ჩადილში სული რომ არ მომეტქვა,
ლექსს მზის აღმური გადაშირეცდა.

ვგრილდები ზაზასა ფოთოლთ ცქრიალში.

აქ სასიმღეროდ დავბანაკდები.

ჩადგა პოეზია პლანტაციასი.

სტრიქონზე ოქრო ზანზალაკებით.

დღეს ჩემი ლექსის ბუდე მიწნული

ამ ნარინჯების მწვანე რტოებზეა.

ცეცხლით დამუხტულა დედამიწურით

შრომის პოეზია.

გზნების პოეზია.

ჩამოკიდულან ციდან მუზები

ჩაღის ქედების პარაშუტებით

გლეხის კერაზე ავგუზგუზდები

და ლექსზე ასე გადავშუქდები.

აქ შევჩერდები.

თამარის ბოგირთან.

შენი გულისთქმა სტრიქონს მირითმავს.

და პეტრას ციხის ლოდით მოგიტან
ცეცხლს ატაცებულს ციხისძირიდან.

დღეს ჩემი ლექსის ბუდე მიწნული
ამ ნარინჯების მწვანე რტოებზეა.

ცეცხლით დამუხტული, დედამიწურით.
პლანტაციებში ჩადგა პოეზია.

მამია შარანიძე

ჩ ე მ ი დ ე დ უ ლ ა თ ი

ამბავი მისთვის

საიდუმლო ბარათი ანუ გახსენება მორე

მამაჩემს ვეძებდი და ყველა ყავახანა შემოვიარე. მინდოდა მეტყვა, ამელამ გონიოში ახმედ ხალვაშთან მივდივარ, ღამით იქ დაგრაჩები და არ მეძებო-მეთქი, მაგრამ მამაჩემი ვერსად ვნახე. გუმანით ვიცოდი კოწიას სახლი, იქნებ იქ არის-მეთქი, გავიფიქრე და კოწიას სახლისაკენ გავსწიე. კოწიას ბინა ნაქირავეები ჰქონდა ზღვის პირას, ჩიხში. უმაღვე გავიბრინე ქუჩა და ჩიხში შევყავი თავი. წუთიც და კოწიას ბინას მივადექი. მივაკაკუნე. შავთვალა გოგონამ გამიღო კარი.

— კოწია ბიძია არ არის სახლში?

— საცაა მოვა, მობრძანდით, მობრძანდით? — შემიპატიჟა გოგონამ. ისე მომეწონა ეს გოგონა, რომ ფეხი არ მომიბრუნდა უკან, თუმცა უარი ვუთხარი სახლში შესვლაზე, გარეთ მოვიციდი-მეთქი.

— რატომ გარეთ უნდა მოიცადო. შემობრძანდი, საცაა მამაჩემი მოვა, — გამიმეორა გოგონამ.

ქაზიმ მეჩონგურევე, ვთქვი მე, ამ გოგონას ხათრისთვის დარჩი. ამ შავთვალაზე უკეთესს რას ნახავ. მერე და ქაზიმ მეჩონგურევე, დასაქორწინებელი ახალგაზრდა ხარ და იქნებ ღმერთმა განგებ შეგახვედრა ამ მზეთუნახავს. ნუ მოიცლი ფეხს აქედან.

— კარგი, კარგი, ავერ მოვიციდი, ეზოში, — ვუთხარი მე.

— მაშინ სკამს მოგართმევთ, — თქვა და სახლიდან სკამი გამომიტა-

ნა. ამ სახლს საკმაოდ მოზრდილი ეზო ჰქონდა, კოინდარი ბიბინებო. სახლის პატრონს ვარდებიც მოუშენებია. დავჯექ და ის გოგონაც გვეუბნებოდა.

— ჩემი სიკვდილი, მე მამაკაცი ვიქდე და შენ ფეხზე იდგე, თქვენ დაბრძანდით, თქვენ, — ვუთხარი, ზეზე ავიჭერი და სკამი მივართვი, მაგრამ შენც არ მომიკვდე, სკამი არ გამომართვა, სახლიდან კვლავ სკამი გამოიტანა და გვერდით დამიჯდა.

— სადაური ბრძანდებით, — ვკითხე მე.

— გურული ვარ, ბახვიდან.

— კოწია ბიძია რა არის შენი?

— მამა, — მორცხვად მიბასუხა გოგონამ... და ამ დროს სამნი მოგვადგნენ კარზე — კოწია ბიძია, მამაჩემი და ჰაიდარ ბეგ აბაშიძე. მე რომ დამინახა ჰაიდარმა, ალტაცებით წამოიძახა:

— ჩემს თანამემამულეს გაუმარჯოს, ჩემს ქაზიმ მეჩონგურეს გაუმარჯოს. როგორ ხარ ახალგაზრდავ. ხომ ვაქაცურად ემსახურები ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ერს?

— რა თქმა უნდა, ბატონო ჰაიდარ. განა თქვენ არ მასწავლეთ ვინ არის მტერი და ვინ არის მოყვარე. ქართული წირა-კითხვაც თქვენ მასწავლეთ და ახლა რაღა მიჭირს, არა უშავს ვერკვევი ვინა ვარ და რა უნდა ვაკეთო ჩემი ქვეყნისათვის.

— ოჯახს არაფერს ყურადღებას აღარ აქცევს, სულ თქვენს ამბავშია, ეს დამავალეს, ის დამავალესო და დღე და ღამე დარბის ერთი სოფლიდან მეორე სოფელში, სოფლიდან ქალაქში, ქალაქიდან სოფელ-სოფელ, — თქვა მამამ.

— დიახ, ჩვენ ახლა ასეთი მამულიშვილები გვჭირდება, დიდი შრომა და ბრძოლა გვმართებს ჩემო ქიბარ, თორემ სედაიმილეთლები და ყარალაზადეები წაგვლეკავენ. ხომ იცი ქიბარ, ვინ არიან სედაიმილეთლები? საქართველოს მტრები არიან, მტრები. ანგელოზის ქურქში გახვეული სატანები არიან, სატანები. ვერ უნდა გაგვამბოროტონ და ვერ უნდა შეგვაძულონ ჩვენი დედასაქართველო, ჩვენი ქრისტიანი ძმები, — უთხრა ჰაიდარმა მამაჩემს. მერე დაუმატა: — იცი ვინ არის ყარალაზადე? ყარალაზადე აჭარელია. მისი ქართული გვარი ზაქარაძეა. უმაღლესი განათლება სტამბოლში მიუღია და სულ ფაშების მომხრეა. ყარალაზადეს უნდა ჩვენში მოისპოს ქართული ენა, გაიხსნას თურქული სკოლები, გაიხსნას თურქული თეატრი, თურქული სამკითხველოები; ყარალაზადეს უნდა აჭარლებმა დაჰყარონ თავისი დედა ენა, გადაგვარდნენ, გადარჯულდნენ. აი, ვინ არის ყარალაზადე. მას ბევრი მომხრე ჰყავს და გვებრძვიან და მერე როგორ! გვებრძვიან ფიზიკურადაც, გაზეთებითაც. წერენ წერილებს ჩვენს წინააღმდეგ, დედასაქართველოს, ჩვენი მოძმე ქრისტიანი ქართველებას

წინააღმდეგ. ამიტომ, კარგად უნდა ვიცოდეთ ვინ არიან ყარაღაზები და რა სურთ მათ, რომ არ გადაგვიბირონ. რჯული სხვაა და ეროვნება სხვაა. ჩვენ მუსლიმანები ვართ რჯულით, მაგრამ ეროვნებით ქართველები ვართ. ქრისტიანი ქართველებიც და მუსლიმანი ქართველებიც ერთი დედის — საქართველოს შვილები ვართ. მუდამ გვახსოვდეს ეს. — დინჯად ლაპარაკობდა ჰაიდარი და თან მამაჩემს თვალეში ჩასციციენებდა, როგორ მოეწონაო ჩემი განმარტება.

— შემობრძანდით სახლში, შემობრძანდით, — შეგევატიუა კოწია ბიძიამ. — მიბრძანდი ბატონო, — უთხრა მამაჩემმა ჰაიდარ ბეგ აბაშიძეს და თვითონ უკან მიჰყვა, ბოლოს მე შევედი ოთახში. გოგონამ სკამები მიართვა ყველას.

— ეს ჩემი ქალიშვილია, ვენერა ჰქვია, დღეს მესტუმრა სოფლიდან, გაიცანით, — თქვა კოწიამ. გოგონამ თითო-თითოდ ყველას ჩამოგვართვა ხელი, მერე კუთხეში მიდგა, მორცხვობდა, სდუმდა.

— ბატონო ჰაიდარ, მე მგონი შენ ღვინოს სვამ, ჩემმა გოგონამ ჩამომიტანა ტიკჭორათი. ხაჭაპურები, ჩურჩხელები და კიდევ რა არ ჩამომიტანა. თქვენზე უკეთესი სტუმრები ვინ მომივა, — თქვა კოწიამ ისე ტკბილად, რომ თითქოს გვეხვეწებოდა, უარი არ მითხრათო. მერე ვენერას უბრძანა, — ჩქარა გაშალე სუფრაო... — და გოგონამ თვალის დახამხამებაში სუფრა გააწყო. მამაჩემი ღვინოს არ ეტანებოდა, სამაგიეროდ მე ჭიქაში წვეთს არ ვტოვებდი.

— მამასადამე, შენ ამ კვირას სოფელში მიდიხარ არა? — ჰკითხა კოწიას ჰაიდარმა.

— დიახ, როგორც ვითხარით მივდივარ.

— ამ ჩემს ბარათს საიდუმლოდ გადასცემ მე და შენ რომ ვიცით იმ კაცს, — უთხრა ჰაიდარმა და ბარათი გადააწოდა კოწიას. კოწიამ ბარათი ვიბეში ჩაიდო და თან დასძინა: ნურათრის შეგეშინდება ბატონო ჰაიდარ, აუცილებლად ვახვედრებ ბარათს იმ კაცსო.

— დაგვიანება არ შეიძლება, კვირას უნდა ჩაბარდეს, თორემ ერთი დღიი საქმე ჩაგვეშლება, — დაუმატა ჰაიდარმა.

— მაგის ჯავრი ნუ გეჭენება ბატონო ჰაიდარ. მე ყოელთვის წმინდად ვასრულებდი თქვენს დავალებას და ახლაც იმედი გქონდეს, — უპასუხა კოწიამ და სადღეგრძელო თქვა:

— მალე გვენახოს რუსის ხელმწიფე ტახტიდან ჩამოგდებული.

— ამინ! — თქვა ჰაიდარმა — და ჭიქა დასცალა. — მერე დაუმატა: — მეც მდევნიან, მოხსნას მიპირებენ, არასანდო მასწავლებელი ხარო. რუს მოხელეებს არ მოვწონვარ, ჩემი ქვეყნის, ჩემი ზალხის პატრიოტი რომ ვარ. ალბათ მალე გამასახლებენ ბათუმიდან. — ჩაფიქრდა. მერე მკითხა ახლა რას აკეთებო. გუპასუხე, გულო-აღა კაიკაციშვილმა და რეკებ

ნიქარაძემ დამავალეს, დღეს გონიოში გავიდე და იქ ვინახულ ^{ახმედ} ხალვაში, წერილი მიმაქვს მასთან. პარასკევს უნდა შევიკრიბოთ. ^{არხა} უნდა შევადგინოთ-მეთქი და ვუამბე რაშიც იყო საქმე. ^{ეყოფნული}

— ჰო, — თქვა ჰაიდარმა, — ვიცი ეს ამბავი. პარასკევს ^{ჩვენს} ვიქნებით. შენ ის მითხარი ქაზიმ მეჩონგურევ, რას იწერებთან შენი სოფლიდან წასული მუჰაჯირები?

— მათი წერილები რომ წაიკითხო, გული მოგიკვდება, დაჯდები და ქალივით იტირებ, — ვუბასუხე მე.

— ჰო, რა ცუდი დღეები უდგას აჭარას. ახლა რუსმა მოხელეებმა ცილი დაგვწამეს აჭარლებს, მოლაღატეები ხართო და გასახლებსაც კი გვიპირებენ. უნდა დავუმტკიცოთ რუს ხელმწიფეს, რომ ჩვენ მართალნი ვართ, ჩვენ პატიოსანი ხალხი ვართ და გვენდოს. იქნებ გაანთავისუფლონ უბრალოდ დაპატიმრებულები. ამის შესახებ არა ერთხელ მივწერე თბილისში ჩვენს თავკაცებს. მათ გვირჩიეს, თბილისში გავგზავნოთ დელეგაცია, რომელიც არხას მიართმევს მეფის ნაცვალს. ყველაფერში დაგვეხმარებთან თავკაცები. მემედ აბაშიძეც იქ დაგხვდებათ — თქვა ჰაიდარმა.

— ბატონო ჰაიდარ, — გაუჟმეორე მე, — დღეს ყავახანაში შევხვდი რეჯებს და გულო-აღას. ისინი სწორედ ამ ამბავზე საუბრობდნენ... და მე დამავალეს, ბარათი მივართვა გონიოელ ახმედ ხალვას. ამაღამ გონიოში დავრჩები. მამაჩემს ვეძებდი, რომ მენახა და ეს ამბავი მეთქვა, რომ არ ვეძებნე. მადლობა ღმერთს აგერ შეგხვდით თქვენც, ჩვენს საყვარელ ადამიანს.

— აბა, ვიჩქაროთ, — თქვა ჰაიდარმა, — თორემ გვიანდება. ქაზიმ მეჩონგურე გონიოში უნდა გავიდეს და დაავიანდება, ღამით სიარული გაუჭირდება. — მერე მე მითხრა, — აბა ქაზიმ, გაუღდექი გზას, ჩვენც მალე წავალთო.

მე უმალვე წამოვდექი, მაგრამ ფეხს ვითრევდი, იმ გოგონას თვალს ვერ ვაშორებდი. ეს შემამჩნია კიდევ ბიძია ჰაიდარმა და ქარაგმულად თქვა:

— ვარდი მოსულა ბაღში, მაგრამ ბუღბუღს სცალია კი ვარდისათვის?

— ვარდი იყოს და ბუღბუღი მოიცლის, — დაუმატა მამაჩემმა. კოწია სდუმდა. სდუმდა გოგონა. მე მათ დავემშვიდობე და გარეთ გამოვედი. ჭიშკრამდე გამომყვა ქალიშვილი. ხელი ჩამოვართვი და მასაც დავემშვიდობე. ისეთი თბილი ხელი ჰქონდა, ისეთი, რომ მომაკვდავს მოასულიერებდა. სასიამოვნოდ გაიღიმა და რაღაც დამიტოვა გულში. რა? სიყვარული? უცებ ხომ არ შემიყვარდა ნეტავი? იქნებ ხდება ასეც. იქნებ შემიყვარდა? მაგრამ ვნახავ კი მეორეჯერ?

დიახ, დავემშვიდობებ და წამოვედი, მაგრამ სად მივდიოდი აღარ ვიცოდი. თითქოს გონება წამერთვა. ახ, გოგონავ, გოგონავ, შენი ბიჭობა იქნება თუკი ქაზიმ მეჩონგურეს გზა აებნევა და ჭოროხში გადავქრებოდე.

გიგლიძის

სამბავი მემკვსე

მოულოდნელი გამოცხადება ანუ განსვენება მისამი

სალამოხანია. ჩემი სახლის წინ ვდგავარ და თვალს არ ვუჭერი: — ნუთუ ეს სულაა?! გაცეხული ვფიქრობ და შორიდან მომავალს ვუცქერი, სულს იხეთი სიარული იცის, რომ ერთი ვერსიდან ვიცნობ. დიახ, სულო უნდა იყოს. მოდის, მიახლოვდება. სულოა, სულო... ეს ვინ მოჰყვება? ჰა, მეზობლები მოჰყვებიან. გაგრილებარ მისკენ. სული ერთი მაქვს როდის ჩავეხუტები. ისიც ჩემსკენ მოიჩქარის. მეც მივიჩქარი და... ჩვენ ერთმანეთს გადავხვებით. იმდენი ვკოცნე, იმდენი ვკოცნე, მეც მიკვირს რა მომივება, საშველი არ მივეცი, აგერ ჩვენს მეზობლებსაც რომ ჩახუტებოდა... ვინ არ გაიგო სულოს ჩამოსვლა... ვინ არ მოვიდა... ხატიჯეც მოვიდა...

ვკოცნიდიო...

ვეხვეოდიო...

იმ ღამეს თავი შევუყარეთ მომღერლებს და მოცეკვავეებს. დილამდე ჩონგურს და სალამურს ვუქაავდით, დილამდე ვცეკვობდით და ვმღეროდით.

დაუბრუნდა სოფელს ერთი შვილი. იგი დღეს ერთია, ხვალ ორი, სამი იქნება. ყმაწვილს დაოჯახება უნდა, თორემ რა უნდა ქნას მარტომ-მარტომ. გავერანებული სახლი გავაცოცხლეთ, გავამხიარულეთ, დავასუფთავეთ მეზობლებმა. ერთმა საინი აჩუქა, მეორემ კარდალი, მესამემ თუნგი, მეოთხემ ლოგინი და უცებ წელში არ გაიმართა ბიჭი!

...ელირსათ, ძლივს ელირსათ სულოს და ხატიჯეს ერთმანეთის ნახვა. იმ დღით აგერ ხევში მსხალი რომ დგას, იქ შეხვდნენ ერთმანეთს, ჩუმადა ბაასობდნენ.

— როგორ ხარ ხატიჯე, როგორ ხარ? — გულისფანცქალით ჰკითხა სულს.

— კარგად. შენ როგორ ხარ?

— მე ძალიან ცუდად ვიყავი, როცა შენ ჩემგან შორს იყავი, გული მტკიოდა, სული მტკიოდა. ჩემი თვალები შენ დაგეძებდნენ, გული შენ გიხმობდა, სული შენ გიხმობდა. ნუთუ შენ არ მნატრობდი?

— რა იცი არ ვღარდობდი, რა იცი არ მენატრებოდი. რა დღეშიც

ქ. მარტოვიძის სახ. სკოლაში
სახელმწიფო ბიბლიოთეკაში

ვიყავი, მე ვიცი. შენ რომ წადი, იმდენი ვიჯავრე, იმდენი ვიჯავრე, ლო-
გინად ჩავვარდი, ჩემს გადარჩენას კაცი არ ფიქრობდა.

— ახლა ხომ კარგად ხარ? — ნალვლიანად ჰკითხა ბიჭმა.

— კარგად, ძალიან კარგად. ახლა რა მიჭირს. — უპასუხა გინგინამ.
თავი დახარა.

— ხომ ხედავ, სახლში მარტო ვარ, არც დედა მყავს, არც მამა, არც
და. ცოდვა არა ვარ!

— ცოდვა ხარ, აბა რა.

— თუ გეცოდები, რაღას უცდი, წამომყევი ცოლად, მწუნობ თუ რა!

— რაფერ გამოვიპარო, ნენეს ეწყინება, ბაბას ეწყინება.

— კაცს გავუგზავნი, კაცს და დავითანხმებ შენს ნენესაც და შენს
ბაბასაც.

— ჰო, ასე კაი იქნება. შენ ჰკუიანი ხარ სულ. ბარემ მონახე კაცი.

— მონახული მყავს და ის არის. აგერ ქაზიმ ბიძიას გავგზავნი. ერთ-
ორ კაცს თან იახლებს ქაზიმ ბიძია. მივლენ შენს დედ-მამასთან და მოი-
ლაპარაკებენ. უარს მეტყვიან თუ?

— თუ უარს გეტყვიან, რა ვქნათ? — აკანკალებით ჰკითხა ხატიჯემ.

— მაშინ ჩვენ როგორც გვიინდა ისე მოვიქცეთ. ვითომ მოგიტაცებ და
ჰაიდა.. მერე მოგვდიოს მამაშენმა.

— კაი, კაი, სულ, — თავი დახარა გოგონამ და ამ დროს მე გამოვუ-
ჩნდი შეყვარებულებს. შერცხვენენ და აწითლდნენ. ჩემი ნუ გერიდებათ-
მეთქი ვუთხარი. მე ვიცი თქვენ გიყვართ ერთმანეთი. მე ქაზიმ მეჩონგუ-
რე არ ვიყო ამ სამ დღეში თქვენი ქორწილი თუ არ გადავიხადოთ-მეთქი.

რალა ბევრი გავაგრძელო და.. ყველაფერი კარგად დამთავრდა. სო-
ფელი მხარში ამოუდგა სულოს და ერთი კაი ქორწილიც გადავუხადეთ.

მერე მიყრუებული ოჯახი გამოცოცხლდა, ეზო აყვავილდა, გული აყ-
ვავილდა. მერე ბიჭიც გაჩნდა... მე მას რამაზი დავარქვი... პირველი აკვა-
ნი დედაჩემმა აჩუქა.. და ასე დალოცა:

— ღმერთმა გაგამრავლოთ. ცხრა ვაჟი გავიჩინოთ და სამი ქალიშვი-
ლი!

მეც დავლოცე ისინი ჩემი ჩონგურით...

მინაწერი პირველი:

— ჯემალ, — მეუბნება სულ ბიძია, — ცოტა შეცდომაა. მამაჩემი
ოსმალეთში აღრე წავიდა მუჰაჯირად. მგონი 1910 წელს. ესე იგი, მე აღ-
რე მოვედი ყურბეთიდან.

მე: — ბოდიში სულ ბიძია, ბოდიში. ალბათ ამერია ამბები ერთმა-
ნეთში არა.

ქაზიმ მეჩონგურე: — შენ ავირევია ერთმანეთში შაქრო დეკადისა

და სულოს ამბები. მაგის თავგადასავალიც სულოს თავგადასავალს მგვავგონებს. ორივე ტოლები არიან. შაქროს მამა ომის დროს წავიდა მუშა-ჯირად. მისი მშობლებიც იქ, უცხოეთში დაიხოცნენ. შაქროც ვილაც მდი-დარ კაცს ედგა მოჯამაგირედ... შაქროსაც უყვარდა ერთი გოგონა, რომელიც გოსაც უყვარდა შაქრო. შაქროც დაუბრუნდა თავის გვერანებულ ოჯახს და ის გოგო შეერთო ცოლად.

დეიდა ხატიჯე: — ჯემალ, შენ ძალიან უყვარხარ შაქროს. მოხუცდა საწყალი, ავად არის, ლოგინადაა ჩავარდნილი. გავხარდება თუკი ინახუ-ლებ საბრალო მოხუცს.

მე: — როგორ არ ვინახულებ. ხვალვე ვნახავ ბიძია შაქროს, მე ბევრი რამ კარგი მახსოვს მისგან... ჰო, მე აუცილებლად შევასწორებ გა-მრუდებულ ამბავს.

დეიდა ხატიჯე: — ნუ იწვალებ შვილო, იყოს ისე, როგორც ეს გი-წერია.

მე: — არა, დეიდა ხატიჯე, აუცილებლად უნდა გავასწორო. გავას-წორებ ჩემო კარგებო, გავასწორებ, თორემ... ჩემს ქრონიკებს ისტორი-კოსები წაიკითხავენ, თითო-თითოდ გამოწვლილვენ, დააზუსტებენ ყვე-ლაფერს და იტყვიან, ავტორი ცდებო. მაგალითად, ესა და ეს ამბავი მოხდა ამა და ამ წელს და არა იმ წელს, ავტორი რომ წერსო. გამაკრიტი-კებენ და მერე როგორ! ამიტომ, აუცილებლად გავასწორებ, აუცილებ-ლად... მაშ, აქ შევწყვეტოთ არა? დღეს ეს გვეყოფა, ხვალ საღამოს კვლავ განვაგრძობთ.

დეიდა ხატიჯე: — ლოგინებს გავიშლით და მოისვენეთ.

ქაზიმ მეჩონდურე: — მე სახლში უნდა წავიდე.

— მეც, მეც... — თქვეს სხვებმაც და ყველა წამოიშალა...

მინაწერი მეორე:

დილით ადრე ავდექი, დეიდა ხატიჯე კი კარგა ხანია ამდგარა და ეზო-ში დაფოფინებს. ასე ადრე რატომ ავდექიო, მისაყვედურა. ჯერ არავინ ამდგარა და შენ სტუმარმა რატომ იჩქარეო. დეიდა ხატიჯე-მეთქი, აგერ იმ პატარა გორაზე ავალ, აი, ის დიდი წიფელა რომ არის, ახლოდან უნდა ვნახო. მას ირგვლივ პატარა მინდორი რომ აკრავს, იმ მინდორზე ხშირად ვთამაშობდით-მეთქი ბავშვები. კარგი შვილოო, მალე ჩამოდი, ვისაუზ-მოთ და მერე მოხუცი შაქრო ვინახულოთ, ძალიან ავადაა და დიდი ხნის ლიცოცხლე არ უწყერია, შენი ნახვა გავხარდებაო. კარგი დეიდა ხატიჯე, კარგი. აუცილებლად ვინახულებ, ამ დილასვე ვინახულებ ბიძია შაქროს-მეთქი ვუთხარი დეიდა ხატიჯეს და შევუყევი გზას, რომელიც იმ წიფე-ლასთან მიმყვანდა. ოცი წუთი და გზა გავლიე. აი, უკვე წიფელასთან ვდგავარ. წიფელას თითქმის ახლაც აჩნია მაშინდელი ჭრილობები — გუ-

ლო, ქევესერ, ბულბულა, ერთი კიდევ შედარებით ახალი ჭრილობაა — „ხუსეინ+ულვიე“. ორივე ძალიან კარგად მახსოვს. ხუსეინი ცოცხალია, ულვიე კი დიდი ხანია, წუთისოფელს გამოესალმებოდა. წინ მიდგას ულვიე. თეთრი კაბის ჩაცმა უყვარდა. ლოყაწითელი გოგონა იყო. გინახავთ მწიფე კაღუმფუთი? ეს აქაური ნახლის სახელია. კაღუმფუთმა იცის გასაოცარი სიმწიფე, პირში ჩაგადნება, მეტისმეტად ტკბილია და საქმელად საამო. ასეთი იყო ულვიე. თურმე ხუსეინმა თვალი არ დაადგა ულვიეს! შეუყვარდა და მერე როგორ, გულში ცეცხლი მოეკიდა. ხუსეინიც კარგი შესახედაობის ახალგაზრდა იყო და შეუყვარდა ულვიესაც. სულ ერთად ვხედავდი შეყვარებულებს. როცა შეუღლება მოინდომეს, გოგოს მშობლებმა ქვას უკბინეს და ახალგაზრდების გულის ნებას არ დაჰყვნენ. ჩვენ ქალიშვილს მაგ ახალგაზრდას ვერ მივცემთ, ღარიბი კაცის შვილიაო, ჩვენი გვარი თავადების გვარიაო. მერე და სიყვარულმა იცის ღარიბი და თავადი? ან და რაღა თავადობის ყამი იყო. მაგრამ ხომ იცი წარსული დიდხანს მოჰყვება ადამიანს, სულში და გულში უზის. განა დღესაც არ გაიგონებ, მე ამა და ამის შთამომავალი ვარო. რას იზამ, ბეგი აღარ ბეგობდა, აღა აღარ აღობდა, მაგრამ ზოგს ენაზე ეკერა ეს, სულსა და გულში ეჯდა. წერა-კითხვა არ იცოდა და მაინც თავი მოსწონდა გვარიშვილობით. რას გაამტყუნებ, მაშინ ჩვენში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი წლები იყო და ძველ ადათ-წესებს კიდევ ჰქონდა მაგარი ფესვები... გოგო არ მისცეს. რაღა ექნა აღარ იცოდა. წამომყვიო, თხოვა. ვერ გაბედა გოგომ. ვერ წამოგყვები თუკი ჩემი დედ-მამა თანახმა არ იქნებო... და მაშინ ვაჟი ხუთი შეიარაღებული კაციო დახვდა აი იქ, სადაც ნიგვზები ცამდე აწვდილან. გაიტაცეს გოგო. ფეხზე დადგა მთელი ოჯახი, ფეხზე დადგა მთელი გვარი, როგორ მოგვტაცაო ამ დაბალი გვარის კაცმა ქალი. მილიცია შემოასიეს სოფელს. იყო ძებნა და გინასი. დააპატიმრეს ვაჟის მამა, უფროსი ძმაც, ბიძაც... როცა ეს ამბავი გამტაცებლებმა გაიგეს, გადაწყვიტეს ჩაბარებოდნენ მილიციას. გოგო დაანამუსეს: არ გვიღალატო და ცუდი არა თქვაო, ულვიემ შეჰფიცა ვაჟკაცებს, თუ გიღალატოთ, განგების ტყვია არ აპცდესო. და ერთ დღეს მილიციის კარებს მიადგნენ ნეფე-დედოფალი. სად იყვნენ და სად არა, გოგოს მკვიდრნი იქ გაჩნდნენ. ულვიე ხელთ იგდეს და მოახერხეს სახლში წაყვანა. ხახამშრალი დარჩა ხუსეინი. ვინღა გაუშვა სახლში — დააპატიმრეს. მერე შუა ჩადგნენ სოფლის თავკაცები და ორი თუ სამი თვის შემდეგ ძლივს იხსნეს სიყვარულის მსხვერპლი. ხუსეინი დაღონებული დაუბრუნდა მშობლიურ სოფელს. იმ დღიდან იარაღი აისხა და ულვიეს მუქარა შეუთვალა — თუ კი გათხოვდები, შენც მოგკლავ და შენს ქმარსაცო. მას შემდეგ სამი წელიწადი დაგვემშვიდობა. ხუსეინი კვლავ დადი-

ოდა იარაღით ხელში, ვინ გაბედავდა ხელი ეთხოვა ულვიესთვის. თუ რამე არც ულვიეს სურდა გათხოვება — უყვარდა ხუსეინი, მაგრამ როგორ ელწია თავი გვარის კლანჭებიდან? ვერ მოიქცა კარგად, რომ მშობლები-სა და მკვიდრების ნებას დამორჩილდა, ვერ გამოიჩინა გამბედელობა თქვა, მიყვარსო. განა ასე იჩაგრებიან ქრისტიანი გოგოები? ჩვენ ჩადრში ვიხრჩობით და ეს არ გვაკმარეს, გინდა არ გინდა დამორჩილდი მამას, დედას, დამორჩილდი ძმას, ბიძაშვილს. არა, მე თუ მიყვარს კაცი, ვის რაში ესაქმება. არა, ნამდვილად ცუდად მოვიქეცი. უდანაშაულო ბიჭი სამ თვეს ციხეში ამყოფეს. მერე და რატომ? ხელიც არ უხლია ჩემთვის, სანამ ქორწილს არ გადავიხდით, თითსაც არ მოგაკარებო. რა ვქნა, რა ვილონო? ასე ფიქრობდა ულვიე... და ამ დროს მის აჩრდილს დაედევნა ვილაც, წისქვილიდან რომ მოდიოდა. ვინ არის? მოიხედა უკან. ხუსეინი მოსდევდა. მოიცა ცავე, მიამახა ვაჟმა. — სამი წელია შენ გელოდები. გული სიყვარულით მაქვს დამწვარი. შენ სდუმხარ, ხმას არ იღებ. ქალი გამოგიგზავნი, არაფერი უთხარი, არც პო და არც არა. ხომ ხედავ, იარაღი ამისხამს. შენც მოგკლავ და იმასაც, ვინც გამიბედავს წამართვას შენი თავი. არ გიყვარვარ ხომ? — ეს უკანასკნელი სიტყვები ისე წარმოთქვა ხუსეინმა, თითქოს გულში მახვილი გაურტყეს და მეტისმეტი ტკივილები-საგან იტანჯებო.

— მე შენთვის არ მიღალატია, მაგრამ რა ვქნა, ჩვენიანებს ვერ მოვერიე, ხელში ჩამიგდეს და სული ამომამჩრეს. შენ არ იცი ეს სამი წელია რას ვიტან. მთხოვნელებიც მყავდა, მაგრამ ყოველთვის ვიწუნებდი, უარს ვამბობდი. ეს მხოლოდ შენი გულისათვის, — თქვა ულვიემ და აცრემ-ლებულ თვალებზე მანდილი მიიფარა.

— მაშ, თუ ასეა ჩემი ყოფილხარ და ის არის, შენს თავს ველარავინ წამართმევს. მაგრამ მოვილაპარაკოთ რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ — უთხრა ვაჟმა.

ულვიე: — ვილაც გავლენიანი კაცი მოუგზავნე მამაჩემს.

ხუსეინი: — მიუგზავნი, მაგრამ უარი რომ თქვას?

ულვიე: — მაშინ მოვილაპარაკოთ და ჩვენი ბედი ჩვენვე გადავწყვიტოთ.

ხუსეინი: — კარგი, მაშ ნახვამდის.

ულვიე: — ნახვამდის.

წასვლის ხანს ბიჭმა იმარჯვა და ერთი ისე აკოცა, ფოთლები აშრიალდნენ. გოგო ხმაამოუღებლად გაიქცა.

სამი დღის შემდეგ ხუსეინმა ულვიეს მშობლებს სოფელში სახელდებული ქალარა კაცი ყარაღა გაუგზავნა. ყარაღას შუალამემდე ჰქონდა საუბარი ულვიეს მშობლებთან, მაგრამ არაფერი გაუვიდა, გულგასივებუ-

ლი წამოვიდა. იქვე დაუგდო მუქარაც: — მე ამ უღვაშებს გავიპატივებ, თუკი თქვენს ქალიშვილს სხვაზე გაათხოვებთო. წააქეზა ხუსეინი — ორსამ კაცს მოგინახავ და მოიტაცეო. ხუსეინმა უთხრა, არავინ ეჭირფეულქმ, მარტო მოვიტაცებო... ჩუმიად შეუთვალა გოგოს, ამა და ამ რაღაცის შესახებ, აქ მნახეთო. შეხედნენ კიდევ ერთმანეთს. და მერე საით გაფრინდნენ, ვერავინ გაიგო. ისინი სოფელს დაუბრუნდნენ ერთი წლის შემდეგ, როცა უკვე ბავშვი გაუჩნდათ. ხუთი ბავშვი გააჩინეს. მეექვსე ბავშვს გადაჰყვა საწყალი ულვიე. როგორ შემეცოდა, რამდენი ვიტირე! მისი უფროსი ვაჟი — შალვა, ერთ-ერთი სამმართველოს უფროსია. შუათანა — ზეზვა, ინჟინერია და მუშაობს თბილისში. უმცროსმა — გოჩამ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაამთავრა და მასწავლებელია თელავში. უფროსი გოგონა — ნაილე, რომელიც ქუთაისში გათხოვდა, ინგლისური ენის სპეციალისტია, ხოლო უმცროსი — ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელია. ეჰ, ჩემო ულვიე, ნეტავ მოსწრებოდი შენი შვილების ამ აღმატებას! შენს გვარში ერთმა კაცმაც კი არ იცოდა წერა-კითხვა, შენმა შვილებმა კი... ახ, ცოცხალი ყოფილიყავი, ბედნიერი დედა იქნებოდი! ვფიქრობდი მე და ცრემლებს ველარ ვიკავებდი, მე ვქვითინებდი, ვქვითინებდი...

3

დედა ხატიჯემ მარტო არ გამიშვა და ერთად წავედით ბიძია შაქროს სანახავად. ეზოში რომ შევედით, ფინია ძაღლმა იქაურობა აიკლო. პირდაპირ ყეფით ყურები გამოგვიჭედა. სახლიდან ახალგაზრდა ქალი გამოვიდა, ფინიას დაუცაცხანა, მაგრამ ძაღლი მაინც არ გვეშვებოდა. მაშინ ახალგაზრდა ქალმა წკებლას დაავლო ხელი და ერთი მაგრად გადაუჭირა ფინიას. ძაღლი საშინელი წკავწყავით გაიქცა და სახლს მიეფარა. ახალგაზრდა ქალი დედა ხატიჯეს მოეხვია და აკოცა, მე კი ხელი ჩამომართვა და შეგვიპატიჟა. დეიდამ ჰკითხა, — არ იცნობო ჯემალს? არაო, უთხრა ახალგაზრდა ქალმა. მერე მე მკითხა — შენ თუ იცნობ ამ ახალგაზრდა ქალს, ნანასო. არა-მეთქი. ეს შაქროს ბაღიშიაო. პირდაპირ იმ ოთახში შევედით. სადაც ავადმყოფი იწვა. იქვე დაგვხვდა ხუსეინ ბიძია. იმდენი მეხვია, იმდენი მკოცნა, რომ საშველი არ დამაყენა, თანაც იცრემლებოდა, რა ხანია არ მინახიხარო. შაქრო ბიძია ლამის წამოფრინდეს ლოგინიდან. წამოჯდა, გადავეხვიე, ვაკოცე, მაკოცა. გამომკითხა ცოლშვილი სად გყავსო. რომ ვუთხარი, თბილისში გადავსახლდი-მეთქი, ეწყინა. აქ იყავი და ვერ გვენახულობდი, ჩვენთვის არ გეცალა, ახლა თბილისიდან აქ წელიწადშიც ერთხელ გზა არ მოგიწევს. დღეს ხარ კაცი ამ ქვეყნად და ხვალ არ იქნები. მერე და მე რომ მოგვკვდე, შენ არ უნდა

მობვიდე ჩემს შავდღეზეო. ეს ისე წყენით და სევდიანად მითხრა, რომ თვალზე ცრემლი მომერია. მერე მკითხა, სად არიან შენი შვილებიო.

— ერთი მეზღვაურია, კაპიტნის თანაშემწე. მეორე ინჟინერია მუშაობს თბილისში, — ვუპასუხე მე.

— კმაყოფილი ხარ შვილებით? — მკითხა ბიძია შაქრომ.

— კმაყოფილი ვარ.

— ჰო, თუ კი ახალგაზრდა წესიერი და ზრდილობიანია, მეტი რა მოეთხოვება.

— მე ისე ვატყობ, რაღაც ნაწყენი ბრძანდებით.. ბიძია შაქრო, ვინ, რომელმა ახალგაზრდამ გაბედა და გაწყენინა, — ვთქვი მე. მაინტერესებდა რას იტყოდა მოხუცი.

— მე რომ მეწყინოს, ეს არაფერია. ხალხი არ უნდა გაანაწყენო, ხალხი. აი, ერთ პატარა ამბავს მოგიყვები. ყური დამიგდე ჯემალ, შენ მწერალი ხარ და ეს ამბავი იქნებ რამეში გამოგადგეს. მახუნცეთში, აჭარისწყლის გაღმა სოფელში სამძიმარზე ვიყავი. ჩემს ნათესავ ქალს ქმარი მოუკვდა. მე ავად ვიყავი და ვასვენებაზე ვერ წავედი. მერე როცა მოვკეთდი, ვნახავ ჩემს ქვრივ ნათესავს-მეთქი. ვინახულე კიდევ. იმ დღესვე უკან გამოვბრუნდი. მანქანას მახუნცეთის სასოფლო საბჭოსთან დაველოდე. იქ დამხვდა ორი ხანშიშესული მგზავრი — ქალი და კაცი. ალბათ ცოლ-ქმარნი, ეტყობოდათ აქაურნი არ იყვნენ. სულ მალე ჩამოდგა ქედიდან მომავალი ავტობუსი. ავტობუსი მგზავრებით გაქედილი იყო, როგორც იტყვიან ნემსი არ ჩავარდებოდა. როგორც იქნა ავედით. მგზავრების უმრავლესობა ახალგაზრდები იყვნენ და გული დამწყდა, რომ ამ ხნის კაცს არც ერთმა ახალგაზრდამ არ მითხრა — მოდი ბაბუა, აგერ დაჯექი და დაისვენეო. უცხო ცოლ-ქმარიც კუთხეში იდგნენ და როცა ავტობუსი შეირხეოდა, აქეთ-იქით საქანელასავით ირწეოდნენ. ათი წუთი არ გასულა და უცხო ქალი ცუდად შეიქნა. ბოდიში-მეთქი, ვუთხარი მის ქმარს, ცუდად ხომ არ გახდა? დიახ, ცუდად გახდა, მანქანა წყენსო. ვხედავდი იტანჯებოდა ქალი. ერთ ახალგაზრდას შევეხვეწე, ხომ ხედავ ის ქალი რა დღეშია, დაუთმე ადგილი-მეთქი. ახალგაზრდამ ასე მიპასუხა, — რა იცი ის ახალგაზრდა ავად არაა, თქვენ ასე დაბეჯითებით რომ ეუბნებით ადგილი დაუთმეო. გული მეტკინა. ალბათ სხვა ახალგაზრდაც ამასვე მიპასუხებს-მეთქი. და გავჩუმდი. ბრაზი მომდიოდა. ამ დროს ზეზე წამოდგა მოხუცი ქალი და მან თქვა:

— მობრძანდეს, აგერ ჩემს ადგილზე მობრძანდეს ხანუმი.

— გმადლობთ, თქვენ დაბრძანდით ქალბატონო, — თქვა ქალმა. მაგრამ მოხუცმა ქალმა მშობლები დააფიცა უცხო ქალს და იგი დასვა თავის ადგილას. ხელში ბოხჩა ეჭირა. ერთი ყური გახსნა, წითელლოყება

ვაშლი ამოიღო და გადააწოდა: — მიირთვით გეყურბანე, გული დაგვიმდებათ, — უთხრა მოხუცმა ქალმა.

როცა ქალაქში ჩამოვედით, უცხო მამაკაცმა ჰკითხა მთელი მოხუც ქალს:

— მე მწერალი ვარ და მინდა ვიცოდე სადაური ხართ და რა გვარი ბრძანდებით, რომ სამაგიერო სიყვითე მეც მოგიზღოთ.

— ჩვენ, ძველ აჭარელ ქალებს ეს წესად გვაქვს, მე ამას ჩვენი ძველი ადათი მავალბს. ასე რომ, შენ არაფრით ვალდებულნი არა ხარ მე სამაგიერო გადამიხადო. კარგად ბრძანდებოდეთ, — თქვა ქალმა, დაემშვიდობა და წავიდა. ვინაობა არ გაუმხელია. გოგნებული მწერალი უცქეროდა მიმავალ მოხუც ქალს. მერე ცოლს უთხრა:

— ხედავ, ნინო, რა კარგი ჩვეულება აქვთ თურმე ძველ აჭარელ ქალებს. ეს ჩვეულება მთელ საქართველოში წესად უნდა ვაქციოთ, წესად.

— კარგი, ძველია თუ ახალი, უნდა შევინარჩუნოთ. მაგრამ სავალალოდ ცხოვრებაში ბევრი რამ გულდასაწყვეტი ხდება, —უბასუხა ქალმა...

— აი, ხედავ, ჩემო ჩემალ, რაზე მტკივა გული. მამინ უსწავლელნი ვიყავით, მაგრამ ერთი გენახა როგორი ზრდილობიანი ვიყავით. ვინ გაბედავდა უფროსზე სიტყვის შებრუნებას, ცუდის თქმას. ახლა კი... — ამოიხვნეშა მოხუცმა. მერე დაუმატა:

— შვილიშვილმა, თამრომ მითხრა, — მე ასე მინდა, შენ თუ არ მოგწონს, მე მომწონსო.

— რა მომწონსო? — ჰკითხა დეიდა ხატიჯემ.

— რა და, მოკლე კაბა. ძალიან მოკლე კაბა უყვარს. ეს კიდევ არაფერი. თურმე ეს დასაღუპავი, პაპიროსს არ ეწევა! ქალი რომ პაპიროსს ეწევა, ფუჭ ასეთ ქალს! — ზიზღით თქვა მოხუცმა.

— ვინ აკოცებს ასეთ ქალს, ა, შაქრო? — სიცილით თქვა ხუსეინმა.

— წინათ კაცს, რომ გეგო გოგო პაპიროსს ეწევაო, კაცი ცოლად არ წაიყვანდა, — თქვა დეიდა ხატიჯემ.

— საზღვარგარეთელ ქალებს მოდად აქვთ პაპიროსის წევა და ალკოპოლიანი სასმელების სმა, — ვთქვი მე.

— ჩვენ იმათი მოდა არ გამოგვადგება. ჩვენ ქართველები ვართ. ჩვენს მამა-პაპებს სულ სხვა წესი და ადათი დაუწესებიათ. ჩვენი სული ამ წესსა და ადათებში მოხარშულა და მომწიფებულა და რაც კარგია, რატომ უნდა დავკარგოთ, — ბოლო სიტყვები სინანულით თქვა მოხუცმა.

— ჩემო საყვარელო ადამიანებო, მე თქვენ გისმენთ, მთელი გულით გისმენთ. მე გამიგონია ინტელიგენტი გოგონასაგან, თავისუფალი ცხოვრება მიყვარსო, რას ნიშნავს ეს მეთქი შევეკითხე და მიპასუხა:

— ეს იმას ნიშნავს, რომ მე ისეთი ქალი არ ვიქნები, როგორც დედაჩემია ან ბებიაჩემიო. მე აკვანს ვერ მივუჭდები და დილიდან საღამო-



მდე ვერ დავაჩვენო. მე დავბადებ ბავშვს, ხოლო უნდა აღზარდოს სხვა.
მე კინოც მინდა, თეატრიც, ტურისტული მოგზაურობაც, დღეს აქ ვაჩვენებ
ხვალ მოსკოვში ვიქნები, ზევ პარიზში. ადამიანი დიდხანს არ ცოცხლობს
და წუთისოფელი საამოდ უნდა გაატაროსო.

ეროვნული
კულტურის
მინისტრის
განცხადება

— მერე შენ რა უთხარი? — სევდიანად მკითხა შაქრო ბიძიამ.

— არაფერი. ასეთი ქალი განა მომისმენდა. სამწუხაროდ არიან ასე-
თი ქარაფშუტა ქალები, მაგრამ კარგებიც გვყავს, ნამდვილი ოჯახის ქა-
ლები, მანდილოსნები, თავს რომ არ შეირცხვენენ არსად. ჩვენ მწერლებს
ასეთი ქალები გვიყვარს, ესე იგი ნამდვილი მამულიშვილი ქალები, მათი
იმედით ვცოცხლობთ და ვმღერით. — ვთქვი მე და თან თვალებში ჩავ-
ციცინებდი მოხუცს, როგორ იმოქმედა-მეთქი ჩემმა ნათქვამმა. დეიდა
ხატიჯე დაფიქრებული იჯდა და ხმას არ იღებდა. ხუსეინმა კი თქვა, კა-
რგი, ნამუსიანი ქალი ოჯახის იმედიცაა და ქვეყნისაცაო. შენ რას იტყვიო,
ხატიჯე-ხანუმი?

— ოჯახს ქალი ააშენებს და ქალი დაავსებსო, იტყვიან, ეს ჭკუიანი
ხალხის ნათქვამია და ჩვენი პოეტი ჯემალი უფრო კარგად იტყვის, თუ
რას ნიშნავს ეს — სიტყვა მე გადმომივლო დეიდა ხატიჯემ.

— მე რას ვიტყვი, იმაზე უკეთესს, რაც თქვენ ბრძანეთ, ჩემო საყ-
ვარელო ადამიანებო. დედაბოძი, დედაენა, დედაშიწა იტყვიან ხოლმე
და ეს სიტყვები ყველაფერს ამბობენ. ესე იგი ქალი ჩვენი დედაა, ჩვენი
გამზრდელია, ჩვენი ენაა, ჩვენი სიცოცხლეა, ჩვენი სიხარული და სიამტკი-
ლობაა. ყველაფერია ქალი, ყველა სილამაზე მასთანაა დაკავშირებული.
ამიტომ მე მინდა ჩვენი ქალები იყვნენ კარგი განათლებულნიც, კარგი
ოჯახის ქალებიც და კარგი მამულიშვილნიც. — ვთქვი მე. დეიდა ხატიჯეს
ჩემი სიტყვები მოეწონა, ადგა, მოვიდა ჩემთან, მომეხვია და ჩამკოცნა.

— ჩვენ ხომ უსწავლენი, დაბეჩავებულნი, ხარჩაბში ამომხრჩავალი
ქალები ვიყავით, ჩვენს ყურს ყურანის მეტი არაფერი ესმოდა. სახლიდან
გარეთ არ გავდიოდით. წერა არ ვიცოდით და კითხვა. მაგრამ ჩვენ გვქო-
ნდა ოჯახი, გვყავდა შვილები. ჩვენით იყო და ცოცხლობდა ეს ქვეყანა.
ახლა ქალებისათვის ყველაფერია და ჩვენზე ათჯერ უკეთესნი უნდა იყ-
ვნენ, — თქვა დეიდა ხატიჯემ. მართალი ხარ, მართალიო, დაუმოწმა ბიძია
ხუსეინმა. ჩვენ ასეთ სჯა-ბაასში ვიყავით და გვეგონა ბიძია შაქრო გვის-
მენდა. თურმე ჩაძინებოდა და ერთი რომ ამოიხვრინა, მაშინ გამოვფხიზ-
ლდით. ამ უბედურს თურმე ლამე არ სძინავს, რაკი ჩაეძინა, იძინოს, მო-
ისვენოს, ჩვენ კი წავიდეთო, ჩურჩულით გვითხრა დეიდა ხატიჯემ. ჩვენ
ნელნელა გამოვიკრიფეთ გარეთ. ახალგაზრდა დიასახლისი გვაძალებდა,
დარჩით, უპატივკემულოდ როგორ გაგიშვათო, მადლობა გადავუხადეთ
და წამოვედით.

ჭიშკრამდე გამოგვაცილა დიასახლისმა.

სად იყვნენ და სად არა, გზის მოსახვევიდან უცებ წარმოჩნდნენ ქა-
ზიმ მეჩონგურე და მისი შვილი არსენა. ხუსეინ ბიძიამ თქვა, ეტყობათ,
სკის სახილველად მიდიან და მოდი ჩვენც გავყვით, აბა ისე ვივლით
დააღამოო. მოსვლისთანავე რიხიანი გამარჯობა გვითხრა ქაზიმ მეჩონგუ-
რემ. გადავეხვიე არსენას, მისაყვედურა, რამდენი ხანი არ მინახიხარ და
ქალაქში რომ შემხვედროდი, იქნებ ვერც კი გიცნობდიო. ჩვენ არც კი
გვითქვამს, ისე შეგვეპატიყა ქაზიმ მეჩონგურე, წამოდით, სკა ვიხილოთ
და ახალი თაფლიც ვჭამოთო. დეიდა ხატიჯეს არ ვემეტებოდი, მომენატ-
რა, მინდა თვალეში ვუცქიროო, მაგრამ თავისი რომ ვერ გაიტანა, არ-
სენას ჰკითხა, სად, რომელ ადგილას იქნებიო. არსენმა ხელით აჩვენა
წიფლები. დეიდა ხატიჯე დროებით დაგვემშვიდობა და თან მოგვაძახა-
აუცილებლად სადილს ამოგიტანთო. თანაც არსენა გააფრთხილა, შვილო,
იმ სიმაღლე წიფელზეა შედგმული სკა რომ გული მისკდება, ფრთხი-
ლად იყავი, ხალათს კარგად მოეჭიდო. ხალათს იქ მსხვილ თოქს ეძახიან.
იგი გრძელია, ერთ ბოლოში ხის მორგვი აქვს მიმაგრებული. ამ ხის
მორგვს ისვრიან იმ წიფლის ტოტისაკენ, სადაც სკაა, გადაეკიდება თოკი
და გადმოეშვება ძირს. სკის მხილავი თოკის ორივე ბოლოს შენასკვავს
და მოხდენილად მალლა-მალლა აცოცდება. ასეთი სკის მხილავი კარგი
სპორტსმენია, ღმერთმანი. დავემშვიდობეთ დეიდა ხატიჯეს და წიფლნა-
რებლსაკენ მიმავალ გზას დავადექით...

სულ მალე შევიჭერთ ტყეში. ჯერ წყავნარი გავიარეთ, მერე წაბლ-
ნარი და ბოლოს აღმოვჩნდით წიფლნარებში. ხევიდან რაღაც ხმაური
მოგვესმა. ქაზიმ მეჩონგურემ თქვა დათვი იქნებაო და მოხერხებულ აღ-
გილას მივიდა, იქიდან გადახედა ხევს. ვუიშე, თქვა მან, დათვი. ჩვენც
მივირბინეთ ბიძია ქაზიმთან და დავინახეთ კოდმეზე რომ მიბობლავდა
ვეება დათვი. სკებს ემტერებაო, თქვა ბიძია ქაზიმმა. იქნებ ჩვენი სკის
ხილვა უნდოდა, მაგრამ მოვუსწარიო და გაიქცაო. რამდენიმე წუთიც და
ჩვენ მივედით ჩვენს წიფელსთან. აქ დათვის ნაკვალევი შენიშნა ქაზიმ
მეჩონგურემ. ჩვენ ყიყინით, ხმაურით რომ მოვდიოდით, გაიგონა და გაი-
ქცაო. სკას ავხედე და გავკვირვებით ვთქვი, ნუთუ დათვი მისწვდებოდა იმ
სკას? პაპუხი არ ვაძცა. სკის ხილვას ნუ ვიჩქარებთ, მაინც მოვასწ-
რებთ, ცოტა შევისვენოთო, თქვა ქაზიმ ბიძიამ. იქვე ჩამოვჯექით. ჩიტების
საამო ჭიკჭიკი გვატკბობდა, მაგრამ ყველას სჯობდა ერთი მგალობელი
ჩიტი, ბულბული მეგონა, ქაზიმ ბიძიამ არ დამიჯერა, შაშვიო. ღმერთმა-
ნი, არ ვიცოდი ასეთი მგალობელი თუ იყო შაშვი. ჩვენგან ცოტა მოშო-
რებით, შეერნარში ჩაცუცქდა ქაზიმ ბიძია და შაშვივით იწყო გალობა,
ვერ გააჩრევდით ჩიტის და კაცის ხმას. მერე ამაყად თქვა, მე მარტო მე-
ჩონგურე კი არა, მგალობელიცა ვარ. არაერთხელ ვყოფილვარ ოლიმპია-

დის მონაწილე. ისე მოსწონდათ ჩემი შაშვის გალობა, რომ ზღვა ტაშით მაჯილდოებდნენო.

უცებ ზეზე წამოიჭრა არსენა, ვიჩქაროთ თორემ დაგვაგვიანდებაო. მოამზადა თუნუქის საფუტე. შიგ ჩაყარა ნახშირი და სიმინდის მარცხენა ბი, ასანთი მოუკიდა და შეუბერა, ააბოლა. კარგად რომ ააბოლა, თქვა მზადააო. მერე თოკი აავდო ზევით, ვადმოკიდა ტოტზე, ჩამოსწია, შენასკვა, და ჯამბაზივით აცოცდა, თვალუწვდენელ წიფელას შუა მოექცა, სკას მიეახლა და ჩამოგვძახა — საფუტე მომწოდეთო. ხუსეინ ბიძიამ საფუტე ბაწრით მიაბა ხალათს და აძახა — მზად არისო. მალე არსენამ ცხარე ფუტი შეუყენა ფუტკრებს და ისინიც აზრიალდნენ, აირივდნენ, გაფრინდნენ, მოფრინდნენ, აბზულიდნენ და როცა კვამლით გაბრუდნენ ფუტკრები, მერე გადახსნა სკა და აუჩქარებლად, დინჯად სკის ხილვას შეუდგა; თან გვახარა, რომ თავლი ბლომადააო. არსენამ როცა სკის ხილვა მოათავა და ხიდან დაბლა დაემგა, სწორედ მაშინ მოგვადგა ძალი ყეფით. დეიდა ხატიჯეს ძალი შეიცნო ხუსეინ ბიძიამ და მოეფერა. ჩვენ ყიყინით გავეხმაურეთ დიასახლისს. ისიც გამოგვეხმაურა. ქაზიმ მეჩონგურემ გასძახა, აქ არ მოხვიდე, ფუტკრები დაგებენო, ქვევით, წყაროსთან მოგვიცადეო. როცა აქ ყველაფერს მოვრჩით, დავეშვით წყაროსაკენ.

დეიდა ხატიჯეს მოლზე ფეშტემალი გაეშალა და ზედ დაეწყო ხორავი. დამინახა თუ არა, მომძახა, თავლი ხომ არ გიჭამია, მაწყინარი არ იყოსო. ცოტა ვჭამე-მეთქი, და თავზე ხელი სამჯერ მიირტყა, ვაი თუ გაწყინაო. არსენამ დაამედა, ამ სკამ მაწყინარი თავლი არ იყის, ჭკუიანი ფუტკარი მყავს და იელს არ ეტანებაო. თამადად დამინიშნეს მე.

— პირველი სადღეგრძელო დეიდა ხატიჯეს ეკუთვნის, — ვთქვი მე. — რა დრო არ უნახავს მას. ახსოვს დეიდა ხატიჯეს, როცა ქართულ წიგნს სახლში ვერ შეინახავდი, ხოჯას რომ გაეგო, ამოწყევლიდა იმ ოჯახს, ღმერთის სამსჯავროზე გაიტანდა. ქალი ღვინის წვეთს თითს არ დააკარებდა. ახლა ხომ ხედავთ, დეიდა ხატიჯემ დოქით ღვინო ამოგვიტანა. ეს ღვინო მისი ხელითაა დაწურული. დეიდა ხატიჯე ახლა წიგნსაც კითხულობს. ენატკბილი, ზრდილობიანია დეიდა ხატიჯე... მობრძანდი, დაბრძანდი, ბრძანე, აი, მისი გემრიელი სიტყვები. ჩვენმა გოგონებმა დეიდა ხატიჯესაგან უნდა ისწავლონ. — ვთქვი მე და ალავერდი გადავედო ქაზიმ მეჩონგურესთან. ერთი წაუძღერა მეჩონგურემ და ჭიქა ბოლომდე დასცალა. არსენამ კი აკაკის ლექსი უთხრა — „დედის სიმღერა“.

მერე მე ამ სოფლის ახალგაზრდების სადღეგრძელო დავლიე და კვლავ ალავერდი მეჩონგურესთან გადავედი. მეჩონგურემ თქვა:

— მე მიყვარს ჩემი სოფლის ახალგაზრდები. ზოგი ინჟინერია, ზოგი მასწავლებელი, ზოგი რა და ზოგი რა. მაგრამ ერთ რაიმეზე გული მტკივა.

აი, გახედეთ პირდაპირ გორაზე რომასხლი ჩანს. იქ მხოლოდ ერთი, ოთხმოცი წლის დედაბერიდა ცხოვრობს. რა მოხდა, რა დაემართა ამ ოჯახს? შეილებიც ჰყავს და შვილიშვილებიც, მაგრამ ყველა ქალაქში გაივეტა და სახლში დარჩა მხოლოდ საბრალო დედაბერი. შეილებმა წაქეციეს ქალაქში და ვერ გაუძლო, ჩემი სოფელი მენატრება, ჩემი სახლი მინდაო. და არის ახლა მარტომარტო. რა იქნებოდა ერთი შვილი თავისი ნამრავლით ოჯახში დარჩენილიყო? ვისაც თავისი სოფელი, თავისი მამულ-დედული უყვარს, იგი ასეც მოიქცევა. გაუმარჯოს იმ ახალგაზრდებს, რომლებიც არ მიატოვებენ არც მშობლიურ ქალაქს და არც მშობლიურ სოფელს, — თქვა ქაზიმ მეჩონგურემ და ალავერდი დეიდა ხატიჯეს გადააწოდა. დეიდა ხატიჯე უარობდა, ჯერ ღვინო არ დამიღვებია და რა ვქნაო, მაგრამ უარი არ გაუვიდა. მხოლოდ ორი სიტყვა თქვა: --- ომერო-მა ჩვენს ახალგაზრდებს ის ჰკუთა და გული მისცა, როგორც ეს მე მინდაო. ცოტა მოწრუბა, ჭიქა უნდა დაედგა, მაგრამ ხუსეინ ბიძიამ არ დაანება, ცოდვა ჩემზე იყოს, დალიეო და დეიდა ხატიჯემაც დასცალა ჭიქა. ღამდებოდა, როცა ავიშალენით და სოფლის ბილიკს მივანდეთ გული.

ამბავი მემშიღე

მარადსახსროვარი ანუ გახსენება მეოთხე

ჩემო საყვარელო ბიძიავ, ქაზიმ მეჩონგურევ, აქ შენი ძველი ამბავი შე უნდა ვთქვა, უნდა მოვუთხრო ყველას შენი თბილისში მგზავრობის ამბავი. ხომ არ გეწყინება? — ვკითხვ ქაზიმ მეჩონგურეს.

— შენ როგორც გნებავს. — თქვა ხმადაბლა ქაზიმ მეჩონგურემ.

— ხან შენ იქნები მოამბე, ხან მე, როგორც მოუხდება ამ წიგნს, — ვუთხარი მე. ჩავახველე და მერე განვაგრძე კითხვა.

თქვენ წინა თავში ვიამბეთ აჭარლების გასაჭირი, ვინ სამშობლოდან გადაიხვეწა მუჰაჯირად ოსმალეთში, ვინ კიდევ მეფის ხელისუფლებამ დააბატონა; მოლაღატეობა დასწამეს ეკვიანმა მეფის მოხელეებმა და ვინ იცის რამდენ აჭარელს ციხეში ამოაყოფინეს თავი. მუჰაჯირებს კარკი დღე არ დაადგათ, გაჭირვებამ უწიათ და შორიდან მოგვაწვდინეს გოდების ხმა, შემოგვივიღეს, გვიშველეთ, ძმებო ქართველებო, დაგვაბრუნონ ჩვენს მამულში, შეწყალება თხოვეთ მეფესო. ასევე ჰგოდებდნენ ციხეში უდანაშაულო აჭარელი პატიმრები, ტყუილად დალატი რომ მოუგონეს ორგულებმა, ადამიანის მოძულე მოხელეებმა. რა უნდა გვექნა? უნდა მოვშველებოდით ერთსაც და მეორესაც. ჰოდა, ამიტომ გაიგზავნა თბილისში დეპუტაცია, რომელსაც მეფის ნაცვალისათვის უნდა მიერთვა არზა. აი,

ვინ წარგზავნა აჭარამ: რეგებ ნიჟარადე, ყემბერ ხარაზი, რეგებ შაშიკაშვილი, ისაკ ხალვაში, ჰაიდარ ბიბინზადე, თემურ ხიმშიაშვილი, ხასან ირევაძე, შუქრი თურმანიძე, ზეკერია შერვაშიძე, ოსმან კურტიკიძე, ფანჯიკიძე, სადი ყუშაძე, შევქეთ გოგორიძე, ასლან ჯაფარიძე, შუქრი ჩხეიძე, მემედ დოლიძე, შაქირ გეგელიძე... და ქაზიმ მეჩონგურე. თბილისში მიმავალნი ვაგზალში იმდენმა მოაცილა, როგორც იტყვიან, დათვლა შეუძლებელი იყო. რეგებ ნიჟარაძეს თვლიდნენ თავაკად და მას ესეოდნენ, რას არ უბარებდნენ, რას არ ეხვეწებოდნენ. „ჩემი შვილი უღანაშა, ულოა, ტყუილად დააკავეს“; „ჩემს შვილს არაფერი ბრალი არა აქვს, მუშა ბაღანა და აბა მას მთავრობის საქმეში რა ხელი აქვს“, „ხელწიფის კაცს უთხარით, ძალიან გვაწუხებენ-თქო თქვენი მოხელეები, ქალებს თვალეში ჩასციციენებენ... და ძიავ, ჩვენი ქალების თვალეში არავის ჩავახედვინებთ“. იმდენ რაქვს აბარებდნენ, რეგებ ნიჟარაძეს რომ ჩაეწერა, ერთ მოზრდილ რვეულს გაავსებდა. იგი თავს უქნევდა მეზობლებს, ნაცნობებს, ნათესავებს, აიძვლებდა, ანუგეშებდა. ხალხს ნაკადი დებუტაციას ვაგონამდე მიჰყვდა და მატარებლის დაძრამდე ფეხი არ მოუცვლია. მერე ყაბალახების და მანდილების ფრიალმა სიოდ დასძრა ჰაერი.

* * *

1916 წელი. მარტი. თბილისის ქუჩებში დაძრწის ცივი ქარი. ვაგზალი. მატარებელმა მოაკავლა. აჩოქოლდნენ დამხდურნი. აი, კიდეც შემოვიდა მატარებელი, უნელა სვლას და ბოლოს გაჩერდა. როცა რეგებ ნიჟარაძემ ბაქანზე ფეხი დადგა, მისკენ გამოექანა სამი კაცი. ერთი მემედ ბეგ აბაშიძე იყო, ასე დარბაისლურად რომ მოაბიჯებდა რეგებისაკენ. შეენოდა უღალი ჩოხა-ახალუხი. ხანჯალზე ცალი ხელი მოველო და ისე მიაბიჯებდა. რეგების თანმხლებნი ვაგონიდან უკვე ჩამოსულიყვნენ და რეგების ახლო-მახლო იდგნენ. მემედი რომ შენიშნეს, ბაგეებზე სიხარულის შუქი მოეფინათ... და ეს ჯგუფი უცებ მემედისაკენ დაიძრა, თითქმის შეგუბებულნი მდინარე მოსკდა.

— აჭარას გაუმარჯოს, ჩემს აჭარას, — მიიძახა მათ მემედ ბეგმა და უბიძგვლესად რეგებს გადაეხვია, ხოლო მერე სათითაოდ ყველას, თანაც დაუმატა: — ეს ყაზბეგია, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარე, — ეს — ნიკოლაძე, ეს კიდეც — მაჭავარიანი.

ესაღმებოდნენ სტუმრები და მასპინძლები ერთმანეთს. მემედი თვითელის გვარსა და სახელს კითხულობდა, ზოგი იცნო, ზოგი ვერა. ბოლოს იკითხა — ეს ვინ არისო. ქაზიმ მეჩონგურეო, უბასუხეს.

— ჰო, ეს არის ქაზიმ მეჩონგურე? — თქვა მემედმა და ხელი მოჰ-

ზვია ყმაწვილკაცს. — აბა, წავიდეთ, ვიჩქაროთ, დღეს ბევრი საქმე გვაქვს. უპირველესად მეფის ნაცვალი ვინახულოთ.

— ნუ გეშინიათ აჭარელო ძმებო. ჩვენ ქრისტიანი ძმები ვართ, თქვენთვის თავი არ დაგვეზოგება, თქვენთვის ყველაფერს უსხვსებთ, მეფის ნაცვალთანაც მიგყვებით და თუ საჭიროა, მეფესთანაც, — მტკიცედ თქვა ნიკოლაძემ და თან დაუმატა, წავიდეთ, ნულარ ვაყოვნებთო.

და დაიძრნენ ვაგზიდან.

* * *

აჭარლები თბილისში ჩავიდნენ და ვინღა გაუშვებდა მოუღბინებულად. ვისაც კი ხელი მიუწვდებოდა საზოგადოებრივ მოღვაწეობაში, თითქმის ყველას შეეტყო აჭარელთა ჩამოსვლა. თბილისელმა კინტოებმაც კი იცოდნენ, რომ აჭარელთა დეპუტაცია თბილისში ჩამოვიდა, რომ იგი ეახლა მეფისნაცვალს და თავისი გულისტკივილიანი არზა მიართვა. ქუჩაში ერთი მაღალ-მაღალი ყარაჩოღელი წინ გადაუდგათ:

— შეჩერდით აჭარლებო. მე თქვენი სადღეგრძელო მინდა დავლიო. მომაწოდე გიორგიჯან სავსე ყანწი, — უთხრა თანამდგომს. ამხანაგმა ვაჯსო მოვერცხლილი ყანწი და მიაწოდა მაღალ-მაღალს. გამოართვა მაღალმა, აწწია და თქვა: — თქვენ, ძმებო აჭარლებო, განა არ ვიცით რა გტკივათ, რა გაწუხებთ, განა არ ვიცით, რომ თქვენ უპირველესი ქართვლები ხართ; განა არ ვიცით, რომ ფაშებმა დაიმონეს თქვენი მხარე, რჯული შეგიცვალეს. ქართული წიგნი დაგავიწყეს, რუსთაველი დაგავიწყეს და უნდოდათ ქართული ენაც დაგვიწყებოდათ. მაგრამ, არა, თქვენ ჩემზე უკეთ ლაპარაკობთ ქართულს. გაუმარჯოს ფხიან აჭარას, რომელიც ჩვენთვის ისეა საყვარელი, როგორც ქალისათვის ვარდი. ნუ გეშინიათ, თქვენთანა ვართ. გაუმარჯოს აჭარას, გაუმარჯოს ჩვენ სტუმარ აჭარლებს!

ეს თქვა და ყანწი დასცალა.

მერე კინტო წარმოჩნდა საიდანაც და იმნაც დასცალა.

მერე იყო ხვევნა და კოცნა.

კინტოები, რომლებიც აქ უმაღვე შექუჩებულებყვნენ, თავთავიანთ ვზას გაუდგნენ.

დიახ, აჭარლებს უნადიმოდ ვინ გაუშვებდა... და შეიყარნენ „ახალი კლუბის“ დარბაზში. როცა ყველამ თავთავისი ადგილი დაიკავა, ზეზე წამოდგა გ. ყაზბეგი და თქვა:

— ძვირფასო მეგობრებო, ჩემო თბილისელო მეგობრებო, დღეს ჩვენთან სტუმრად იმყოფებიან ჩვენი ძმები აჭარლები. — ტაშმა იგრაღა,

თამადამ განაგრძო: — აჭარა, დედასაქართველოს ძველისძველი მხარეა, აჭარლები — ძველისძველი ქართველები არიან, და ისტორიას ფხიანი ხანალებით ფურცლავენ, არ უთმობენ თავს მტერს, ქედს არ უხრიან მომხდურებს. ამას მარტო ისიც მჭევრმეტყველებს, რომ მათ შეუძლებლობა შეინახეს დედაენა. მე მომისმენია აჭარელ ზეგნელთა საუბარი და გაცივებით მითქვამს: — აი, ქართული ენა, დიდება ამ ხალხს! ვადღეგრძელოთ ჩვენი სტუმრები.

ფეხზე ადგომით ადღეგრძელებს სტუმრები. შემდეგ პირველი სიტყვა მემედ აბაშიძემ თქვა. მისი სიტყვა მოკლე იყო და ყრუხანტელის მომგვრელი. რეკებ მყავანაძის სიტყვა ვედრებასავით დაისმა. კიდევ ბევრი ითქვა სადღეგრძელო და თითქოს დამთავრდა ნადიმი, მაგრამ ბოლოს მემედ აბაშიძემ თქვა, რას გვეტყვისო ქაშიმ მეჩონგურე. იუარა, მაგრამ დაახაოჩეს... და ჩონგურიც მისცეს ხელში, იქნებ ასე ეხერხებოთ მეჩონგურეს, ხომ იცი, ჩვეულება რჯულზე უმტიციესიაო.

ქაშიმ მეჩონგურემ სიმები მოსინჯა, ნელ-ნელა გამართა... და ჩამოკრა სიმებს. უკრავდა ნელა, ხმას არ იღებდა, ხმა ამოიღეო ქაშიმ, მიაძახა რეკებმა, კიდევ სდუმდა, მხოლოდ სიმთა ჟღერას უმატა... და უცებ გალობასავით თქვა:

შენ, ძვირფასო საქართველოვ,
შენ, ძვირფასო თბილისო,
სიყვარული მე თქვენი
ყრუხანტელად მივლისო,
სიყვარულით მე თქვენით.
თბილისელო მოძმენო,
გული გამხარებია
ფული მეც გიბოძეთო.
რა ვთქვა, რა ვთქვა, არ ვიცი,
გული ვის ავუღელვო,
ქართველთ ძმობას ვუმღეროთ,
საქართველოს ვუმღეროთ,
თქვენს ქებას სად არ ვიტყვი,

თუკი მე თქმა შეეძელი,
დღეგრძელ იყავ მთაწმინდავ,
მტკვარო, იყავ დღეგრძელი.
საქართველო დაგვარგო.
მერე საით ვეძებო?
დღეგრძელ იყავთ მამებო,
დღეგრძელ იყავთ დედებო.
თავს მოვკვეთავთ, მამულის
ვინც იქცევა ვაჭარად,
ჩემო საქართველოო,
შენ ტანჯულო ჭაღარავ,
მარად შენთან იქნება
შენი შვილი აჭარა...

მეჩონგურემ სიმღერა შეწყვიტა, ჩონგური გვერდზე დადო, ტაშმა იგრიალა, ტაშმა...

სად იყო და სად არა, ამ დროს ქაშიმ მეჩონგურესთან მივიარდა ზაქარია ჭიჭინაძე, მოეხვია და აცრემლებულმა თქვა: — შენ ქაშიმ მეჩონგურე. ნამდვილი ჯარისკაცი ხარ საქართველოსი, შენ იცუურბანოს ჩემი თავი, მე მახსოვს, ქედაში, ჩვენი საყვარელი ადამიანის აბღულ მიქელაძის

ოჯახში შევხვდით ერთმანეთს, მე ისიც მასსოვს, რომ შენ შეგპირდა დე-
დაენა. მე ახლა აღვისრულებ დანაპირებს.

მერე მიუბრუნდა მემედ აბაშიძეს და რეკებ მყავანაძეს:  ერეკლე

— მგონი თქვენ დღეს მიემგზავრებით აჭარაში, ქაზიმ მერქონგურე
ერთი-ორი დღით მე დამიტოვებთ, მშვიდობიანად გამოვამგზავრებ...

დაიშალა ნადიმი. ქაზიმ მეჩონგურე გაჰყვა ზაქარია ჭიჭინაძეს, ზაქა-
რიამ სტუმრებს მიამახა: — მე აუცილებლად გავაცილებთ, ვაგხალში
გნახავთო...

* * *

ქაზიმ მეჩონგურე გუმანს ვერ მიუხვდა ზაქარიას, რატომ მიიყვანა.
ეკლესიის კარებთან.

— ეს ჩემო ქაზიმ, სიონის ტაძარია. შევიდით. მღვდელს ვაკურთხ-
ვინოთ. გუშინ მთხოვა, აქ მომიყვანეო ქაზიმ მეჩონგურე, შემპირდა, რა-
ღაც შემპირდა და ვნახოთ აღასრულა თუ არა დანაპირები.

შევიდნენ ეკლესიაში. სანთლები გამოართვა ეკლესიის მსახურ ქალს
და სამი ქაზიმ მეჩონგურეს მიაწოდა — მე, როგორც მოვიქცევი, შენც
ისე მოიქეციო. ზაქარია მივიდა შანდლებთან და თითო-თითოდ ანთო
სანთელი და ჩასვა შანდალში. ასევე მოიქცა ქაზიმ მეჩონგურეც. მერე ზა-
ქარიამ მღვდელს წარუდგინა სტუმარი.

— ოჰ, ეს არის ქაზიმ მეჩონგურე! — მღვდელი მოეხვია. — მოდი
შვილო, აგერ. აქეთ მოდი და ვისაუბროთ, შვილო ჩემო, მე მღვდელი ვარ,
მაგრამ მარტო ღვთისას კი არ ვკითხულობ, არამედ ერისასაც. ჩემი საფი-
ცარი საქართველო და ქართველი ხალხია. შენ სხვა პირობებში გაიზარ-
დე, შენ ყურანს გაფიცებდნენ და არა სახარებას, არა დედაენას. აპიტომ,
გასაკვირი არაა, შენ სხვანაირად ფიქრობდე, მე სხვანაირად.

— არა, ჩემო ბატონო, ასე ყრუ და ბლუ როდი ვარ ქაზიმ მეჩონგურ-
ე, ვიცი რაა ყურანი, ვიცი რაა სახარება, ვიცი რაა დედაენა. დედაენა
ჩემი დედაა, საყვარელი ჩემი დედის ენაა. მე ქრისტეს ცეცემ თაყვანს, თუ
ყურანის შემქმნელ წმინდა მუჰამედს, ეს რჯულის, რწმენის საკითხია,
დედაენა კი დედის მუცლიდან დამყვა. დედაენაა ჩემი რჯული, ჩემი რწმე-
ნა. ჩემი საყვარელზე საყვარელი წიგნი, თუმცა მე დღემდე იგი ნატვრად
მაქვს, — თქვა ქაზიმ მეჩონგურემ და მღვდელს სახეზე მიამჩრდა, ხომ არ
ვაწყენინე რამეო მღვდელი გუმანით მიუხვდა ქაზიმ მეჩონგურეს და უთ-
ხრა:

— შვილო ჩემო, შენ მართლაც რომ გონება ნათელი ახალგაზრდა-
ხარ, ნეტავ, აჭარაში ყველა შენისთანა იყოს, ყველას შენსავით გაეგებო-
დეს; მაშინ ერის მოძღვარ ქართველებს (განუმარტა, მოძღვარი მეთაურს,

წინამძღოლს ნიშნავსო) რაღა დარდი ექნებოდათ. — თქვა თუ არა მღვდელ-
ლმა ეს, ქაზიმ მეჩონგურემ აღარ აცალა, გულით დაჰკვესა და ცოტა აქ
იყოს, ხმამალა თქვა:

— აბა, როგორ უნდა ფიქრობდეს?! აჭარა ისე უნდა ფიქრობდეს, როგორც
როგორც ფიქრობს ჩვენი საყვარელი ადამიანი მემედ აბაშიძე, როგორც
ფიქრობს ჰაიდარ აბაშიძე, როგორც ფიქრობს ჩვენი საქებარი კაცი ქო-
ბულეთელი გულო-ალა კაიკაციშვილი.

— ჰო, ჩემო შვილო, ჰო, აჭარა ჩვენი სული და გულია. ვიცი რა
დღეშიცაა აჭარა. შენ ახსენე გულო-ალა კაიკაციშვილი. ეს ნამდვილი მა-
მულიშვილია, ჭეშმარიტი ქართველია. ერთი წლის წინათ ჩვენი საყვარე-
ლი მგოსნის აკაკი წერეთლის კუბოსთან რომ სიტყვა წარმოთქვა გულო-
ალამ, მე მარტო კი არა, ყველა სტიროდა. შენ ალბათ არც კი იცი რა
თქვა მაშინ გულო-ალამ.

— არა. — თქვა ქაზიმ მეჩონგურემ.

— ჰოდა, მე მინდა გაჩუქო ის გაზეთი, რომელშიც გულო-ალას სიტ-
ყვა დაიბეჭდა. მოდი, ჯერ წავიკითხოთ აქ, ამ წმინდა ტაძარში, და მერე
გადმოგცემ გაზეთს, რომ აჭარაში წაუკითხო ყველას. — მღვდელმა გაზე-
თი გამოიტანა, გაშალა და კითხვა დაიწყო...

შენგან ანთებული ჰინძლილით...

ნამდვილო ქართველო თავადო აკაკი!

ეს რაღაც სხვანაირი ამბავია! დღეს მოყრილა მიეღი საქართველოს ერი, სხვა ერე-
ბიც ბევრია მათ შორის და გარს ეხვევიან შენს კუბოს, თითქოს რაღაცას გეხვეწებოან-
დარჩიო, ანუ გიბარებენ რაშეს საქართველოს შესახებ წარსულ დიდ წინაპრებთან, მაგ-
რამ არა მგონია, უფრო ხარ, სულია ცოცხალი და უკვდავი, თორემ ენა და სხეული ვერ
მიიღებს იმ შედარებას. არა, ვგონებ მისთვის არიან მოსულნი, რომ თავყანი სცენ, ვითა-
ცხოველის მყოფელს, შენს დიდებულ გვამს.

მეც ამ რიცხვში ვურევივარ, მოხუცებული უძლური ქართველი მუსლიმანი, გამოგ-
ზავნილი სამეხხეთის მხრიდან, იმ მხრიდან, რომელიც სამას წელზე მეტია მოიტაცა
მტერმა და მოაშორა საქართველოს. გამომგზავნეს და დამავადეს, რომ მათ მაგიერადაც
თავყანი ვსცე შენს დიდებულ ცხედარს და თუ მოვახერხე, ორიოდ სიტყვა გითხრა.

საქართველომ მუდამ მტრის ბრძოლაში ატარა თავისი სიცოცხლე; თუ სპარსნი, თუ
ოსმალნი და სხვა ერებიც ღვრიდნენ მათ სისხლს და აოხრებდნენ ქართველი ერის სა-
დიდებელ ნაშთებს და ამგვარად საქართველოს ისტორია, ქართველი ერის წამების ის-
ტორია არის; მაგრამ წამებულთა შორის განსხვავება არის. სამ ძმაში, მტერთან ბრძო-
ლის დროს, მოხდება, რომ ორი მტრის ტყვიით განგმირული უკან მობრუნებულია,
წყლული მოურჩენია და დარჩენილა თავის ოჯახში, მესამე კი სულ მტერს წაუყვანია
ტყვეთ და ჩაუგდია განუწყვეტელ სატანჯველში. აი. სწორედ ქართველმა ერმა, ოსმა-
ლეთთან მრავალი საუკუნის განმავლობაში ბრძოლის დროს, დაჰკარგა ერთი მისი ძმა —
მხარე სამცხე-საათაბაგო, უპირველესი მისი მხარე, ის მხარე, სადაც იშვა უკვდავი შო-

თა რუსთველი და მრავალნი მებრძოლნი გმირნი და სამას წელზე მეტი იყო, რომ ეს დაკარგული ძმები ქართველებს თვალთაც აღარ უნახავთ.

ბოლოს კი წარსულ რუს-ოსმალეთის ომის დროს მოხდა განგება და ქვეყნის შემოღვივებით ჩვენს უფროს მოძმე ქართველებს და ვსუნთქავთ ქართველ ერსაგან. და ამ დროს, სამასი წლის შემდეგ, სადაც შევიწახეთ ქართული დედა-ენა, ჩვენც ველირსეთ დაგვენახა დიდებული აკაკი, სინათლე, რომელიც ვითარცა უკვდავი შენ აღუთეთ ქართველ ერს; მაგრამ ჩვენი მხარე მეტად დაბნელებული იყო და ერთი საათით ვერ მოეფინება ყველგან სინათლე. და საჭიროა, რომ აქეთ უფრო მრავალი სანთელით შემოვიდნენ; და გვედარები, დაუბარე ამ შენებს, რომ ცალი თვალი და ერთი ხელით სანთელი ჩვენსკენ დაიჭირონ, გვინათონ და გვიბატრონონ, ადვადინოთ ჩვენი დედა-ენა, გვისხნან იმ გაჭირვებისაგან, რომელშიდაც ნამეტურ ახლა ვიმყოფებით, აღარ შეგაწუხებ, გაცხოონს ღმერთმან... და ვისურვებ, რომ შენფერი შვილი ბევრი გამოჩნდეს საქართველოს, განათლებულს შენგან ანთებული ჟინუდლით.

1915. თბილისი.

— დიახ, გაზეთს შენ გაჩუქებ, რომ იქ მოძმეებს წაუკითხო. — ესლა თქვა მღვდელმა და თან ისე ასლუკუნდა, ქაზიმ მეჩონგურეს შეეცოდა და ანუგეშა:

— ნუ სტირი ჩემო ბატონო, ნუ სტირი. აჭარა არ მომკვდარა და არც მოკვდება. ჩვენ იქაური ქართველები, აჭარლები მუდამ თქვენთან ვიქნებით, არასოდეს დავივიწყებთ დედაენას, არასოდეს. — ეს ისე მტიციად თქვა ქაზიმ მეჩონგურემ, რომ მღვდელს ცრემლი შეუწყდა. დაწყნარდა, ერთი ამოიხვნეშა, მერე მივიდა ქაზიმ მეჩონგურესთან და გულში ჩაიხუტა.

— შენ გაიხარე ჩემო შვილო, შენ გაიხარე, — ლულულღებდა მღვდელი. ზაქარია ჩუმად, დაფიქრებული იდგა. ვინ იცის რას ფიქრობდა ეს სამხრეთ საქართველოსათვის გულდამწვარი ქართველი კაცი. ვინ იცის, ვინ იცის! მერე მღვდელი თავის ოთახში შევიდა და იქიდან გამოიტანა საათუთად შეხვეული ამანათი.

— ეს ჩემო შვილო, ჩვენი, ჩემი და ზაქარიას საჩუქარია. შენ ხომ თქვი, დღესაც ნატვრად მაქვს დედაენაო. აი, შენ დედაენა, იაკობ გოგებაშვილის დედაენა, რომელიც პირველად გამოიცა 1876 წელს. ეს ერთადერთი სასუქვარი ცალი მქონდა, მაგრამ ზაქარიამ მოხოვა, ეს წიგნი შენთვის გადმომეცა, შენთან ერთად მეკურთხებინა. — მღვდელმა შემოაძრო გარეფურცელი და კარგად შენახული დედაენა გადააწოდა ქაზიმ მეჩონგურეს. მეჩონგურემ გამოართვა წიგნი და გულში ჩაიხუტა.

— შვილო, შეფიცე ამ ხატებს, რომ მუდამ შენი საყვარელი თანამგზავრი იქნება დედაენა.

— ვვცავ, — მტექარე ხმით თქვა მეჩონგურემ.

— მამ, დამილოცინიხარ შვილო. დე, დედაენამან გაგინათოს გზა და კვალი, დე, ამიერთი იგი იყოს შენი პურიც და წყალიც, იგი იყოს შენი ღვინოც. — მღვდელმა ნაკურთხი წყალი გადაასხურა ქაზიმ მეჩონგურეს

და თავშეუყავებლად აქვითინდა. ქაზიმ მეჩონგურე მოეხვია მღვდელს და ხელზე ეამბორა. ზაქარია ქვითინებდა.

ამ დროს ქაზიმ მეჩონგურესთან მივიდა ვიღაც შავებით მოსილი და ბაისელი ქალი და ასე უთხრა:

— ჩემო აჭარელო, ნამდვილო ქართველო ძმაო, შენს დამბადებელს ვენაცვალე მე. მე შენი და ვარ, მე შენი დედა ვარ, შენი მკვიდრი ვარ... და გლოცავ ყველა ქართველი დედის, ყველა ქართველი მანდილოსნის სახელით. აჭარაში რაკი შენისთანა მამულიშვილები არიან, აჭარას არაფერი უჭირს. ის არ მოკვდება, ის მუდამ იქნება საქართველო. ყველგან თუკი შენისთანა მამულიშვილნი გვეყოლება, არ მოკვდება ის შავშეთი, არ მოკვდება ტაო-კლარჯეთი, არ მოკვდება ლახეთი, არ მოკვდება ყველა ჩვენი ის კუთხე, რომელთაც ოდეს საქართველო ერქვა და ქართველი დედები აკვანს ურწევდნენ შენისთანა შვილებს, და კვლავაც ზრდიან შენისთანა შვილებს. შენ ქება-დიდება აჭარელო ჩემო ძმაო! — და ქალი გადაეხვია ქაზიმ მეჩონგურეს. მეჩონგურე მოკრძალებით ემთხვია ხელზე მანდილოსანს.

* * *

მეორე დღეს ზაქარიამ ქაზიმ მეჩონგურე მთაწმინდაზე აიყვანა და ჯერ აკაკის საფლავი ანახა, მერე ილიას.

— იცი, ჩემო ქაზიმ, ილია და აკაკი იყვნენ პირველი გულშემატკივარნი აჭარისა. მოვა დრო და შენ წაიკითხავ ილიას გულდამწვარ წერილებს აჭარაზე. პირველი ქართული სკოლის გახსნაც ბათუმში ამ ორი დიდი ქართველის ზრუნვით მოხდა, თორემ ვინ აღირსებდა აჭარლებს ქართულ სკოლას. აკაკის სიყვდილის უკანასკნელ წუთამდე არ ასვენებდა აჭარაზე დარდი. ურთიერთობაც ჰქონდა გონებაგახსნილ აჭარლებთან, რომლებიც ელტვოდნენ აჭარის დედასაქართველოსთან დაბრუნებას. ალბათ, შენ რომ გაგცნობოდა აკაკი, ალღვებით წამოიძახებდა:

— ეს არის აჭარის აკაკი!

— აჰ, ჩემო ზაქარია, სად აკაკი და სად მე. მე უბრალო, სოფლელი მელექსე ვარ, უსწავლელი კაცი. აკაკი ნასწავლი და ბრძენი კაცი იყო. არ თქვა მეორეჯერ, შემრცხვება, ნუ დამცინი. — მორცხვად თქვა ქაზიმ მეჩონგურემ.

— ჩემო ქაზიმ, მე როდი დავცინი, რა თქმა უნდა, აკაკის კი არ გატოლებ, მაგრამ ასე რომ ვთქვი, შენს აჭარაში, როგორც პატრიოტი ხალხური მელექსის მნიშვნელობას გავუსვი ხაზი. შენ, მემედ ჭყონიას, ხუსეინ ბაჯელიძეს, ქოჩახელას. მართლაც რომ დიდი სასარგებლო მოღვაწეობა შეგიძლიათ. თქვენ თუ მხარში ამოუღდებით მემედს, ჰაიდაარს, გულო-აღას

და სხვებს. მაშინ ველარ გაიხარებენ თურქოფილები — ვერც ვერც ეფენდი და ვერც ყარაღაზადე, ასე მძულვარედ რომ ებრძვიან ჩვენს დედანას.



— აბა, ვის უნდა ამოვუდგეთ მხარში, თუ არა მემედ აბაშიძეს? — ღონიერად თქვა ქაზიმ მეჩონგურემ.

ზაქარია დუმდა. აკაკის საფლავს დასცქეროდა. მერე ერთი მაგრად ამოიხვნეშა და თქვა:

— მომისმინე ჩემო ქაზიმ მეჩონგურევ, უნდა გითხრა აკაკის ერთი ლექსი, — თვალი მოჭუტა და თითქმის ჩურჩულით წარმოთქვა:

თვალს მიხვევენ, ენას მგლეჯენ.
და მაგდებენ საკირეში,
ურცხვად შვიდ-შვიდ პარასკევსა
მითვლიან მე ერთ კვირეში.
მამა-პაპის სწორ გზაზედა
სიარულსაც კი მიშლიან.
მაგიერად მათ მრუდ გზაზედ
ფიანდაზებს ფეხთ მიშლიან.

ვერ დავაგდებ ძველსა გზასა,
გინდა იყოს ეკლიანი:
ვიცი, სხვებიც მომყვებიან
ჩემებრ შავბუდ-ეტლიანი.
და თუ ვინმემ გადუხვია
და გადასდგა მრუდედ ფეხი.
გაუსკდეს მას დედამიწა
და დაეცეს თავზედ მეხი.

— ეს ლექსი კი არა, ანდერძია ჩემო ქაზიმ მეჩონგურევ. უპირველესად უნდა მოვუაროთ ჩვენს დედანას. აჭარაში დიდხანს იბატონა ოსმალეთმა, მაგრამ ამ კუთხის ქართველებს ქართული ენა არ დაუკარგავთ. ამას უპირველესად აჭარელ დედას უნდა ვუმაღლოდეთ. კვლავაც გვმართებს ჭირსა შიგან გამაგრება. ეს იმიტომ, რომ თუ კი ენას დაგავიწყებენ, მაშინ ქართველი აღარ ხარ... მაშ, ჩემო მეჩონგურევ, სიკვდილამდე იმდერო უნდა მშობლიურ ენაზე, — თქვა ზაქარიამ და თან ცრემლებს იხოცავდა. „გულჩვილი კაცი ყოფილა“ გაივლო გულში ქაზიმ მეჩონგურემ.

— დიახ, ეს ასეც იქნება ბატონო ზაქარიავ, — თქვა ქაზიმ მეჩონგურემ.

ზაქარიას გაეღიმა.

ერთხანს ისაუბრეს აკაკის საფლავთან და მერე დაღმართს დაუყვნენ. ზაქარიამ უთხრა, დღეს ჩვენ სადილზე დაპატიყებული ვართ ერთ ცნობილ საზოგადო მოღვაწე ქართველ ქალთან, დომინიკა ერისთავთან. იგი წერს წერილებს, ლექსებს, მოთხრობებს. როგორც იტყვიან საქართველოზე შეყვარებული გულდამწვარი ქალია — მისი ფსევდონიმია (და განუმარტა მეჩონგურეს, რა არის ფსევდონიმი) განდევილი.



დომინიკამ სუფრა აივანზე გაშალა. ღვინოს ხომ არ სვამსო, ჩემად ჰკითხა ზაქარიას. არ ვიციო. ეს გაიგონა ქაზიმ მეჩონგურემ და...

— მე წყალს არ ვსვამ.

მამასადამე, შარბათს სვამ არა. შარბათი უყვარს მუსლიმან ქართველებს. — თქვა ზაქარიამ.

— არა, არც შარბათს ვსვამ — თქვა მეჩონგურემ.

— მამასადამე, ღვინოს სვამ არა? — თვალეში ჩააცქერდა ზაქარია.

— შეიძლება. — ღიმილით თქვა მეჩონგურემ... და დომინიკამ ერთი დოქი ღვინო დადგა სუფრაზე. პატარა ყანწებიც იქვე დაალაგა. ყველაფერი რომ მოიტანა, სტუმრებს თხოვა სუფრას მოსხდომოდნენ. ზაქარიას ბოდიში მოუხადა, რომ თამადობას ვერ დაუთმობდა. თვითონ ქალბატონმა დომინიკამ ითამადა.

პირველი სადღევრძელო აჭარისა დალია. მერე მემედ და ჰაიდარ აბაშიძეების სადღევრძელო თქვა თამადამ და თან დასძინა:

— მე, როცა ვადღევრძელებ ჰაიდარ აბაშიძეს, არ შემიძლია არ გავიხსენო ერთი რამ. მოიცათ, ახლავე მოვიტან აპოლონ წულაძის წიგნს — „ძმური სიტყვა ქართველ მუსლიმანებს“, რომელიც შარშან გამოვიდა. — დომინიკამ შეიბინა ოთახში და უმაღლვე გამოიტანა აპოლონ წულაძის პატარა წიგნი.

— მე ეს წიგნი, — თქვა მან, — სახსოვრად უნდა მიეცე ჩემს ქართველ უმცროს ძმას ქაზიმ მეჩონგურეს. იმედი მაქვს, აჭარაში წაუკითხავს ძმებს, დებს, ქალებს და კაცებს. ახლა კი ჩემი წერილი მინდა წავიკითხოთ. იგი ჩემს მორიგ სადღევრძელოს ეხმიანება. მე ვადღევრძელებ ქართველ დედას. — დომინიკამ გადაფურცლა, გადაფურცლა და შეჩერდა. იგი მგლოვიარე, სევდიანი ხმით კითხულობს.

ქართველო ქალბო!

გადაიკითხეთ გუშინდელ „სახალხო ფურცელში“ მოთავსებული წერილი ჰაიდარბეგ აბაშიძისა? თუ არ წავიკითხავთ, გთხოვთ წაიკითხოთ და მაშინ დამეთანხმებით, რომ ამ სტრიქონების დამწერი უცრემლოდ ვერ წაიკითხავდა აბაშიძის წერილს, უცრემლოდ-მეთქი ვამბობ. ეს ცოტაა! მე ვკვიითინებდი ბავშვივით... ამავე აღუღებულის გულით მოგმართავთ თქვენ ყური მიაპყროთ იმ საშინელს კვენსას, იმ უშაგალითო უბედურებას, რომელიც ჩვენ მოძმე ქართველ მუსლიმანებს არგუნა ბედმა.

ქართველო ქალბო! ნუ დაივიწყებთ, რომ ამ ჩვენის გულიდან მოგლეჯილს კუთხეს ქართველმა მუსლიმანმა ქალებმა შეუნახეს ფაქიზად ის ენა, რომლითაც „ნინო ღმერთს ადიდებდა“. ქართველმა მუსლიმანმა ქალებმა უმღერეს მშობლიური ნანა თავიანთ შვი-

ლებს და მასთან ერთად შეისისხლობორცეს ის დიადი და იშვიათი ღირსება, რომელიც წმინდა ქართული რაინდულის სულის თვისებაა.

ქართველო ქალებო! ქართველი ერის მომავალი ჩვენზეა დამოკიდებული. ჩვენ უნდა ვშობოთ ჩვენი მყოფადი, ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს“ და უფლებების დიადი მცნება, გულგრილად ვეღარ შევყურებთ მოძმეთა დიდ გასაჭირს, ხმა მივცეთ გულდაკოდლი მოძმეებს, ვიცნოთ, რომ ქართველ ქალთა ნაწი გრძნობა არ გამქარაღა, იგი ერთგვარის სიყვარულით ექცევა როგორც ქრისტიანს, ისე მუსლიმან ქართველს: ვაუწყოთ, რომ ჩვენ ერთის დედ-მამის შვილები ვართ, ერთის ცის ქვეშ დაბადებულნი და აღზრდილნი, რომ არ არის ორი საქართველო, იგი მხოლოდ ერთია ქვეყანაზე და მისი შვილების უბედურება გულს გვიკლავს, რა სარწმუნოებისაც უნდა იყვეს იგი.

ქართველო ქალებო! დავებმაროთ ჩვენს მოძმეებს, გავიღოთ ჩვენი წვლილი ვის რამდენიც შეგვიძლია, და სიკვდილს და გასაჭირს გადავარჩინოთ ჩვენი ძმები და შვილები. მე თამამად მოგმართავთ თქვენ, რადგან ვიცი თქვენ უფრო გრძნობიარე ხართ და უფრო მხნედ შეუდგებით ამ წმინდა მოვალეობის ასრულებას — სიტყვას საქმედ აქცევთ. ამდენი ხანია იწერება ამ საგანზე, მაგრამ აქამდე ვერც ერთი მტკიცე ორგანიზაცია ვერ შესდგა ისეთი, რომელიც ცოტათი მაინც შეუმსუბუქებდა მწარე ხედვრს ჩვენს მოძმეებს. მე ვფიქრობ, ამას არც ადგილობრივი მთავრობა დაგვიშლის, პირიქით, ხელსაც შეგვიწყობს გაჭირვებულთა დახმარების საქმეში. მას შევერთდეთ, ვცვალოთ, და ნულარ შევყურებთ უტყვ მოწმეთ ამ კვნესას, ამ ძახილს შველისას!

ამასთანავე ვგზავნი რედაქციაში 5 მან.

დაე, ეს იყოს პირველი კენჭი, ქართველი ქალისაგან საჯაროდ მიტანილი მოძმეთა დანგრეული კერის აღსადგენად.

1915, თბილისი.

მინაწერი. ზაქარია ჭიჭინაძემ ვაგზლამდე მიაცილა ქაზიმ მეჩონგურე. მატარებლის დაძრამდე ადგილიდან ფეხი არ გადაუდგამს ზაქარიას. მერე ცხვირსახოცებს უქნევდნენ ერთმანეთს ზაქარია და ქაზიმ მეჩონგურე.

მეჩონგურე მიდიოდა მშობლიური კუთხისაკენ გახარებული, პირზე ღიმილის შუქი ეფინა. მიდიოდა და მიჰქონდა მარად სახსოვარი განძი. იგი ფიქრებს მოეცვა...

„...ჩემო აჭარავ, შენ გენატრებოდა და ახლაც გენატრება დედაენა. მე მოვაქვს შენთვის ეს მარადსახსოვარი განძი. დღეს ერთია? ხვალ ორი იქნება, ზეგ სამი... მერე ათი, ასი და ასე აჭარის ყველა სოფელს ექნება დედაენა, დიახ, ექნება.

ო, დედაენავ, საყვარელო დედაენავ! — ქაზიმ მეჩონგურემ სასოებით გულში ჩაიკრა „დედა ენა“.

„— მოვდივარ ჩემო სოფელო და თან მომაქვს მარადსახსოვარი წიგნი, დიდი ქართველის იაკობ გოგებაშვილის სიბრძნე. ანდერძი, ჩვენი სული და სუნთქვა... მოვდივარ და მომაქვს ჩვენი საყვარელი „დედა ენა“.

გავრძელება იქნება

წიგნიდან „დიდი ქალაქი“

* * *

ცხრაას სამოცდა თხუთმეტი წელი.
მოსკოვი. ცივი ზამთარი გრძელი.
მეტროს სადგური. ტრამვაის ხაზი.
ყველაფერს ერთად აქვს ალბათ აზრი.
აქვს ალბათ აზრი სიტყვას გაბედულს,
სიტყვას მართალს და არა მკვეხარას,
როცა ზიხარ და ლექსით რამე თუ
აშენებ შენი ფიქრის ქვეყანას.
აშენებ ახალ სოფლებს, ქალაქებს,
ახალ ჰესებს და ახალ სადგურებს...
ჭეშმარიტება საქმეს განაგებს
და თვალთმაქცობის გზებს ანადგურებს.
აშენებ, კოსმოდრომებს აშენებ,
ხარ ყოველ წუთში საქმით გართული,
მსურს მოგიტანო და მოგაშველო
ჩემი თამამი სიტყვა ქართული.
მსურს მოგაშველო ჩემი ხელები,
ხელები, ყოვლის შემძლე ხელები,
ჩემი ყანა და ჩემი ვენახი,
ვენახი, ავთვალს რომ არ ენახვის.
ჩემი ზღვა — ჩემი ოქროს საბადო,
ზღვაზე გემები, ალბატროსები...
შენ იცი, რომ ზღვა არის გაბედვა,
ზღვაზე ყველანი ვართ მატროსები.
რომ მიწა უხმობს ზღვაზე წასულებს,

ზოგჯერ სოფელიც ბინდისფერია.
დაობლებულა მეფის ასული,
დალხინებულიც ძლიერ ბევრია.
ზოგის დაფნა და ზოგის ეკლები,
ზოგს გვირგვინი და ოქროს საყურე...
შენ ჩემი ჯავრი ნულარ გექნება,
მიხმე, მიბრძანე და მიმსახურე.
ჩემი დღეების გმირი შენა ხარ,
ჩემი მტერი და ჩემი მოყვარე.
ძნელია გულში დარდის შენახვა,
ამიტომ ყველა ერთად მოვყარე.
და ყოველივე ასე დავიწყე,
დავიწყე იმით, რითაც ვცხოვრობდი,
ღმერთი როგორაც უნდა გამიწყარეს,
სათქმელი უნდა გითხრათ ბოლომდე.

* * *

ახლა იღვიძებს ყველა ატამი,
დაძაბულ ნერვებს დილა ამშვიდებს.
მე სულ პატარა სითბოს ვნატრობდი,
ვინ ამისრულებს ნატვრას მაშინდელს.
როგორ ვიყავ და როგორ ვცხოვრობდი,
ვერა და ვერ ვთქვი ჯერ მესამედიც.
გარდასახდელი ბრძოლის მოლოდინს
ყოველდღე ვხვდები და ვესალმები.
საქმე როდია მარტო მოსწრება,
სულ სხვაა როცა ვინმე დაგიშლის.
ღონ კიხოტივით გაზრდილ ოცნებას
კლავს მოლოდინი დიდი ქარიშხლის.
და უხილავი ქარიშხლის ფრთებით
ირეკებოდა დუმილის ზარი.
როცა გამოჩნდა ნაცნობი მთები
და კიდევ ერთი გაიღო კარი.
მე დავარღვიე სიჩუმე ბოლოს.
რომ გამეტეხა იჭვი ფარული.
ყველა თავისი ცხოვრებით ცხოვრობს
და ბოლოს კვდება ამ სიყვარულით.

ახლა საკუთარს მისამართს ვეძებ,
და კაცმა რომ თქვას, რას ვემართლები
თუ კი ყველასთვის და ყველას ბედზე
დაწერილია მისამართები.
თუ ყველაფერი არის წინასწარ
აწონალი და ჯავშანდასმული.
აღბათ იფიქრებს კაცი იმასაც,
რომ ყველაფერი უკვე დასრულდა.
მაგრამ აღრეა, რა დროს ეგ არის.
გზა, გზა, ძვირფასო, დროს ნუ დაკარგავ.
რწმენა ჩაიცვი როგორც ბეგთარი,
მერე განსაჯე ქვეყნის ავ-კარგი.
დროა გაიძრო ყალბი პათოსი,
რწმენა ჩაიცვი, როგორც პერანგი,
დიღია სივრცე და ასპარეზი,
როგორც ეს ცა და არქიპელაგი.
სწორედ ისეთი, რასაც ნატრობდა
შენი გული და შენი გონება,
გახლეჩილია ორად ატომი,
პროტონებად აღ ნეიტრონებად.

* * *

ჩემი ბავშვობის ტყე რომ წამართვი,
ასე უღმერთოდ რატომ გაკაფე?!
აღარც მაღალი მთების აღმართი,
აღარც შაშვი და აღარც კაკაბი!
აღარც ქედნები, აღარც მერცხლები,
საით გაფრინდით ჩემო მერცხლებო,
ნუთუ ხვალ მართლა აღარ მეცლება,
ნუთუ ხვალ მართლა შევივერცხლები?!
რა იქნა ჩემი მწარე ზღაპარი,
ჩემი „წიქარა“ ნუთუ დასრულდა,
რა იქნა ჩემი მეფის სახლ-კარი,
ჩემი ლამაზი მეფის ასული?!
საით წავიდნენ ჩემი დათვები.
ჩემი დევები.
ოქროს ვერძები...

გავა მარტი და როცა დათბება
მათი გზა-კვალი უნდა ვეძებო.
ახლა კი, რადგან ვიხმე წაჩსული,
დევებთან ბრძოლა მიწევს ისედაც,
ჩემი ლამაზი მეფის ასული
ნეტავი როდის დამესიზმრება.
ორღობეა და ძაღლები ყეფენ.
ქარია და ცა მიუსაფარი,
აი, გამოჩნდა შიშველი მეფე.
მაგრამ პატარა ბიჭი სად არი?!

ს ი კ ვ დ ი ლ ი

კაცს ვერ ნახავ ქვეყანაზე
სიკვდილივით პატიოსანს,
ერთნაირად უგებს მახეს
მდიდასს,
ღარიბს,

მეფეს,
მგოსანს...
კაცს ვერ ნახავ ქვეყანაზე
სიკვდილივით პატიოსანს.

ღამე ოსტანკინოში

მხოლოდ და მხოლოდ ტელეანტენა,
ფანჯრის რაფა და ფერადი ფარდა...
ახლა არავინ არ მენატრება
ჩემი ლამაზი სანშობლოს გარდა.

* * *

დეკემბერი გავიდა,
იანვარი მოვიდა,
მალე მოვა თებერვალიც
და გაზაფხულს მოგვიტანს.
იანვარიც გავიდა,
თებერვალი მოვიდა...
დაღლილი ვარ,
დაღლილი ვარ,
დაღლილი ვარ

ომითა.
კიდევ მოვა შემოდგომა,
კიდევ მოვა ზამთარი,
ისევ ისე მომიხტება
კარზე თეთრი აფთარი.
მომიხტება და ვიომებ
სიბერესთან,
ზამთართან...
ყველა ომი მე მოვიგე,

რაც მოხდა და გათავდა.

სულ ომში ვარ

მანამ,

სანამ

ტყვია შემომაკლდება,
მანამ,

სანამ

საკუთარ გულს

თვით არ შემოვაკვდება.



თბილისი. რუსთაველის პროსპექტი

რა იქნებოდა რომ არ გავეშვი,
ყველაფერს ისევ ვიწყებ თავიდან.
გზა ამერია ლამაზმანებში
და აღარ ვიცი საით წავიდე.

ოსტანკინოლან

მოსკოვი. ვაშინგტონი. პარიზი.
პეკინი. ბერლინი. რომი...
ქალაქებს ვიხილავთ მთვარეზეც,
თუ კი არ მოხდება ომი.
ყველა კონტინენტზე მიცხოვრია,
სასტუმრო „ევროპაც“ ვნახე
და ყველგან ომების ისტორია
ვერ მალავს საკუთარ სახეს.
ნუთუ შეიძლება ვეღარ ვიცნო
ჩემი მშობლიური სახლი,
ჩემი ანგელოზი — დედამიწა,
მისი მოფუსფუსე ხალხი.
სივრცისა და დროის განაჩენი
მხოლოდ და მხოლოდ ჩანგით,
ახალ ქალაქებს ვავაშენებთ
და ზედ სიყვარულს დავრგავთ.
მოსკოვი. ვაშინგტონი. პარიზი.
პეკინი. ლონდონი. რომი...
აზრი დამწიფდება მთვარეზეც,
თუ კი არ მოხდება ომი.

როდის ვიყავით ნეტა ბავშვები,
 როდის ვიყავით, როდის.
 როგორ მოხდა რომ გულის მაგიერ
 მკერდში ჩაგვედგა ლოდი.
 მომეცით ჩემი პატარა გული,
 წაიღეთ თქვენი სიბრძნე,
 ვეფერები და იმედით ვუვლი
 ჩემი ბავშვობის სიზმრებს.
 ჰქონდა სხვა ეშხი და სილამაზე
 ტყიდან გუგულის ძახილს.
 ო, რა ლამაზი ქვეყანა იყო,
 რა გულკეთილი ხალხი?!
 ამღერებული ცისკარი იყო,
 ზამთარი ერქვა ზამთარს.
 გადახვეოდა ვენახი ჭივოს
 ზაფხულის ღია კართან.
 მეფერებოდი, მუხლზე მისვამდი,
 სულ სხვა იყავი მაშინ,
 უბრალოდ, თითს არ ამოისვამდი,
 რომ ჩაგვარდნოდი თვალში.
 ახლა სულ სხვა ხარ, ჩაქრა ის ცეცხლი,
 ერთმანეთს ვეღარ ვუვლით,
 მითხარით ხალხნო, როგორ ვიცოცხლო
 გაქვავებული გულით?!

* * *

სიყვარულის პოეზიას
 უარი ვეღარ ვუთხარი,
 გულს ფიქრები მოესია,
 როგორც ყვავილს ფუტკარი.

ფერხული და ზეიმი აქვთ,
 გამოსულან სამღერლად.
 ჩემი გულის თაფლი მიაქვთ,
 მიტოვებენ ნაღვერდალს.

არაფრის არ აქვს დარდი,
 ქედსაც არასდროს იხრის,
 სძულს — თავისუფლად დადის,
 უყვარს და სასჯელს იხდის.

მე დამნაშავე მქვია,
 მას კანონები ფარავს, სიყვარულისთვის სჯიან,
 სიძულვილისთვის — არა!

მ ხ ა ტ ვ ა რ ი

გახვეულია თამბაქოს ბოლში
 შენი ოთახი, შენი წიგნები,
 შენ არ ყოფილხარ არავის როლში,
 რაც დღეს ხარ, ხვალეც ისე იქნები.
 ყაჩაღებივით მოსეულ ფიქრებს
 უძილო ღამე უჭერს მარწუხებს.
 ბავშვებს არა აქვთ პური და იქნებ,
 იქნებ ბავშვების ბედი გაწუხებს.
 ჩანს ფრესკა რამდენ რამეს ღაღადებს,
 შენ გეჩქარება და უკვე დროა,
 ფეხი აუდგამთ ფერად ნახატებს
 და ბავშვებისთვის იმედი მოაქვთ.
 ხელში უჭირავთ შენს დაღლილ ხელებს
 მაღალი ცა და უსახლგრო სივრცე.
 რომ სიმღერები აჩუქო ხმელეთს
 და შერე უკვდავ სიმღერად იქცე.
 შენ არ გიტაცებს ჭიქა არაყი
 და სულ სხვა არის შენი მირაყი,
 და ვალმოხდილი დგახარ ამაყად
 შენი ქვეყნის და ხალხის წინაშე.

ჯამალ ჯაყელი

მარბაღობები ნიქარაში

გამედვიძება თუ არა, ლოგინი საფლავივით მეუცხოვება და ვდგები. ბუღბუღლის სტვენას ვუსმენ. დილის ექვსი საათიდან იწყებს გალობას. მასში საოცარი სიწრფელება, პირველქმნილი სისუფთავე და ალერსია ადამიანისა და ბუნების მიმართ. რაღაც განსაკუთრებულს ვგრძნობ და თვალდახუჭული ვოცნებობ — ნეტავი ყველა იმას განიცდიდეს, რასაც ახლა მე, ნეტავი ყველა იმას მღეროდეს, რაც გულით ემღერება. არა, კი არ მეხარბება, მიხარია, რომ არის ყოვლად უპრეტენზიო, უჩინარი ფრინველი და ქვია ბუღბუღლი. საწუხ არს, რომ აქ ზღვის ამ მიმოქცევაში ბუღბუღლის ხმას ვერ არჩევენ; მერე რა თუ სმენაც აქვთ და გემოვნებაც. ამიტომაცაა, რომ ყველაზე უნიჭო მომღერალსაც კი ისე წარმოადგენენ... კონფერანსიე რა შუაშია. ის ხომ არ ადგენს პროგრამას?!

საოცრად წყნარია ზღვა ამ დილას. ვზივარ ნაპირთან და... ორი ბედნიერება ერთად მაქვს — ზღვასთანაც ვარ და ბუღბუღლთანაც. ზღვა გაიტრუნა ბუღბუღლის გალობაში: ხან აწკრიალებს, ხან უსტვენს, თითქოს კენესის კიდევ. ეს კენესაც ძალიან წრფელი და თავისუფალია. შესაშური, არა?

ფეხის ხმა მომესმა. ის, ცხადია, ხელს მიშლის, მაგრამ გალობის ღვათებრივ ბგერებს მაინც ვისმენ. მოახლოვდა და ეს ბგერებიც გაქრა, ბოლოს კენჭებზე ხრამუნი მკვეთრად გაძლიერდა და თვალები გავახილე. — ერთი შხვერთი გოგო ზღვისაკენ თავდაჯერებული კმაყოფილებით მოდიოდა და სულაც არ გრძნობდა ჩემს განსაცდელს.

რამ მოიყვანა აქ ამ დილას? შევხედე და იმ წუთში მოვაცილე თვალი, გავიფიქრე, ერთი კენჭი რომ ყოფილიყო, ის არ გაიხმაურებდა. ორი, სამი და ბევრი რომაა, ერთმანეთს ეხახუნება, იხეხება და ხმაურობს...

სულაც არ მაინტერესებდა, ის ვიღო ლამაზი იყო თუ არა. ამაყობდა იმ ზღაპრულ ხმას დავებიდღი, კენჭების ხახუნით გამოწვეულმა სიტყვებზე რომ გადამიკარგა.

ქალიშვილმა ტანთ გაიხადა. ტყლაშუნზე მივხვდი, რომ წყალი ძუნ-
ლებამდე მოადგა. ეტყობა, წყალი ეცივა და დაბრუნდა. რატომღაც ვიგ-
რძენი, რომ ჩემსკენ გამოიხედა. უყურადღებობაზე მგონი განაწყენდა.
ისევ ჩაიცივა და მეზობელ ძელსკამზე ჩამოჯდა. კვლავ დუმილი ჩამოვარდა
და თავისუფლად „ვიპოვე“ ჩემი საოცნებო გალობა. თითქოს მიმიხვდაო
და გამოსაჯავრებლად კენჭების სროლა დაიწყო. შევხედე, ძალიან ლამა-
ზი მომეჩვენა. „ნეტავ მართლა ასეთია?“ გავიფიქრე, მაგრამ სმენა მაინც
ბუღბუღლს მივაპყარი. წამოდგა. მომიახლოვდა და ამრეზილად შემომხედა.

— კვი?

— ჩაიარეთ! — ვთქვი ისე, არც კი შემიხვდავს. წავიდა, ნაბიჯს აუჩ-
ქარა, თითქმის გაიქცა. ეტყობა, ჩემს უყურადღებობაზე ძალიან გაჯავრ-
და ქათინაურებით გათამამებული თავნება.

მეორე დღეს სრულად მოულოდნელად შემხვდა. უკანასკნელ მო-
დაზე ეცვა. ხელი გაბედულად გამომიშვირა და საკმაოდ სერიოზულად
თქვა:

— ლია!

— ?

— მე არა ვარ ლამაზი?

— ხარ.

— მაშ, გუშინ...

— რა საჭიროა ქათინაური.

— ახ. ხოო!

— მთავარია, რომ ლამაზი ხარ. რა საჭიროა ამაზე ლაპარაკი? ტაში?
გრიალი? სილამაზე უნდა შეიგრძნო და იოცნებო. ქათინაურსა და ოვაცი-
ას თხოულობს ულამაზო, რომელსაც ლამაზის პრეტენზია აქვს და გო-
რილასა ჰგავს...

— ახ. ხოო? მე ყოველდღე მეუბნებიან, რომ ლამაზი ვარ.

— ნახვამდის! — ვთქვი მე ცივად.

— ჩემზე შეყვარებულია ერთი. მეუბნება, რომ საოცრად ლამაზი...

— ნახვამდის!..

და, აი, მოულოდნელობა! ტკაცანი ქუჩის მეორე მხარეს გაისმა. შე-
მომხედეს, ვერ გაიგეს, ასე მოულოდნელად რამ გაიტყაცუნა. რა იცოდნენ,
რომ სილა ვიწვნიე! შერცხვა. შუბლი მხარზე დამადო და აქვითინდა. გა-
წითლებულ, გახურებულ ლოყაზე ხელი მომისვა და ვიგრძენი — ბოდის
მისხიდა.

— სისუსტის ნიშანია ეს. — ვთქვი მე.

— ხოო?

— ვისაც ახსოვს, მოსწონს, უყვარს, — არ ყვირის. სიწყვეტის ნიშანია იტანს ხმაურს. ყალბ ოვაციას. დიდი სიყვარული, ჭეშმარიტი ზნეობა მუხჯიანო, ბრძანა დიდმა კაცმა.

— ხოო?

— სცემს უნებისყოფო, დიდებას მოითხოვს თავის სიმართლეში და ეჭვებუღი, ოვაციებით იკვეხნის უნიჭო. ოვაცია ეფექტის კიბეზე მოჩვენებითია. მთავარია გულით მიღებული, ათვისებული. როცა გულს უხარია, იღიმები. როცა ჭკუას უხარია, ხარხარებ. ხარხარი ხმაურია, ღიმილი, ხსოვნა და სიყვარული.

— ხოო?

— ჩაიარე, შენ ძალიან პატარა ხარ.

— როგორ, აი შენი სიმაღლე ვარ.

— მე ვთქვი პატარა ხარ-მეთქი, და არა დაბალი, თანაც... ჰო, ხვალ-კარგი დარი იქნება. დასალიერი ვარდისფრად შეიღება.

— ხოო?

— ჩაიარე! როცა გაიგებ, რაა შენი მიზანი, იდეალი, მაშინ მოდი...

— ჩემი მიზანია შევქმნა კარგი, კულტურული, თანამედროვე ოჯახი. მყავდეს ინტელიგენტი ქმარი... ავტომანქანა, ავეჯი, აგარაკი... გავაჩინო ქალ-ვაჟი. გავზარდო ნამდვილ ადამიანებად. ერთი იყოს მუსიკოსი, ერთიც — გეოლოგი.

— სულ ესაა?

— მინდა მიყვარდეს... (ახ რა კარგია) ქმარმა არ იეჭვიანოს. ვიმოგზაურო, ვიყო ფუტკარი ნეტარებისა და პეპელა ჰაეროვნებისა. ნექტარი მქონდეს თითო წვეთი ყოველდღიურად და არა ათასი წვეთი ერთბაშად.

— კარგია! — ირონია შემეპარა ხმაში.

— ქმარს უნდა ეხუროს შლაპა და ეკეთოს ჰალსტუხი. ინტელიგენტის არის ინტელიგენტი.

— მაშ კარგი. ჩაიარე.

— ნუ ეხუდება შლაპა და ნუ ეკეთება ჰალსტუხი.

— კარგი, ჩაიარე.

— ნუ მექნება ავეჯი და ავტო-მანქანა.

— ჩაიარე.

— რა არის? — გაწიწმატდა ლია.

— ცოტა გყოფნის და ისაა. ქმარ-შვილი, ოჯახი, ფუფუნება, ჰალსტუხიანი ქმარი შეიძლება ყავდეს ავსტრალიელს, რომელსაც შენსავით პიონერულ მარშზე არ უსწავლია სიარული.

— ხოო?

— ჩაიარე.
— მაშ, რაა საჭირო?

— ჩაიარე.
— შენ სხვანაირი ხარ, იცი!..

ზღვისაკენ შევბრუნდი. თოლიების ირაომ მომზიბლა. ღია ახლოს მოვიდა და თვალეში ჩამაშტერდა.

— სხვანაირი!..

— როგორი?

— უგულო და მკაცრი.

— ღია, იცი რა ვითხრა, ძალს ადამიანმა ასწავლა კბენა. ხილვა უფრო ძლიერია, ვიდრე სიტყვებით მისი გადმოცემა. ემბრონიდან გონებამდე ხილვაა, გონებიდან პრაქტიკამდე აღმოჩენა. ძალს აღმოჩენილი შესთავაზა ადამიანმა, — კბენა. ისიც კბენს. მას პირველ ხილვებთან არავითარი საერთო არა აქვს. შენი ოცნება და მიზანი, სურვილი და იდეალი — ისწავლო, გათხოვდე, შექმნა დიდებული ოჯახი, დაუზარლო ქვეყანას შეილები — ეს ცხოვრებისაგან, იქნებ ქვეცნობიერადაც, შენზე ნაკარნახევია და არა ცხოვრებაზე შენგან ნაკარნახევი. აქ შენი ხილვები გამოირიცხულია... თოჯინა ლამაზია, მაგრამ... კრეტინობაა. როცა არ იცი რა უნდა ქნა საოცნებო ზღვარის იქით; როცა ყველაფერი კეთილად აგისდებდა, — იმის მერე, შენ გქვია ჩემი დროის ახალი ადამიანი. მაშ, იმას რა ქვია, ვინც იცის რა უნდა აკეთოს ასეთი ოცნებისა და დიდი უზრუნველყოფის შემდეგ. არა, შენ მანეკენი ხარ რეკვიზიტებით სავსე ცხოვრებისეულ სცენაზე. ის კი — ახალი ადამიანი. ის იტყვის, რომ სიცოცხლე ათანასწორებს ადამიანებს და არა სიკვდილი.

— ახ. ხოო?

— ხვალ კარგი დარი იქნება... გუშინ ჟანჩა ცალ ფეხზე იდგა... საწყენს გავიგებ.

— აი... ისეც შენ! — თქვა და ისევ გამაწნა, თვალე დავხუჭე. დაწვები მეწვოდა, მაგრამ ხმას არ ვიღებდი. „ხორცი და სული ერთად დადის და ერთმანეთის არ ესმით“ — გავიფიქრე და შემოვტრიალდი. ღია ლანდის სიმსუბუქით გაუჩინარებულყო. ვიგრძენ, ჰორტენზიების უკან ჩაცუცქულიყო და ტიროდა. იტიროს!

* * *

— რატომ მოხვედი? — ვკითხე მე.

— რაღაც მინდოდა მეთქვა. არ ვიცი რა არის ეს „რაღაც“. ვერაფრით მოვუძებნე სახელი. ისე კი ვიცი, რომ საგნებს თავისი სახელი ჰქვია. ჰო. მართლა, გავთხოვდი.

— ძალიან მიყვარს ახალი. სხვადასხვა ჯიშისა არსებობს...

— მე ვთქვი, გავთხოვდი...

— იელი მისი წინაპარია...

— ნუთუ არაფერს გეუბნება ეს სიტყვა?

— მეშხანი როგორაა სხვანაირად?

— კარგი, საკმარისია... ოღონდ — გავთხოვდი!

ახალიას ყვავილი მოვწყვიტე და დავიდე შუბლზე. უნებართვოდ ცისაკენ ავიხედე. მომეჩვენა, თითქოს ლილისფერი ლაქვარდი თვალეზე მედო, უსასრულოდ მაღლა, ლაქვარდებში ვიყავი და... ცისარტყელა ჩემს ქვემოთ ელვარებდა...

— არა. ოცნებით გავთხოვდი!

— როგორ?

— ოცნებით, ოცნებით... მართლა კი არ გავთხოვილვარ, ისე ოცნებით გავთხოვდი.

— მერე?

— ქორწილში იყო ხუთასი სტუმარი, თითოეულმა ოცდაათიდან ორ-მოცდაათ მანეთამდე შემოსწირა ქორწილს. დაგროვდა ოცი ათასი მანეთი. ეს სიმდიდრე დამატა ჩემი მეუღლის ძვირფას ბინას. ქონებას, აგარაკს, მანქანას, ავეჯს... მდიდარი ქალი ვარ. მაღე შვილები შემეძინება.

— ეს საინტერესოა

— ყველაფერი თავსაყარად მაქვს, ვმუშაობ. ვცხოვრობ, ვმოგზაურობ.

— ესაა სულ?

— ჩემში ახლა რაღაც ხდება... ამბობენ, ყვავი სამას წელიწადს ცოცხლობსო.

— საშინელებაა იცოცხლო სამას წელიწადს და არ იცხოვრო ერთი წელი, ერთი თვე, ერთი კვირა, თუნდაც ერთი დღე. შენ გათხოვდი, ყველა სანატრელი აღისრულე. სამსახურსაც რომ თავი დაანებო, უზრუნველყოფილი ხარ. დაიკრიბე გულზე ხელები და იყავი...

— რაა ამაში ცუდი? ვაკეთებ იმას, რაც მომესურვება...

— ჩაიარე! შენ ცხოვრობ იმით, რაც შეუქმნია ბუნებას და ადამიანს შეუქმნია აუცალებლობითა და კანონზომიერებით, სიყვარულითა და იძულებით. შენ არაფერი არ შეგიქმნია და მაინც გქვია ადამიანი, თანაც — ახალი ადამიანი...

— მაშ?

— კარგი — კარგია, ცუდი — ცუდი. მოსაწყენია მარტო მსჯელობა და მარტო შეფასება.

— მაშ?

— არა ოდენ კარგი. არა ოდენ ცუდი! თუნდ უფრო კარგი, თუნდ უფრო ცუდი, ოღონდ ახალი, ამაღლევბელი!.. არაფერი ისე არ ფიქრებს და აბერებს ცოცხალ ორგანიზმს, როგორც ადვილზე სიარული ადვილზე რბენა, ადვილზე...

— ტკეპნა?

— ტკეპნა.

— ეს, სადა ვართ?

— ყველგან ვართ და არც არსადა ვართ. ეს ზღვაა. ზღვა ყველგანაა. ბევრი, ბევრი წყალი კი — მხოლოდ აქაა, ბევრი წყალი შეიძლება ჭუჭყიანიც იყოს, ზღვა კი — არა, ის მუდამ სუფთაა, უმანკოა, მარგალიტის შემოქმედია, მას აჭუჭყიანებენ, ესენია ცრუ მეფენი და ცრუ მონები, უფრო სწორედ—ამათი ტანსაცმელებით შემოსილნი. აი, მე ვიცი ერთი... იცვამს სხვისი ხელით შეკერილ მუნდირს. ამ მუნდირში ის ღვთისნიერ კაცსა ჰგავს, ლამაზიც გგონია და მოწყალეც. ბედნიერი არიან მისი ნახვით. წმინდა გიორგის გამოჩენად მიაჩნიათ მისი დანახვა, იმასაც ამბობენ, ღმერთიაო. ლამისაა მუხლი მოიყარონ და ილოცონ მასზე, მაგრამ... ჰოი, საოცრებავ, გაიხდის აი მუნდირს და... თურმე კუზიანია, ხეიბარაა, უსახურია, თანაც გულღამო. წლების განმავლობაში თურმე ამოდ უსმენდი, ამოდ გჯეროდა ამ ხეიბრისა. ამ ამოების გამო გული გტკივა, გტკივა, გტკივა! ან რად გჯეროდა მისი წმინდანობა, ან რატომაა ასეთი კუზიანი, უხიაგი, უნჯი, მათხოვარი...

— მაშ მუნდირი ყოფილა ყველაფერი...

— მას შემოქმედი კვრავს, ის ღმერთამდე ამაღლებულია, საწუხ არს ფრიად, რომ ამ დიდებულ მუნდირს მახინჯები იცვამენ, თანაც იცი რას შერებთან? — ამ მუნდირის შეკერავ შემოქმედს დღისით ელაციცებიან, ღამით კი შარვალს ხდიან. ტაქიმასხარები არიან.

— მომწვიდა და მიხარია. ყველაფერი თავსაყარად მაქვს და მომშვიდა. გამოდის, რომ მოთხოვნილების გრძნობა არ დამკარგვია, რა კარგია! მე კიდევ სხვა გრძნობაც უნდა მქონდეს. ჩემში რალაც ხდება, თავისთავში რალაცას ვიჭერ. მივდივარ და გამიბრბის. რა ქვია მას? ხილვა? იქნება ვეგა!

— ცხადია, ვეგა! ვეგა ყველაზე კაშკაშაა. სიბნელეს ხევს და მინათებს თვალებს. მოდი, ვეგა, სულთან!

* * *

— რატომ მოხვედი?

— თავისთავში რალაცას ვიჭერ, მივსდევ და გამიბრბის... ვგრძნობ, რომ მას შენ მფარველობ, შენ იცი რა არის ის, სად არის ის. იცი და

ჩემთან არ გასურს ლაპარაკი. მეუბნები — ჩაიარეო. მკაცრი ხართ, უფრო ათი...



— რატომ მოხვედნი?

— მგონი გითხარი გავთხოვდი-მეთქი, არა? არ ვიცი ეს სიზმარი იყო, თუ ცნება თუ გასაგნებული ხილვანი. ნამდვილად მგონია, რომ გავთხოვდი.

— ბედნიერი ხარ, არა? — საიდანღაც სტვენა მომესმა. ყველაზე შერევილიც კი ყველაზე ინტიმურ, თბილ, მისებურ სიმებს. აბამს გარემოსთან, როცა უსტვენს რომელიღაც სიმღერას ან მისი განწყობილების შესაბამის მოტივზე. რატომღაც სტვენა მომინდა.

— შენ ახლა არ მისმენ.

— როგორ არა, გავთხოვდიო! — სივარეტი ამოვიღე.

— მყავს ლამაზი, ახოვანი ქმარი. ტანმალალია. ზუსტად იცის, რა უნდა აკეთოს ყოველდღე. სამსახურში არასოდეს დაუგვიანებია. ერთსა და იმავე დროს ბრუნდება. ყველაფერში ზუსტია. ისიც იცის, როდის უნდა მკაცროს... სულელი ვარ, არა? შენ ახლა არ მისმენ, მგონი უსტვენ კიდევ?! — თმები თითებით შევივარცხნა, ღრმად ამოისუნთქა და ნახევარხმაზე ამოაყოლა — „გავთხოვდი“... თვალები დახუჭა და გაიტრუნა.

— სისულელეა! — ვთქვი და ძელსკამზე გავსწორდი. ლიამ ჩემს მხარზე ხელი ჩამოაცურა, სკამს მიეყრდნო და თვალები გაახილა. შევხედე და მომეჩვენა, თითქოს ცისფერი ჩამოსდიოდა დაწვებზე, სახეზე; ეს ფერი ედებოდა ოქროსფერ თმებს, მხრებს და მთლიანად ცის ფერში იძირებოდა თითქოს კოსმიური სიღრმიდან, ეშვებოდა ძლივს შესამჩნევად. ნელა, თანაც ნარნარით. „რატომ აქვს ამ გოგოს ასეთი უსაშველო ცისფერი თვალები?“ — გავიფიქრე და ვთქვი:

— წადი ლიკა, სახლში!

პასუხად შემომხედა, თითქმის უაზროდ გაიღიმა და თქვა:

— ჩემმა ქმარმა ყველაფერი თავის დროზე იცის. კოცნაც კი. ბევრი ფული აქვს. მანქანა იყიდა. ჩემი სიამოვნებისათვის ნავიც კი შეიძინა ზღვაზე ვისერინოთო. ჩვენია ქვეყანა. სულსაც არ დაგიშლი, ოღონდ არ მიღალატო. ათი კოსტუმი აქვს, რაც აქვს, იმიტომ კმაყოფილი. შვილები დაგვეზარდა. ერთი არის მუსიკოსი, მეორე გეოლოგი. ქმარი ბედნიერია ამ ქვეყნიური ბარაქით, სიკეთით და ჩემით.

— შენც ბედნიერი ხარ.

— მეც ბედნიერი ვარ, — ყველაფერი თავსაყრელად მაქვს.

გამეცინა.

ლიასაც გაეცინა.

რატომღაც უფრო ხმამალა გამეცინა. ლიამაც გადაიკისკისა.

აგზარხარდი.

სიცილისაგან ორივე ვფართხალეზდით. ძელსკამი წაიქცა და გადავ-
ცვივდით. კენჭებზე თავე დავკარით. წამოვდექით, კეფა გვეწვოდა, მგზამ
არაფერს ვაპბობდით. რამდენიმე წუთის შემდეგ ვიგრძენით სიცილის ეშ-
მაკი ფრთებს კეცავდა და თვალებიდან ჟინი გადადიოდა. მგონი მგონი
ბი გვედგა თვალბში.

— რატომ იცინოდი? — ვკითხე.

— შენ?

— მე — ისე, ტყვილა.

— მეც. — დასძინა და ოქროსფერი თმები მხრებიდან გადაიკრია.
წყალი მომწყურდა. მე ცივი წყალი დავლიე, და მას ნაყინი შევთა-
ვახე. სული დაუბრუნდა ბუდეს და გონება განათდა.

— რატომ იცინოდი? — ისევ ვკითხე.

— რა ვიცი. შენ?

— არ მახსოვს, მგონი მანეკენზე გამეცინა.

— ბედნიერების მოდელზე?

— ჰო.

— მაშ, რაა ბედნიერება?

— ძიება.

— არ მესმის.

— ბედნიერება არის ძიება, გაიგე?

— ვერა.

— წადი ლიკა სახლში, შენ პატარა ხარ.

— არა, არ შეცინება, რომ პატარა ვარ და ვჩურჩულებ — მოდი
ვემე, სულთან! როცა მე ვავიგე, ერთ კუბურ სანტიმეტრ წყალში იმდენი
ენერჯის მოპოვება შეიძლება, რამდენიც საოკეანო ვემს ოც კილომეტ-
რზე გაიყვანს, — ვთქვი ბედნიერი ვარ-მეთქი. ჩემი ქმრის ათ კოსტუმს,
მანქანასა და ნავს მიჩვენია ეს აღმოჩენა!

— თქო, შენ ცოტა გაიზარდე, მგონი ერთ სანტიმეტრამდე მოგემატა.

— ეს ძალიან ცოტაა, — გაიღიმა ლიამ.

— ეს ბევრიც კია, რადგან შენ ვერ ხედავ განსხვავებას უკვე აღმო-
ჩენილის ათვისებასა და ახლის აღმოჩენას შორის. შენ ბედნიერად თვლი
თავს არა იმ ფუფუნებითა და უკიდურესი უზრუნველყოფით, არამედ
აღმოჩენილის ათვისებით. ახლა ნახე, რამხელა ბედნიერებაა შენი აღმო-
ჩენა?!

— მაშ...

— აკი გითხარი, ბედნიერება ძიებაა! წადი ლიკა სახლში.



— რატომ ინგრევა ოჯახი, როცა ინგრევა? რა ამის მიზეზი: სიღატაკი, სიმდიდრე თუ გონებრივი სიბეცე? ან რატომ აჩენენ მარტოობა? შვილს?

— შეშხანები არიან. — ტაქსის მძღოლს ვანიშნე გაჩერება. მუხრუ-
ჭებმა გაიხრჩიალა. ლიამ ხელი მოჰკიდა, — არ დამტოვო.

— შეშხანები არიან...

— შენ ახლა აქ, ხარ და აქ მაინც არა ხარ. მგონი ვერც ვამჩნევ. —
ლიამ თმები გადაიკრია და ისეთი პოზა მიიღო, თითქოს ყელი მოიდუ-
რათ.

— მე მხოლოდ მშვენიერებას ვამჩნევ. პირველად ხელოვანმა ადამი-
ანის სილამაზე აჩვენა. ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. აჩვენა ადამიანის გან-
წყობილება. არც ამან არ იკმარა. ბოლოს აჩვენა ადამიანის მისწრაფება,
გატაცება, ინტერესი, რომანტიკა... ესაა მშვენიერება.

— ცხადია, სხეულის სილამაზესთან ერთად! — გადამიჭრა ლიამ.

— ლამაზი სხეული არაა განმსაზღვრელი სულის სილამაზისა.

— ბევრი რამ იცი და არ ამხელ. ამბობ, მოდელი მომწყინდაო, ახა-
ლი მინდაო, ამ ახალში კიდევ ახალიო... როდისღა აპირებ ცხოვრებას?

— როცა ვიტყვი — „სეზამ, გაღე“ და „ვევრიკა“... როცა ხალხს მი-
ვცემ იმას, რაც არ აქვს და არ გამოვუტენავ თავს იმით, რაც აქვს.

— მთავარი არ არის „ვევრიკა“?

— უდაბნო ძალიან ცხელი კუთხეა პლანეტისა, ათასჯერ რომ გაიარო,
ამდენჯერვე ერთსა და იმავეს ნახავ: სილა, ქვიშა, აქლემი, ბარხანები, უწყ-
ლობა, მოულოდნელი ოაზისი...

— „ვევრიკა“ ხომ წამიერებაა! გეყოფა წამიერი ცხოვრება.

უკვდავებისათვის წამიც საკმარისია. წამით ცხოვრება სჯობს ათასი
წლის სიცოცხლეს. ხალხმა იცის, რომ რძე სასარგებლოა და ნიკოტინი —
მავნე. რა საჭიროა ამის ათასჯერ განმეორება, ყვირილი, ძახილი, სტვენა.
ერთი კაცი ლექციიდან გაიპარა, რადგან იცოდა, რომ რძე სასარგებლოა
და ნიკოტინი — მავნე. იქ კი მხოლოდ ამაზე იყო ლაპარაკი. რატომ გა-
იპარეო, კაცი დასაჯეს. ეს არ არის ტაკიმასხარობა?!

— მაშ ტაშს რაზე უკრავენ, როცა მეთასეჯერ ერთსა და იმავეს ეუ-
ბნებიან?

— აი, შეხედე, ტბაზე გედმა ფრთები გაადგაფუნა, რა ოვაციაა?!..
მაგრამ არ გაფრინდა. გედი ძალიან ლამაზია და იშვიათად ფრენს. მერე
რაი თუ ფრთებს ადგაფუნებს. მისი ნებაა.

— მეტიჩრობაა, ხომ?

— ცოტა უფრო სხვა.

— თავს იფასებს?

— ზოგჯერ გაუცნობიერებლადაც ადგაფუნებს ფრთებს. იცის, ასე მოუხდება და რა ქნას.

— წინა დღეს ახალგაზრდა კოლ-ქმარი გაეყარა ერთმანეთს. მისი მეტყინა, ამბობენ ქმარი ძალიან უყურადღებო იყო. ფიზიკოსია, დღლიდან საღამომდე წიგნებს, ნახაზებს, ამოცანებს ჩაჰკირკიტებს.

— ქალი?

— დიასახლისია.

— შეხედე, რა რიგ მოხერხებულად ფცქვნიან ის ახალგაზრდები მზე-სუმშირას. ძელსკამზე ყრიან და აჭუჭყიანებენ...

— რაა დიასახლისობაში ცული?

— დონეა მთავარი. უზრუნველყოფას თუ არ შეესაბამება კულტურის დონე, ფული დანაშაულისაკენ უბიძგებს კაცს.

ჩვენს ირგვლივ ძელსკამზე შტერი ახალგაზრდები ისხდნენ. მზესუმშირას შეეჭკოდნენ, ურცხვად ფრუტუნებდნენ და ფეხბურთზე ლაპარაკობდნენ. ეტყობოდათ, წესიერად არც ფეხბურთში ერკვეოდნენ. მათთვის მთავარი იყო მოდურად ელაპარაკათ.

— წავიდეთ აქედან, — თქვა ლიამ და წამოდგა.

— ბაზრის წინ ხალხი ირეოდა, ფუსფუსებდა, იფუსფუსონ, ხალხითაა ქვეყანა. ქვეყანა ბაზრითაცაა. ბაზარი გამოფენაცაა. გამოფენაზე ბილეთი სულ ზევით იწევს, ვითარცა კაბა უხნეოთა.

— კარგი ახლა. უცებ მომინდა არ დაგიჯერო. არა და მჯერა! — თქვა მან.

ისევ სანაპიროსკენ გავსწიეთ. ყაყანი მოტორების ხმამ შეცვალა. რა სასიზღვრებია ეს მოტოროლერი, — ერთ კაცს იტევს და უფრო მეტს ხმაურობს, ვიდრე გემი, რომელსაც შეუძლია ათასი კაცი აიყვანოს. — ვთქვი და ვიღაცას შევეჩხვებ. მგონი რომელიღაც თავმჯდომარე იყო. ტერფზე უნებურად ფეხი გამკრა. ისეთი თვალებით შემომხედა, ეტყობოდა ჩემგან ბოდიშს ელოდა.

— მე კი ვუთხარი:

— არაფრის!

— მე სახლში მივდივარ! — თქვა ლიამ.

— წადი.

— უნდა მიიზრა, არ წახვიდე. ქალებს ასეთი რაღაცეები სჭირდებათ. არა და მომბეზრდა..

— არ წახვიდე (თუ კი ასე გჭირდება).

— მგონი, უნდა დავუბრუნდე ჩემს „ქმარ-შვილს“, ფუფუნებას, შენ რომ მოდელს ეძახი. ეძიონ სხვებმა და იყონ ბედნიერი... მიწვდნენ. შენ

მალალი ხარ...

— ზოგი სიმაღლის სურვილით ცერებზე იწევს. ზოგი დაბლის ხარ-
რისთვის წელში იღუნება. მე კი ასე ვდგავარ. დე თქვან, სარგადაც
ლიაო...

— მკონი, მე ყველაზე ლამაზი ვარ, როცა დიდ უზრუნველყოფაზე
ვფიქრობ; ნამდვილი ქალი ვარ, როცა ფრჩხილების შეღებვაზე, თეატრზე,
შვილებზე ვფიქრობ. ეძიონ...

— მართლა, ლიკა?

— მართლა, გეწყინა?

— ჩაიარე, ჩაიარე. თუ ოდნავ გაიზარდო, მოდი აქ, ზღვასთან. მე
აღრევე გეუბნებოდი, წადი სახლში-მეთქი.

ლია უკან-უკან წავიდა. შეჩერდა და შემომაცქერდა. თითქოს ხელე-
ბი ჩემსკენ გამოიშვირა და ნაბიჯიც გადმოდგა, მაგრამ არა! ისევ უკან-
სვლით დაშორდა, ციბრუტივით შემოტრიალდა და გაიქცა. იმ დღას
შემდეგ ლია აღარ მინახია. იქნებ ასეც სჯობდეს. მე ჩვეულებრივ სამხატ-
ვრო სახელოსნოში ვფუსფუსებ. ვხატავ, ზოგს ჭვარს ვუსვამ, ზოგს ვი-
ძებ და ვარ ბედნიერი, რომ ვიპოვო, რაღა ვიქნები?.

* * *

ნაწვიმარი იყო. მზემ ახლად გამოაჭყიტა და ქვეყანას ორთქლი აადი-
ნა. ლია მზისფერი შორტებით იწვა დივანზე და ფეხი ფეხზე ედო. ფიქ-
რობდა და სრულებით არ ესმოდა არც ფრინველების გალობა და არც
მუსიკა. სარკეში თავის ორეულს თვალი მიაკყრო და მხარი იცვალა. მკე-
რღზე მოტმასნილმა ატლასმა შეაწუხა და შეიხსნა. საამოება იყო ორგე-
ლივ, მას კი ფიქრებისათვის თავი ვერ წაერთვა. წარმოიდგინე. თითქოს
თეთრი კაბა ჩაიცვა და საპატარძლოდ გამოეწყო. თითქოს... „აი, ხალხი
შეგროვდა, დაიწყო ქორწილის ცერემონიალი. ისმის სიმღერა დუდუქე-
ბის თანხლებით. ცეკვავენ კინტაურს, შალახოს. მღერიან ყარაჩოღელები...
არა, დავანებოთ თავი დუდუქებს, კინტაურს, შალახოს და ყარაჩოღე-
ლებს. უკრავენ როიალზე, ასრულებენ რომანსებს!... გეთანხმებით, რო-
მანსებს კი არა, თანამედროვე მოდურ სიმღერებს. ქეიფობენ, ღრეობენ...
ხალხი გაიკრიბა... საპატარძლო ოთახი... შემობრძანდა ნეფე და...

ტელეფონზე დარკეს. ლია წამოდგა და გაეპასუხა, ღონისძიება ახ-
სენეს. რაღაც საქმეზე ლაპარაკობდნენ. მერე გამოირკვა, რომ ადრესანტი
ცდებოდა — ელაპარაკებოდა ლიას და არა... ლენცოფას.

ლიამ დააგდო ტელეფონი, ტრანზისტორი გამორთო და დივანში ფა-
ნჯრებისაქენ ზურგშექცეული ჩაწვა. ლამაზი იყო ლია და ლამაზი, მზის-
ფერი შორტები ეცვა. მოიკეცა და თვალეხი დახუჭა. ყველაფრის დავიწყ-
ება მოუხდა, მაგრამ წელანდელმა ფიქრებმა მოჰპარა სურვილი და

კვლავ ფიქრებს მიეცა.

„აი, შემოვიდა ნეფე... რა უნდა ქნას მან, რითი იწყება, საიდან და როგორ იწყება ცოლ-ქმრობა? თუაზში სინათლის გამორთვით? მგონი არა. ცოლქმრობა რაღაც უფრო დიდით უნდა დაიწყოს. — ინტერესი, მოვალეობის, პასუხისმგებლობის და სხვა ამდაგვარი გრძნობით? არ ვიცი“...

„ძალიან გაკვირდა შვილების სახელების შერჩევა. ვერ გადაიწყვეტია, რა დავარქვა ქალ-ვაჟს: დავითი და რუსუდანი, ცოტნე და ქეთევანი? თამარი და... არა ეს სახელები შესაბამისი ეპოქების სინონიმებად გადაიქცა და არ გამოდგება. ის სხვა დრო იყო, ახლა სხვა დროა. ახლა შეიძლება ვინმეს ერქვას გორგოლაჟა და იყოს კოსმონავტი, ერქვას პროპელერი და იყოს კაცი-ამფიბია.. ამიტომაც ამბობენ, ჩვენს დროში არაფერი არ უნდა გავიკვირდესო. მაშ, რატომ კითხულობენ — ვინ დაძვრებო მიწის ქვეშ და ვინ ღებავსო ბოლოკს? ჰა, ჰა, ჰა! ეს რა გასაკვარია. ძვრებიან და იძრომელონ მიწის ქვეშ და იტაკიპასხარაონ, ოღონდ მიწაზე მარადიული მზე იყოს, ბოლოკი იყოს გემრიელი, მართლა წითელი და არა ხელოვნურად წითელი, ვილაცის ჭუჭყიანი ხელით შეღებილი, რომელმაც მხოლოდ ეს ფერი იცის და არა მისი მნიშვნელობა. განა ცოტაა კრეტინი ამ ქვეყნად?!

— ლია! — კრძალვით მიმართა ქმარმა და სანამ გაეპასუხებოდა, მხარზე ეამბორა. ამით მან გამოხატა მის მიმართ აურაცხელი ყურადღება და სიყვარული. მან უხერხულობა იგრძნო და წარმოთქვა: „რას ინატრებ, ლია? წამალდაც დაგეწაფები, ოღონდ ინატრე“.

„მადლობთ, არაფერი არ მინდა... ჰო, რა უნდა მეკითხა, — ვინ ღებავს ბოლოკს და „კარამელში“ ვინ ღებს „პავიდლას“.

„ეს სულაც არ მადლეგებს, ჩემო კეთილო, მთავარია „კარამელი“ იყოს ტკბილი, მისი ყიდვის სურვილი მუდამ მქონდეს და ვიყიდო ერთისთვის ათი, ასი“.

„ხოო?“ — გაიკვირა ლიამ.

„აბა, რა!“ — თქვა „ქმარმა“.

„უნივერსალში საქონელმცოდნენი“...

„ოჰ, ჯერ არ მინახავს მყიდველი, მიემართოს საქონელმცოდნეთათვის. კოსტუმს მოირგებენ, შეხედავენ, გადააბრუნ-გადმოაბრუნებენ, შუქზე ფერთა სიციქლის გამო რომ არ მოტყუდნენ. ფანჯრისაკენ მიიწევიან და მუშტრის თვალით ერთხელ კიდევ დახედავენ, ძალიან დახარბებული თუა, იქვე გაუყრის მკლავებს და ჩაიცვამს, არა და ღიმილით ეტყვის გამყიდველს ერთ სიტყვას „შეახვიეთ“, და შინაგანი კმაყოფილების გრძნობით მიმოიხედავს... მას არც ის ენაღვლება, ვინ შეეკრა კოსტუ-

მი, არც ის, ვინაა საქონელმცოდნე, არც ის, თუ ვინ მიაკრა იარაღი, ხოლო თუ კი ორი-სამი დღის ტარების შემდეგ გაირღვევა, მაშინ შეიგინებს უმისამართოდ. ეს გინება, ცხადია, პირველად ტექნიკურ-სტროლის განყოფილების რომელიღაც საქმოსანს შეეხება, მაგრამ მისა- მოიდგინე, მყიდველს ისიც კი არა ჰყავს მხედველობაში. ის აგინებს ვი- ლაცას, ერთს, ზოგადიდან მის თავში წარმოდგენილს და, თუ ძალიან გაჯავრდა, იმასაც იტყვის — „ეჰ, ჩვენები ვერ აკეთებენ ძააო, საზღვარ- გარეთულ კოსტუმს არაფერი სჯობია!“

„აი, ხედავ, ერთი საქმოსანის უყურადღებობამ მთელი ქვეყანა გაა- ლანძღვინა მყიდველს.“

„მყიდველს არაფერი ენაღვლება გარდა იმისა, იაფად იყიდოს კარგი“.

„მაშ, ვინლაა ქვეყნად კარგი კაცი, თავისი დროის შვილი“.

„ვინც ამგვარი სიამოვნებით ნაყიდ კოსტუმსაც არ დაზოგავს მაშუთ- ში გასასვრელად და... თუ დაინახა, ბავშვი უვარდება მატარებელს, გადა- ეშვება და გადაარჩენს, თუნდაც ფეხი მოიტეხოს“.

„კი, მაგრამ ასე, ხომ ყველას შეუძლია გააკეთოს, უცხოსაც?“.

„ისიც კარგი, თანამედროვე კაცია ალბათ, ჩვენი დროის შვილი“.

„არა, ყველა არაა, ჩვენი დროის შვილი“...

„მაშ“...

„ჩვენი დროის შვილია ის, ვინც მარადიულ ძიებაშია, ვინც ბედნიე- რია სხვისი ბედნიერებით“. — თქვა ლიამ.

„არიან კი ასეთები?“

„შენ არა ხარ ასეთი, მაგრამ არის ერთი კაცი ასეთი, მე ერთს ვიც- ნობ, ბევრნი არიან“.

„ახ, ხოო“.

„დიახ“.

„მაშ, შენ იმ კაცს იცნობ, არა?“

„ვიცნობ და ამით ვამაყობ კიდევ“.

„ესე იგი, მძალატობ. სირცხვილი და სიკვდილი შენი, შვილებს მა- ინც რა პასუხს აძლევ. მარგალიტებივით შვილები გყავს, ერთი გეოლოგი იქნება, მეორე — მუსიკოსი. ბინით უზრუნველყოფილი ხარ და აგარა- კით, გაქვს ძვირფასი ავეჯი და ბედნიერება, არსად არ მტუშაობ, რადგან ამისი აუცილებლობა არა გაქვს, მანქანას დააქროლებ, როგორც გინდა. გარდერობი სავსე გაქვს. „აფსუსს!“

„რაა ეს „აფსუსს!“

„მძალატობ“.

„არ გძალატობ, ასეთი აზრადაც არ მომსვლია, მე ვთქვი, არის ნამდ- ვილი ჩემი დროის კაცი ესა და ეს-მეთქი. მე მომწონს მისი აზრები და

არა, ვთქვათ, თვალები, ესაა და ეს.

„ეს კი ლალატია, მე ყველაფერს ავიტან, გარდა ლალატისა... მგერამ მიყვარხარ და რა ვქნა“.

„თავს ნუ იკატუნებ“.

„მიყვარხარ, შენ ძალიან ლამაზი ხარ. მემამაყება, როცა შენთან ერთად დავდივარ კინოში, თეატრში, აგარაკზე“.

„აზ, ხოო?“

„მემამაყება“.

„გასაგებია, მომეშვი“.

„უნდა გაკოცო“.

„ეს საზიზღრობაა, მომეშვი. შენ ჭაობში ხარ, ამას სხვანაირად დაკონსერვებას ეძახიან... მომეშვი“.

„კონსერვის ქილის გასახსნელი ერთიც საკმარისია ათასისათვის. ხელში უნდა ავიყვანო, გაკოცო და ვიამაყო“.

„აჰ, მიშველეთ!“ — წამოიძახა ლიამ და წამოხტა. შუბლზე თმები ჩამოსწეწოდა და თრთოდა. ფიქრებიდან გამოერკვა და მიმოიხედა. სარკეში თავის ორეულს მოჰკრა თვალი. თავისთავის შერცხვა, ვარდისფერი კაბა გადაიცვა და ქუჩაში გამოვიდა. მიდიოდა, მიდიოდა თავდაჯერებით, თითქოს შირბოდა, მაგრამ საით? სად ეჩქარებოდა?

* * *

— რატომ მოხვედი, ლიკა? — ვკითხე მე.

— არ შემეძლო არ მოვსულიყავი.

— მაშ?

— მიყვარხარ.

— წადი, ლიკა, სახლში, აიღე კოჭი და იატაკზე აგორე, გაერთობი. კარგია, ვთქვი და პურის ქერქი ისე დავლეჭე, სულაც არ მომრიდებია, ან რა არის მოსაზრებელი? ძელსკამიდან წამოვდექი და სანაპიროსაკენ გავემართე. ფეხქვეშ კენჭები ჩხარუნობდნენ და მსიამოვნებდა. ვიგრძენი ლია ფეხდაფეხ დამედევნა. მე ეს აინუნშიაც არ ჩამიგდია, პირდაპირ, ჯიუტად, შეუპოვრად წავედი ზღვისაკენ, მინდოდა ასევე ტანთგაუნდელად ჩავვარდნილიყავი აქოჩრილ ზვირთებში, მეც ავქოჩრილიყავ ბობოქარი ზვირთებივით, მარლიანი ქაფი თმებზე დამდებოდა და თევზივით თვალახელილი ჩავცურებულიყავი ფსკერამდე.

წყალი მუხლებამდე რომ მომადგა, ლია დამეწია. მკაცრად გადავუგდე სიტყვა — წადი სახლში-მეთქი, და ვიგრძენი, რალაცამ ისე გაიტკაცუნა... სილა გამაწნა ლიამ. ყურებში რალაცამ გაიწივლა. გავბრუნდი. შემდეგ ვიგრძენი, ლია კატის სისწრაფით მომეკიდა, შიშველი მკლავები

კისერზე შემომაჭდო და ვარდისფერი მკერდით დამეტმანა, ვიდექით ასე
გადაჭდობილი, ერთ სხეულად გადაქცეული და არა გვესმოა რა ტალღე-
ბი მუხლებს გვილოკავდნენ. ზღვის უფსკრულიდან ბუბუნი მესმებოდა უფრ-
თქოს მაფრთხილებდა: „წინ, მხოლოდ წინ მარგალიტით სავსე წყაროებსა
საკენ, ძიება უპირველესად სიყვარულია. ლიკაც ძიებაა, გაუფრთხილდი
მას და იარე წინ!“

ზღვის სივრცეები უსასრულო იყო და უსასრულოდ ლამაზიც იყო.
ლიკა ხელში ავიყვანე და, მგონი, ავტირდი.

მამულის ცაზე ვარსკვლავები მუდამ ინათებს

თუ იტყვი რომ მე ვარო,
მეც ვიტყვი რომ მე ვარო,
ყველა ასე წამოწეება,
ახლა მე რომ ვწევარო.

ეპიტაფია

დასრულდა შფოთი
და ჩემს გარშემო ღამე ჩამოწვა დაუსაბამოდ,
მე, სხვათაშორის,
მზის მოტრფიალეს,
ახირებულად მიძულდა საღამო.
მაინც როგორი სწრაფი ყოფილა
წუთისოფელი თავის ავ-კარგით,
მასვა სამსალა, არ მამყოფინა,
მამწრალს საბრალო მკვდარი დამარტვა.
მე მტერის რისხვად მერტვა მხედარი
და ვერ გამჩნევდი
სიკვდილის ლანდის მობანცალებას,
მაინც გაიდეს მხრებზე ჩემი მიძიმე ცხედარი
და დაიჭერეს გარდაცვალება.
ჰოი, რა ვიწრო, რა ბატარა არის საძვალე,
ერთ დროს უსაზღვრო სივრცეებს და ველებს
ენატრობდი,
მკვდარს ნუ დამარტმევთ, სხვა რაც გინდათ იმად
ჩამთვალეთ,
რადგანაც ვიყავ ბიზოქარი სულს პატრონი
ნუ იტყვი, ძმაო, ნურასოდეს მე ვარო, მეც ვარ...
ხომ ხედავ ვიყავ, ხმაღს ვიქნევდი და ახლა ვწევარ...
თუ გინდა იყო შენი ხალხის ბრდღვილა გულთან

ვიდრე იცოცხლებ, მამულისთვის იზრუნე მუდამ.
მამინ საფლავშიც გაგიტბება დადლილი ძვლები,
მამულის მზით და სახელი მკვდრების
გაჩირაღდნდება

წინაპრების წმინდა სახებად.

რადგან ჩვენ მოვკვდით საქართველოს გადასარჩენად
ჩვენც, სიკვდილი სიციოცხლეს ნიშნავს.

მე მეშინოდა, მაგრამ ჩემს გულზე მტერს ფეხის დადგმა
ალარ ეღირსა.

შენ კი ორგულებს, მაწანწალებს, მათ გახრწნილ სულებს
ვერ ააფარებ ფოთლებს ლედვისას.

მამულის ცაზე ვარსკვლავები მუდამ ინათებს,
სიციოცხლე მამულს, იავნანას, აკენის მრავლობას,
ვინაც ამენებთ რუღუნებით, ვინაც ინახავთ
წმინდა სავანეს, რომ გადასცეთ შთამომავლობას.

* * *

ვიდრე ობლის კვერთხით ჩაგეკვრება,
და ცრემლი —

ცოლის ცოემლი ღვართქაფად დამაძინდება
უბიწო გრძნობის ცხელი ჭიდან,
წუთისოფლის თაფლი და ქვამარული მინდა.

ვიდრე ამსრულებია სურვილები ულევნი,
გულსაც ძალუმს ძალ-ღონე,

ნათელს არ ჭვრეტს დეკემბრის

გრძელი ღამის ბინდად,

ამ გულივით ხალასი სიყვარული მინდა.

მინდა სულის აწყვეტა, ქარბორბალას ძალა,

ქარავენის მოთმენა, გოგო თვალმაყვალა,

ჩემი მიწის ჰური და ღვინო თავანკარა.

მინდა შეუმჩნეველი მამულს მეც არ ვყავდე,

ამ დალოცვილ მიწაზე მინდა არვის ვგავდე,

ვიდრე ობლის კვერთხით ჩაგეკვრები მდუმარი,
როგორც მირაქებიდან გაპარული სტუმარი.

ცაში ავიჭერ, სიყვარული თან აწყვა მიწის.
ფიქრები სად არ მატარებენ ფერად ხალიჩით.
აქ, მაღლა ცაში, მზესთან ახლოს, მზესავით ვიწვი...
თუ მშობლიური მხარის ნახვას ასე განვიცდი...
რა ცოტა დარჩა... გული ლამის ამოტრიალდეს,
ნეტავ ამ გრძნობას რა დავარქვა, ნეტავ რა მიხდა...
გადავეფრინეთ კავკასიონს, დევივით იწვა.
ღრუბლების ქვემოთ ბალი ჩანდა სემირამიდან.

უმნი დაბადების დღე

წვიმს.

კვამლი საოცრად იზღანდება სარდაფში ღვინის.
გადაღებამდე დავრჩები ალბათ.

სისულელეა „საფერავით“ მოიკლა ჟინი.

სისულელეა გწამდეს მხოლოდ ღვინო და ქალი.

მე ერთი ჭიქა შევეუკვეთე, სულ ერთი ჭიქა,

წვიმამაც თითქოს გადაიღო სულ ერთი წამით

და ვაღღეგრძელე სიყვარულით გამთბარი რიცხვი ---

ოქტომბრის სამი.

* * *

სიცხე ღელიდან ადგა ზოზინით,
აღმართს შეუყვა ბებერ მუხლებით,
ლოცვად ამდგარი ანგელოზივით
მოღიხარ ჩემთან ჯერ ხელუხლები.

გატყდა ბავშვობა და ლამის შიში,
ნაწისკვილართან ეშმაკს ვერ ვხედავ,

იქ ახლა ცისფერ ხალათით ქვაზე
ჩემი ბავშვობის დღეები სხედან.



ლურჯი ოცნება მზისკენ მიიწევს,
თვალეებში მიდგას ზეცა მამულის,
ჩა ვქნა, ვერ მითქვამს, თუმცა ამ გრძნობას
რით გაუტოლდეს სხვა სიხარული.

მადლობელი ვარ, ყველა სურვილი
აქ იწყება და არ უჩანს ბოლო,
მიწაში ფესვი ისე გამიდგამს,
რომ სიყვარული ხარობდეს მხოლოდ.

* * *

შენთვის მომკვდარა რამდენი მიწე,
მაგრამ კვდებოდნენ მონები მიტწილ,
მარადიული სათნო დუმილი ---
თავის გაწირვა — ხილია ბეწვის.

რაზეც ჯამბაში და მუშაითი
ვერ გავა თუმცა თავს რაცხს სამისოდ.
ჩა იქნებოდნენ არაგველები
უბეწვისხიდოდ
და უკრწანისოდ?!

* * *

ვუახლოვდები შენი სულის უხილავ სიმებს,
თითქოს სიცოცხლეს ვიწყებ თავიდან,
ვით სატრფოს ბარათს, ვატარებდი რწმენას და იმედს-
და სიჭაბუკე ისე გავიდა,
ცხოვრება ასე რთული და ტკბილი.
ბალი მეგონა სემირამიდას.

0 8

კაცი უჩინო, კაცი მაჩინი,
ყველას ერგება თვისი არჩივი,
მაგრამ სანდახან ჩიტი-ჩიორა
დაუხატიათ როგორც არწივი.
შენ წინაპრების ნაქონი სიბრძნე
გადამიშალე თვალწინ კარტივით,
ამიერიდან მე მკაცრად ვიგრძენ
არ არის ქვეყნად ყოფნა მარტივი.



საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯამალ ხოჯაჩი

მ ე ბ ა რ ჯ ე

„ცხვირი რას ჩამოვიშვიათ,
ნავს ნუ მიუშვებთ ნებაზე,
ვეშაბი ბარჯით დაბარჯა
ჩვენმა მამაცმა მებარჯემ!“

ნანტაკეტური სიმღერა

გორკის ქუჩაზე, ერთ-ერთი სახლის მესამე სართულზე ცხოვრობს იგი. ასეთი სახლი ბევრზე ბევრია ჩვენს ქალაქში. და მაინც გამოირჩევა. აქ ყველაზე უფრო ხმაურიანი ეზოა. მაინც რამდენი ბავშვია ამ ეზოში, რამდენი სიცოცხლე, რამდენი სიხარული, რამდენი მომავალი...

მას იშვიათად ხედავენ სახლში. სტუმარივით ჩამოდის, დაისვენებს და ისევ თავის საყვარელ საქმეს მიაშურებს. სახლიდან დიდი ხნით წასული კაცი, რა თქმა უნდა, ყველას ენატრება, მაგრამ მე მგონია, იგი მაინც ყველაზე უფრო ამ ეზოს ბავშვებს ენატრებათ. ჩამოსულს რომ დაინახავენ, მიესევიან, მისცვივდებიან, შემოეხვევიან, მიეტმასნებიან და მიესიყვარულებიან. ბავშვმა ყველაზე მეტად იცის ადამიანის გულისა და ხასიათის გამოცნობა. მასაც ძალიან უყვარს ბავშვები და აბა ისე როგორ მოხდება, რომ ჩამოვიდეს და ხელცარიელი გამოჩნდეს მათთან.

სალამის თქმას ვერ მოასწრებ. დაგინახავს თუ არა, ოდნავ, ოდნავ მოჭუტავს მწიფე მაცვალივით შავ თვალებს, ჯერ ტუჩის კიდზე სინათლესავით წამოებარება ღიმილი, მერე თვალბში ჩაიბუდებს, მერე მთელ სახეს მოედება და ალაღად, გულკეთილად, ბავშვურად გაგიღიმებს ამხელა კაცი და მშვიდობის დილას გისურვებს. ვაჟკაცური ხელისჩამორთმევა იცის; შედგება შენს წინ, გამოგიწვდის ვეება მარჯვენას, დიდხანს არწევს ვეება თითებში მოქცეულ შენს ხელს და თბილად, ახლობელი-

ვით მოგიკითხავს. ალბათ ყველაზე უფრო გამომხატველად ეს უმუშაობა და გულითადობა მოგხიბლავს უპირველეს ყოვლისა მასში.

სამუშაოზე მაღალია, მკვრივად ჩამოსხმული და მხარბუჭების საგან გარუჯულ სახეზე ოდნავ აქერცლია კანი... მძიმედ, ოდნავი რბევით დადის და დაკვირვებული კაცი მაშინვე მიხვდება, რომ ამ კაცს ცხოვრების უმეტესი ნაწილი ზღვაზე გაუტარებია და ზღვა უფრო მშობლიური და ახლობელია მისთვის, ვიდრე მიწა, რომელზედაც დააბიჯებს, მიწა, რომელზედაც წელიწადში მხოლოდ სამოციოდე დღე თუ უწევს სიარული.

ამ კაცს კარგა ხანია ვიცნობდი. მოხდა ისე, რომ მისი ასავალ-დასავალით არასოდეს დავინტერესებულვარ, უბრალოდ, მეზღვაური მეგონა და ჩვენს ქალაქში მეზღვაურით ხომ ველარავის გააკვირვებ ახლა.

ერთხელ ერთმა ნაცნობმა მასზე მანიშნა და თქვა: — იშვიათი პროფესია აქვს ამ კაცს!

— იშვიათი? არც ისე, იგი ხომ მეზღვაურია?

— კი, მეზღვაურია, მაგრამ როგორი!

— მაინც როგორი?

— ვეშაბთმჭერი!

— რაო?!

— კი, მეზარჯეა!

ეს კი ნამდვილად არ ვიცოდდი!

— ჰო, მეზარჯეა! — გაიმეორა მან, — თურმე სულ ორი მეზარჯე ყოფილა ქართველი და...

ის მეორე უკვე აღარ მაინტერესებდა. და აი, სწორედ ამ საუბრის შემდეგ დამეზარდა სურვილი დამეწერა ამ კაცზე — ჩვენს თანამოქალაქეზე, მეზარჯესა და ადამიანზე, რომელსაც ასეთი მძიმე შრომატევადი და ამავე დროს რომანტიკით აღსავსე პროფესია აქვს.

და აი ჩვენ ვხვდებით ერთმანეთს. დინჯად მისმენს, თითქოს ყოყმანობს, თითქოსდა ვერ გადაუწყვეტია, მიაშობს თუ არა თავის საქმიანობაზე, ამხანაგებზე, იმ პროფესიაზე, რომელსაც მან ყველაფერი ანაცვალა და ცხოვრების მთავარ მიზნად გაიხადა.

— კეთილი! — მეთანხმება ბოლოს, — რადგანაც გაინტერესებთ... მაგრამ წინასწარ გაფრთხილებ, ისეთი არაფერია მოსაყოლად რომ ღირდეს.

— არა, მაინც... — ვეუბნები და ვფიქრობ: „როგორ შეიძლება არაფერი იყოს?“

— კეთილი! — იმეორებს ისევ.

და აი გულისყურით ვუსმენ მას. ზაფხულის ნათელი დღეა, ცა ღლურჯია და საოცრად კრიალა. ზენიტზე მდგარი მზე ჩახჩახებს და ოქ-

როსფერ სხივებში ხვევს ყველაფერს. ვზივართ აყრიამულებულ, ბავშვებთან
ბით ახმაურებულ ეზოში ვაზის ტალავერის ქვეშ ძელსკამზე და ვცდი-
ლობ არაფერი გამომჩიეს მისი მონაყოლიდან.

იგი დინჯად, აუჩქარებლად აბოლებს სივარეტს, თავი ოდნავ აუღე-
რია, ოდნავ მოჭუტული თვალები მიუბყრია სივრცისათვის და, თითქოს-
და, სათქმელს ახლა იხსენებსო, მეზღვაურთათვის დამახასიათებელი სი-
დინჯით, ზანტად და წყნარად ყვება... ყვება ბათუმელი მებაძრე თავის
პროფესიაზე, ზღვის ეგზოტიკაზე, მეგობრებზე, წარსულსა და აწმყოზე.
ყვება, ასე ვთქვათ, ზერეულად. მე კი ეს არ მაწყობს და ხშირად იძულებ-
ული ვარ შევაწყვიტო და თავად მე დავუსვა შეკითხვა.

თავისთავზე ლაპარაკი მაინც ეზარება.

სანამ მის პროფესიაზე დავიწყებდე საუბარს, არ შეიძლება მისი ბა-
ვშვობის ხანაც არ მოვიხსენიოთ... მითუმეტეს, რომ შეიძლება სწორედ
მის ბავშვობაში ვეძიოთ მისი იშვიათი პროფესიის გასაღები. ამბობენ,
აღამიანს დაბადებიდან დაებედებაო ყველაფერი ის, რაც მასში კარგაა
თუ ცუდია, ხშირად (შეიძლება ეს კუროიოზულადაც უღერდეს) ის საქმეც
კი, რომელსაც იგი მერე მთელი სიცოცხლის განმავლობაში ემსახურება
და ასე გულით უყვარს იგი. ღმერთმა უწყის ასეა თუ არა ეს, მაგრამ ერ-
თი კი ცხადია: ფაქტორები, რომლებმაც რევან დობორჯინიძე მეზღვაუ-
რი გახადა, ნამდვილად არსებობს.

იგი 1932 წელს დაიბადა სოფელ ნიგვზიანში, რომელიც ერთ-ერთი
ლაშაში სოფელია ლანჩხუთის რაიონში. მოხდა ისე, რომ დედის ალერსი
და რძე დიდხანს არ გამოხოვებია რევანს — წლინახევრისა თუ ექნებო-
და, დედა რომ გარდაეცვალა. ობლად დარჩენილ ძუძუთა ბავშვს ქალის
ზრუნვა და ალერსი სჭირდებოდა, ეს კი მამას არ შეეძლო. სწორედ აქ
ბებია გამოუჩინდა მშველელად... ამბობენ ბებია ბავშვისათვის დედაზე
ტკბილიაო. ამაში ყველაზე უფრო რევანს დობორჯინიძე დაგეთანხმებათ
ალბათ. უდედოდ დარჩენილი ბავშვი ბებიათ თავისთან, ფოთში წაიყვანა.
აქ აიღვა ფეხი, აქ ამოიდგა ენა, აქ წავიდა პირველად სკოლაში. როგორც
ყველა ბავშვი საერთოდ, ცელქი იყო, მეოცნებე და რომანტიკოსი. ბებია
საინტერესო ამბები იცოდა, კარგი მთხრობელიც იყო და რევანს არასო-
დეს ბეზრდებოდა მოსმენა. ყველაზე უფრო მაინც ზღვა იტაცებდა. ზღვა
ასიოდე მეტრით თუ იყო დაშორებული მისი სახლიდან. ხშირად გაეპა-
რებოდა სახლიდან ბებიას, ჩამოჭდებოდა ნაპირთან და გასცქეროდა მის
უკიდევანო სივრცეს. ზღვა უყვარდა, ამავე დროს ეშინოდა კიდევ.

— ზღვა მაცდურია, ნენა! — ახსენდებოდა ბებიას დარიგება, —
გატაცება იცის ზღვამ, მიგიზიდავს, ჩაგიჭერს და მორჩა მერე, ვეღარ
გადაურჩები მის ბრჭყალებს... ზღვას ნუ გაუთამამლები, ნენა. მაცდურია
წყალი და არ დამღუპო, არ დამაქციო, ნენა!

ერთხელ მართლაც კინალამ დააქცია და დაღუპა. კიდეზე მკვარს ფეხი დაუცურდა და თავით გადაეშვა წყალში. ცურვა არ იცოდა. იცოდა მან მამინ შიში ჭამა, რამდენი წყალი ყლაპა. რა საშინელი იყო მკვლელობა, მარლიანი წყალი, რომელსაც დამპალი ხავსის სუნი დაჰკრავდა ამხანაგებმა მოუსწრეს და ნაპირზე ამოათრეეს.

ბებია შეეცოდა და სთხოვა ბიჭებს, არაფერი უთხრათო. მზით გართუქულმა ბიჭებმა რაღაც გადაულაპარაკეს ერთმანეთს, თვალი ჩაუკრეს და მერე უთხრეს: — კარგი, არ ვეტყვით ბებიაშენს. მხოლოდ ერთი პირობით!

— რა პირობით? — იკითხა რეზომ.

— ცურვა უნდა ისწავლო! — მტკიცედ განუცხადეს ბიჭებმა.

რეზო ჩაფიქრდა. ცურვის შესწავლა როგორ არ უნდოდა, მაგრამ...

— ფოთში ცხოვრობდე და ცურვა არ იცოდე, სირცხვილია! — შეაგულიანეს ბიჭებმა.

— „მართლაც სირცხვილია!“ — გაიფიქრა რეზომ და თქვა: — კარგი, ვისწავლი.

— ნუ გეშინია, ჩვენ გასწავლით.

იმ მარცხის შესახებ ბებიას არაფერი გაუგია. ცურვა კი მართლაც ისწავლა ბიჭების დახმარებით. ისე ისწავლა, რომ მალე თავის მასწავლებლებსაც აჯობა. სულ მალე იმ უბანში ვერავინ სჯობნიდა ცურვაში.

ჩუმდება, დაბინდული მზერით გასცქერის სივრცეს და დიდხანს, დიდხანს სდუნა, ალბათ რაღაცას იხსენებს და არ ვუშლი ხელს. ხმას არ ვიღებ. კარგახანის მერე ახალგაზღვიებულებით იმშენება. ფრთხილად, მსუბუქად მადებს ხელს მხარზე და წყნარი, იღუმალი ხმით ამბობს: — იცი, რაღაც უცნაურობაა ადამიანში. რაც უფრო ასაკში შედიხარ, რაც უფრო დრო გადის, მითუფრო მოგენატრება ბავშვობა, აფორიაქდები, აწრიალდები და მითუფრო გული გწყდება.

— სწორია. — ვეუბნები მე, — ეს ადამიანის თვისებაა ასეთი. რასაც კი ვშორდებით, უფრო გულდასაწყვეტი რჩება.

— რატომაა მერე ასე?

— ვინ იცის, — ვიჩეჩავ მზრებს. — ვინ იცის... ასე კია და...

როგორც კი დამთავრდა დიდი სამამულო ომი, მამამ რეზო ბათუმში ჩამოიყვანა. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ იგი საბჭოთა არმიის რიგებში გააწვიეს. ფლოტში მოხვდა. აქ რეზომ თავი მშობლიურ სტიქიაში იგრძნო და ოდნავადაც არ გასჭირვებია ზღვაზე სამსახური. აქ კიდეც უფრო შეიყვარა ზღვა, გამოიწროთო, უფრო მომთხოვნი და მკაცრი გახდა საკუთარი თავის მიმართ. როცა სამხედრო სავალდებულო სამსახური მოიხადა და მშობლიურ ქალაქს დაუბრუნდა, იგი უკვე გამობრძმედილი მეზღვაური იყო.

— ალბათ, როგორც ზღვის ტრფიალს, სურვილი გქონდა ნამდვილი მეზღვაური გამხდარიყავი, არა? — ვეკითხები რეზოს.

ნახამ პასუხს განცემდეს, კარგაიანს სდუმს და იღუმალად იტივინება. მერე კი თავის ოღნავი დაქხევით შეთანხმება: — კი, ასე იყო დიდი ხნის ასე!

— როგორ?

— როგორ და... — იწყებს ყოყმანით, — ჩემი სურვილი მაინც სწვა. იყო: მინდოდა წავსულიყავი ზღვაზე, მაგრამ იქ, სადაც ყველაზე უფრო ძნელია, სადაც ყველაზე უფრო უჭირთ და სადაც ყველაზე უფრო რთულია! ვერ მიხვდით? ვეშაპთმჭერზე მინდოდა მემუშავა.

— ალბათ ესეც თავისებური რომანტიკა იყო.

— შეიძლება! თუმცა ამას ასე ხელაღებით ვერ ვუწოდებ რომანტიკას! ეს უფრო, ასე ვთქვათ, საკუთარი თავის გამოსაცდელად მჭირდებოდა.

— საკუთარი თავის გამოცდა სიძნელეებთან ჭიდილში, არა?

— ასეა. — მიდასტურებს იგი, — იქ, სადაც ვეშაპთმჭერებს უხდებათ მუშაობა, ძნელზე-ძნელი პირობებია, რთული სამუშაო, რთული კლიმატური პირობები, შეიძლება ეს ჩემი აღიარება ახლა, ასე ვთქვათ ქადილადაც მოგეჩვენოთ, მაგრამ ეს ნამდვილად იყო ჩემი მოწოდება, ნამდვილად ასე ვფიქრობდი და ალბათ ცხოვრებაში ბევრი რამ დამაკლდებოდა, ეს სურვილი რომ არ ამსრულებოდა.

ისევ სდუმს. კარგახნის მერე მე გამომყავს ფიქრებიდან, ვეკითხები: — როგორ მოახერხე ეს? ხომ ძნელი იყო მოხვედრილიყავი ვეშაპთმჭერთა ფლოტილიაზე?

— ძნელი იყო! — შეთანხმება იგი. — მაგრამ ამაში, ასე ვთქვათ, შემთხვევითობა დამეხმარა.

— შემთხვევითობა?

— დიახ, ისეთი, რომელსაც ვერც კი წარმოვიდგენდი. 1954 წელს ბათუმში პირველად შემოვიდა ვეშაპთსანადირო ფლოტილია „სლავა“, სწორედ მაშინ ჩამესახა იმედი გამეხორციელებინა ჩემი სანუკვარი სურვილი... მაგრამ როგორ?

რეზო დობორჯგინიძეს ბევრი რამ გაეგონა ამ სახელოვანი ფლოტილის შესახებ, მის ეკიპაჟზე. იმ დღეებში მაინც ძალიან აფორიაქებული იყო. დალიდან საღამომდე იდგა სანაპიროსთან და თვალმოუშორებლად გასცქეროდა რეიდზე მდგარ ფლოტილიას. მან არც კი იცოდა რამდენ დღეს დაჰყოფდა ფლოტილია ბათუმში, არ იცოდა რა ელონა, ვისთვის მიემართა; არადა წავიდოდა ფლოტილია და მის სურვილებსაც დაესმებოდა წერტილი. რაღაც უნდა ელონა, მაგრამ როგორ?

ბოლოს ვიღაც ღვთისნიერმა ასწავლა: ფლოტილის ერთ-ერთი გე-

მის კაპიტანი ჩვენი თანამემამულე აბესალომ ზენაიშვილია, ნახე აბესალომი, მოვლაპარაკე და იქნება დაგეხმაროსო. რეზოს ქკუაში დაუჯდა ეს რჩევა და გადაწყვიტა რადაც არ უნდა დაჯდომოდა მოექცენა აბესალომის კაპიტანი.

— მთავარია ვნახო, მთავარია როგორმე მივაგნო და ჩემი სურვილი გავანდო, — ფიქრობდა იგი, — დანარჩენი მერე მე ვიცი. ისე ვთხოვ, ისე შევეხვეწები, ვიცი, უარს ვერ მეტყვის“.

და მართლაც, როგორც იქნა მოახერხა, აბესალომი დაიმარტოხელა და თავისი სურვილი გაანდო.

— აბესალომმა გულისყურით მომიხმინა, ჩაფიქრდა, ამხედ-დამხედა და მერე მითხრა: — კარგია, ასეთი სურვილი რომ გავაჩნია, ჭაბუკო!.. მაგრამ...

— მე შემეშინდა, უარი არ მითხრას-მეთქი და მუდარით შევაცქერდი თვალბში: — თუ შეიძლებოდეს, ძალიან გთხოვთ, დამეხმაროთ!

მან მხარზე დამადო ხელი და ისევ მითხრა: — სურვილი კარგია, ჭაბუკო, მაგრამ შესრულება ძნელი!.. შეძლებ კი?

— შეეძლებ! — ვუთხარი მე, — ნამდვილად შეეძლებ!

— წარმოგიდგინა კი ყველა ის სიძნელე, რაც თან ახლავს ვეშაბთ-მონადირეს?..

— გავუძლებ! — ვუთხარი მე, — როგორ, მე თქვენ რეკომენდაციას გამიწიოთ და მე ვერ შეეძლო? არა, ეს არ მოხდება!

აბესალომმა ხმამაღლა გაიციინა, მხარზე დამარტყა ხელი და თქვა: — მომწონხარ, ჭაბუკო!.. ვნახოთ, სანამდე გეყოფა ეს ენთუზიაზმი.

— თქვენ მე მიმიღეთ. დანარჩენი მე ვიცი!

— ეს ჩემზე რომ არ არის დამოკიდებული?

— აბა?

— კაპიტან-ლირექტორზე. ვნახოთ, მოველაპარაკები, გაგიწევ რეკომენდაციას, ვინ იცის, იქნება გაგიღმოს ბედმა და მიგიღოს.

აბესალომი წავიდა და პასუხის მომლოდინე რეზო დატოვა. დრო თითქოს ერთ ადგილზე გაიყინა. რეზო ერთ ადგილზე ვერ ისვენებდა, აფორიაქებული დააბიჯებდა აქეთ-იქით და წამდაუწუმ დასცქეროდა საათს. ბოლოს მართლაც გაუღიმა ბედმა — კაპიტან-ლირექტორმა ველარ გააწილა აბესალომ ზენაიშვილი.

იმ დღეს მასზე ბედნიერი კიდევ თუ იყო ვინმე ამ ქვეყანაზე, ველარ წარმოედგინა რეზო დობორჯგინიძეს.

სამი დღის შემდეგ გავალთ ნავსადგურიდან და მოემზადეთ, გააფრთხილეს. ბევრი მოსამზადებელი არაფერი ჰქონდა, ახლა მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, თუ რა ვალევედა ამ სამ, წელიწადივით გრძელ, მოლოდინით

აღსავსე სამ დღეს, რომელიც მას დიდი სურვილის ასრულებიდან მო-
რებდა.

— ბოლოს ეს სამი დღეც გავიდა, — განაგრძობს იგი,  ფლოტილიამ ბათუმის ნავსადგური დატოვა. ვიდექი გემბანზე ~~და ჩინეთში~~ მალე წამდაუწუმ ვიმეორებდი სტრიქონებს ალექსანდრე ბლუკის ლექსი-
დან.

„შენ გახსოვს ჩვენი ბუხტა მიძინარე, და აღტაცება შენ გახსოვს ჩე-
მი“... ესა, არა? — ვაწყვეტივინებ მე.

— დიახ... როგორ გამოიცანი? — უკვირს მას.

...ხუთი წელი იმუშავა სახელგანთქმულ გემზე რეზომ. ხუთი წელი!
რა ადვილი სათქმელია და რამდენი რამის მომცველია ეს ხუთი წელი.
ეს მეზღვაურისათვის მთელი სიცოცხლეა, მთელი ეპოპეა. ძნელი გად-
მოსცე ახალგაზრდა, ახალბედა მეზღვაურის განცდები. ბევრი რამ ისწავლა
ამ ხუთი წლის განმავლობაში რეზომ. რა დისამალია და პირველად გაუ-
ჭირდა, ძალიან გაუჭირდა. მაგრამ არ წამკრაოლა სიძნელეთა წინაშე. მან
ხომ წინასწარ იცოდა ეს, როცა ამ საქმიანობის ოცნებობდა? მეზღვაურს
არ შეუძლია იწუწუნოს, მან წარბმეუხრედილად უნდა გაუძლოს ყველა-
ფერს, უნდა შეეჩვიოს, სუსტსა და აზიზს ოკეანე ვერ აიტანს, მითუმეტეს
მკაცრი, მოღუშული და დაუნდობელი ანტარქტიდა...

მთელი ხუთი წლის განმავლობაში ერთხელაც არ უარყვია რეზოს
თავისი არჩევანი, ერთხელაც არ უნატრია: ერთი ახლა ნაპირზე, სახლში
დამსვა და მეტი არაფერი მიხდაო, თუ იყო შემთხვევა და თუკი რაიმეზე
სწყუდებოდა გული, მხოლოდ ეს იყო, რომ იგი, მისი აზრით, ჯერ კიდევ
არ იყო ნამდვილი ვეშაპთმონადირე. თუმცა. ვეშაპებს ყოველდღე ხედა-
ვდა, საბაზო გემზე ხომ მთელი ოპერაციები ხდებოდა: აქ მიმდინარეობდა
დაპერილი ვეშაპების აქნა, აჭარიქება-დამუშავება და გადამუშავება. აქ
მთელი ქარხანა იყო — მცურავი ქარხანა, რომელზედაც სხვადასხვა პრო-
ფესიის ადამიანები მუშაობდნენ...

მაღე შეეჩვია რეზო სხვადასხვა ასაკისა და ეროვნების ადამიანებს,
დაუმეგობრდა მათ, მაღე გამოიხატა საერთო ენა ეკიპაჟის ყველა წევართან.
შრომისმოყვარე, წყნარი და გულკეთილი ახალგაზრდა მაღე შეიყვარეს
გემის ეკიპაჟის წევრებმა... მას აფასებდნენ როგორც დაუზარებელსა და
მასზე მიხლობილი საქმის პირნათლად შემსრულებელს.

ნაპირზე მყოფი კაცი, ის, ვინაც ერთხელაც კი არ ყოფილა მეზღვა-
ური, მართლაც ძნელად გაიგებს ზღვაოსანის შრომას, იმ პირობებს, რა
პირობებშიაც მეზღვაურებს უხდება მუშაობა. შორიდან მაცურებლისაა-
ვის ზღვა მხოლოდ და მხოლოდ რომანტიკითაა აღსავსე, მხოლოდ რომა-
ნტიკაა, და სხვა არაფერი. მაგრამ ეს ასე როდია.

ზოგჯერ ზღვა ისე უცაბედად გადაირევა, გახელდება, აბობოქრდება და ისე აიწყვეტს, რომ ოკეანეში მყოფი გემისათვის ნავსადგურად ისე წრებაზე ფიქრი ზედმეტზე ზედმეტია. რჩება ღია, აბობოქრებულ ზღვაში გემი და სწორედ მაშინ იწყება ნამდვილი, სამკვდრო-სასიცოცხლელო და დაუნდობელი ბრძოლა გემისა და სტიქიისა; იწყება ბრძოლა ტალღებთან. თელვასთან, რომელიც ზოგჯერ თორმეტ ბაღს აღწევს. სწორედ ამ დროსაა საჭირო ნამდვილი მეზღვაურული გაძლება. სწორედ აქ სჭირდება კაცს ატანა და გატანა. ასეთ დროს რომანტიკაზე ფიქრი ფუტკია და ამოი, ვიღას ახსოვს ამ დროს რომანტიკა? ნუთუ არ იფიქრებს კაცი: ერთი ამ ზიფათს გადაშარჩინა და მეტე აქეთკენ პირს აღარასოდეს აღარ ვიზამო. მაგრამ მეზღვაური არასოდეს არ იტყვის ამას, რადგანაც ზღვა მისი სტიქიაა და მეზღვაურისათვის წყნარი, მდორე ზღვა იგაგევა, რაც გლახისათვის მოუხვენელი შინდორი.

ბრძოლა კი გრძელდება. გრძელდება ბრძოლა ადამიანსა და ზღვას შორის, ორივე გოლიათია და ერთმანეთის დაჯაბნას ფიქრობს. ზღვა ბოლოტია, მაგრამ ვერაგი ნამდვილად არაა! აბობოქრდება, აზავთდება, გაავლის საში-თხიხ საათი, ხშირად დღე-ღამე და, მეტე ისევე დაწყენარდება და ნაბრძოლი, მხარეთმძოხე წამოწოლილივით ისვენებს. ზღვა ისვენებს, ზღვასთან ნაბრძოლი მეზღვაურები კი — არა! მათ თავიანთი საქმე აქვთ, ის უშუალო მოვალეობა, რისთვისაც აქ არიან, რისთვისაც მიატოვეს ოჯახი, ახლობლები. მეზღვაური დიდხანს ვერ გაძლებს ნაპირზე — საყვარელი ქალივით მოენატრება ხოლმე ზღვა. ძნელი ასატანია ეს ძახილი, ეს ყოელისმომცველი მიხმობა და მეზღვაური, როგორც მყვირალობისას მიაშურებენ ირმები ირმებს, ისე მიაშურებს ზღვას. დასაბამიდან ასე იყო ეს, ასე არის და ასე იქნება მანამდე. სანამ იქნებიან ზღვები და ოკეანეები, სანამ იქნებიან ადამიანები — მეზღვაური ადამიანები.

— მაინც როგორ გახდი მებარჯე? — ვახსენებ რეზოს, — აქაც შემთხვევა დაგეხმარა?

— მგონი აქაც! — იცინის იგი. — მას შემდეგ, რაც ვეშაბთსანადირო გემზე დავიწყე მუშაობა, მას შემდეგ ჩემი სურვილი მებარჯეობა იყო...

— რატომ? — ვაწყვეტიანებ მე.

— იცი, უფრო რთული საქმეა, უფრო ვაჟკაცური, უფრო მეტ ამტანობასა და გამძლეობას მოითხოვს...

— ამაშიაც აბესალომ ზენაიშვილი დაგეხმარა?

— არა, აბესალომი არა! ხუთი წელი ისე გავიდა, ჩემი სურვილი ერთხელაც ვერ გავანდე კაპიტან-დირექტორს. ვერ გავებდე მისვლა და თხოვნა. ვიფიქრე, ერთხელ ხომ ვთხოვე და თხოვნა შემისრულა, ახლა მეორედ როგორ ვთხოვო-მეთქი.

— აბა, როგორ მოახერხე?

ისე შემხედა, მივხვდი გაიფიქრა: — ეს რა სულსწრაფი კაცი უნდა
ლაო.

— ერთ დღეს საქმეში გართულს, იუნგა დამადგა თავზე და მამის
ახლავე წადი, კაპიტან-დირექტორი გეძახისო. გამიკვირდა. კაპიტან-დი-
რექტორს რაში დავჭირდი-მეთქი! თანაც ჩავფიქრდი, რამე ხომ არ დამი-
შავებია და ახლა ამისათვის ხომ არ მეძახის რომ დამტუქსოს-მეთქი. მა-
გრამ ისეთი ვერაფერი გავიხსენე. მივატოვე საქმე და სასწრაფოდ წავე-
დი. ფრთხილად შევალე კარი.

კაპიტან-დირექტორი ალექსანდრე სოლიანიკი სანდომიანი გარეგნო-
ბის, შუახნობას გადაცილებული კაცი, მაგიდასთან დახრილიყო და ანტა-
რქტიდის რუკას დასცქეროდა. კარის ჭრიალზე მოიხედა და თავის დაქ-
ნევით მანიშნა, მომიახლოვდიო. მივედი და მაგიდასთან გავჩერდი. იგი
წელში გაიმართა, ამათვლიერ-ჩამათვლიერა, მერე უსიტყვოდ შებრუნ-
და, პაპიროსს მოუკიდა და კაბიტაში ბოლოთსცემა დაიწყო. მერე მოუ-
ლოდნელად შეჩერდა და მკითხა: — ხომ არ გიჭირს რამე, მეზღვაურო?

— არა, არაფერი, კაპიტან-დირექტორო!

— კეთილი! — ჩაილაპარაკა მან, — ერთი მითხარი, სანამდე აპირებ
ბორტმეზღვაურობას?

მხრები ავიჩეხე: — აბა, რა მოგახსენოთ.

— ვერაფერს აპირობ, არა? კარგი, აბა მე გეტყვი: გადავწყვიტეთ
პროფესია გამოგიცვალოთ.

— პროფესია?

— კი, პროფესია!... მებარჯეობა უნდა შეგასწავლოთ.

— მებარჯეობა? — სიხარულისაგან ვერაფერი ვთქვი. ვიფიქრე, ეს
კაცი ჩემს გულში ხომ არ ზის-მეთქი.

— რაო. არ მოგწონს? იქნება უარყოფილი განაცხადო? — ჩამვიძია სო-
ლიანიკი.

— რას ბრძანებთ ამხანაგო კაპიტან-დირექტორო! ეს ხომ ჩემი დი-
დიხნის ოცნებაა.

— პოდა, რაკი ჩემი და შენი სურვილი ერთმანეთს დაეწებვა, ამას
რალა სჯობია? დღეიდან „სლავა-3“-ზე გადახვალ და პურგინის განკარ-
გულებაში იქნები. იცოდე, დაუჯერე, გაუგონე, არ დაგავიწყდეს, რომ
შენ უშუალოდ ჩემი კანდიდატურა ხარ და არ შემარცხვინო.

— გასაგებია ამხანაგო კაპიტან-დირექტორო!

— პირველად შენ ზენაიშვილის პროტეჟე იყავი და არ შეგიარცხვე-
ნია!.. იმედი...

— შევეცდები, არც თქვენ გაქამოთ სირცხვილი ამხანაგო კაპიტან-დირექტორო!

— მგერა!.. ასე რომ, მიდი!.. წარმატებას გისურვებ!..

— მაღლობელი ვარ ამხანაგო კაპიტან-დირექტორო! — ვიხტრე და გამოვედი. ისე ვიყავი გახარებული, რა გამეკეთებინა არ ვიცოდი. მერე ჩემი სიხარული ამხანაგებს გავანდე. მომილოცეს, წარმატება მისურვებს. თანაც გამაფრთხილეს: იცოდე ფრთხილად იყავი, პურგინი მკაცრი კაცია!

იმ დღეს რეზომ საბაზო გემი დასტოვა და „სლავა-3“-ს მიაშურა. ...სხვებს რომ არ ეთქვათ, რეზომ ისედაც კარგად იცოდა. თუ ვინ იყო ნიკოლოზ პურგინი. მართალია, ისე ახლოს არ იცნობდა მას, მაგრამ მასზე ბევრი რამ ვეგონა. ნიკოლოზი მკაცრი შესახედაობის კაცი იყო, მუდამ მღუმარე და პირქვეში. მის ხასიათზე ბევრს როდი ლაპარაკობდნენ, სამაგიეროდ მის საქმიანობაზე ბკობდნენ ხშირად. ის იყო ფლოტილიაში ყველაზე უფრო გამოცდილი, ხანდაზმული და ბევრისმომწრე მებარჯე. საბჭოთა კავშირის გმირს, სოციალისტური შრომის გმირს პურგინს, თავისი ხანგრძლივი მუშაობის განმავლობაში ათასობით ვეშაპი ჰყავდა მოკლული. რეზოს კარგად ესმოდა, რომ სახელი თავისთავად არ მოდის, სახელისათვის შრომა იყო საჭირო — შრომა ხანგრძლივი, დაუხარელი და მონდომებული.

— ნიკოლოზ პურგინი არამართო კარგი მებარჯე იყო, არამედ შესანიშნავი მასწავლებელიც. მას ათობით მებარჯე ჰყავდა გამოზრდილი. მისი ყოფილი მოსწავლეები წარმატებით შრომობდნენ სხვადასხვა გემებზე და წარმატებით განაგრძობდნენ თავისი სახელოვანი მასწავლებლის მდიდარ ტრადიციებს. — განაგრძობს რეზო, — ამდენად, მე უკვე ვიცოდი, რაკი მე მის მოსწავლედ მგზავნიდნენ, მთელი გულისყურით უნდა მოეკიდებოდი საქმეს, მომენდომებინა, დამეჯერებინა მისთვის, სხვა გზა, სხვა გამოსავალი ჩემთვის არ არსებობდა.

რაღაცნაირად თანდაყოლილი ალღო და ინსტინქტი გააჩნდა ნიკოლოზ პურგინს აღაშინის შეფასებაში. შეხედავდა, ერთს დაკვირვებით აათვალ-ჩაათვალდებდა და მორჩა, მაშინვე იტყოდა გამოდგებოდა თუ არა იგი მებარჯედ.

მან გულთბილად მიიღო რეზო, რომელიც არაფრით არ მოელოდა ასეთ მიღებას და ამან, ცოტა არ იყოს, დააბნია და გააფიქრებინა, ნიკოლოზი სრულებითაც არ ყოფილა ისეთი, რაც ერთი შეხედვით სჩანსო.

— შენ ჩემთან გამოგზავნეს, არა? — იკითხა მან, ერთი, როგორც

მას სჩვეოდა ისე დაკვირვებით შეხედა, მუშტრის თვალით აათვალიერა-
ჩაათვალიერა და მცირე დუმილის შემდეგ განაგრძო: — თუ თქვენს
მატყუებს, შენგან ჩინებული მებარჯე უნდა გამოვიდეს... ოღონდ სომ
იცი? უნდა შეეცადო, გულით უნდა მოინდომო და შეეცადო აწვევით
დომების გარეშე, ოფლის ღვრის გარეშე და იოლად. ჯერ არაფერი გაკე-
თებულა და არც ოდესმე გაკეთდება.

— დიახ, ვიცი! — შეაწყვეტინა რეზომ, — მეტი რა გზაა, სურვილი
მაქვს და შევეცადები კადეც!

— მოწონს შენი სიტყვები, შენც მოწონხარ და, აბა შენ იცი, ჩე-
მო ბიჭო!.. იყო ვეშაბთიჭერი, ყველას როდი შეუძლია, მხოლოდ იყო მე-
ბარჯე, ეს ერთეულების, ყველაზე რჩეულთა ზვედრია.

მართლაც, მებარჯეობა ყველას როდი შეუძლია. ხელმძღვანელობამ
კარგად იცოდა ეს და ანიტომაც დიდხანსა და საგანგებოდ არჩევდნენ მე-
ბარჯის კანდიდატურას და მხოლოდ დიდი ხნის შემდეგ, დიდი ხნის, სა-
გულდაგულოდ დაკვირვებისა და გამოცდის შემდეგ აგზავნიდნენ „სლა-
ვა-3“-ზე ბედგალიმებულ ბიჭებს — მომავალ მებარჯეებს.

„სლავა-3“ თავიდანვე მცურავ სკოლად ითვლებოდა. აქ არამარტო
მებარჯეებს ამზადებდნენ... ამ გეზზე უმთავრესად ახალგაზრდა, ახალბე-
და მეზღვაურები მსახურობდნენ, რომლებიც ეს-ესაა ეუფლებოდნენ
სხვადასხვა პროფესიებს, შრომობდნენ, სწავლობდნენ.

— ჩემს გარდა ნიკოლოზ ჰურგინს ოთხი მოსწავლე ჰყავდა. — გვი-
ყვება რეზო, — რაც დრო ვადიოდა. თანდათანობით ვრწმუნდებოდი,
რომ ჩემი მოსწავლებელი ჩინებული ადამიანი იყო, დინჯი, აუჩქარებელი,
სულდათქმული და თავისი საქმის ჩინებული ოსტატი... არა, მისგან ნამ-
დვილად ბევრს ისწავლიდა კაცი.

ჯერ დანადგარი შეისწავლა რეზომ, მერე კი ბარჯის ზუსტად სრო-
ლის ხელოვნების შესწავლას შეუდგა.

— ცოდვა გამხელილი სჯობია და პირველად ეს საქმე ძალიან ადვი-
ლი მეგონა, — იხსენებს იგი, — მხოლოდ შემდეგ, რამდენიმე კვირის
გასვლის შემდეგ დავრწმუნდი მხოლოდ, რომ ვცდებოდი... ცხადია, ბა-
რჯის გასროლა თავისთავად არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს, მო-
მართავ ავტომატს და გაისვრი, მაგრამ საქმე ისაა, როგორ გაისვრი,
როგორ მოარტყამ მიზანში. ეს რომ ისწავლო, დიდი დრო და მონდომე-
ბული, დაძაბული შრომაა საჭირო.

მცურავი სკოლა „სლავა-3“ თანდათანობით მოიწვედა წინ, აპობდა

ოკეანის მონაცრისფრო ტალღებს და ბარჯის ცნობილი ოსტატი ნიკოლოზ პურგინი ერთი, ზუსტი გასროლით გმირავდა უზარმაზარ ვეშაპებს. ე. შეტად არაჩვეულებრივი, რომანტიკული და ამავე დროს საშინო, ნიკოლოზის თო სანახაობა იყო.

— შეხედეთ, კარგად დააკვირდით, კარგად დააკვირდით და ჩემი ყოველი მოძრაობა ღამიანსოვრეთ, — ასწავლიდა პურგინი თავის მოსწავლეებს, — არავითარი ზედმეტი ფუსფუსი, არავითარი ზედმეტი მოძრაობა, არავითარი ზედმეტი მღელვარება! იყავით ღიწიანი, ქვასავით ცივნი და აუჩქარებელი... გიჟობით: მებარჯეობა ყველას როდი შეუძლია, მებარჯეს ბევრი კარგი, დადებითი თვისებები უნდა გააჩნდეს: მახვილი თვალი, სწრაფი, წაშიერი გააზრებისა და მანევრირების უნარი... მებარჯეობა ეს ხელოვნებაა, რომელიც დიდი შრომით, მონდომებით, თეორიისა და პრაქტიკის შერწყმის შემდეგ შეისწავლება. — ასე აჩიგებდა ნიკოლოზ პურგინი თავის მოსწავლეებს.

ერთმანეთს მისდევდნენ სწავლითა და შრომით აღსავსე დაძაბული და ბევრის მოძლოდინე დღეები, კვირეები და თვეები. და აი, დადგა ნანატრი დღეც, პირველი ნათლობის დღეც, რომელსაც ასეთი შიშით, ასეთი გულსფანცქალითა და სისხარულით მოელოდა რეზო დობორჯგინიძე, მისი ამხანაგები და მასწავლებელი ნიკოლოზ პურგინი. კაცმა რომ თქვას, ორივე მხარეს გააჩნდა აღელვების მიზეზი: სწორედ ახლა გამოჩნდებოდა თუ რა ისწავლა მოსწავლემ და რა შეასწავლა მასწავლებელმა.

და აი, რეზო დანადგართან იდგა და გასცქეროდა ოკეანის უკიდვანო სივრცეს. „სლავა-3“ წინ მიიწევდა, ცხვირით სჭრიდა ტალღებს და ირწეოდა. მიუხედავად გემის რწევისა, რეზო მტკიცედ იდგა გემბანზე, თავის ბარჯთან. მისი სიმშვიდე მხოლოდ და მხოლოდ მოჩვენებითი იყო. ისე კა ვინ იცის თუ როგორ ღელავდა. იგი დროგამომშვებით გადახედავდა მის გვერდით მდგარ პურგინს, თითქოს და შევლასა და ხსნას მისგან მოეღისო. მაგრამ პურგინს ერთხელაც აღარ მოუხედია მისკეს, იდგა ბოძივით გაუნძრევლად, ქვასავით მშვიდი და ოკეანეს გასცქეროდა.

მოულოდნელად შორს, ძალიან შორს შადრევანი აისვეტა...

— ვეშაპი! — ჩავიჭურჩულე ჩემთვის და სწორედ ამ დროს ვიღაცამ დაიძახა კიდევ — ვეშაპი, ყურადღება, ჩვენს წინ ვეშაპია! — გვიყვება რეზო, დავიძაბე, ცოდვა გამხელილი სჯობია, შეეცბუნდი, რატომღაც შემეშინდა. გემზე ყველაფერი ჩაჩუქდა, ყველამ ხმა გაკმინდა, ყველას თვალები მხოლოდ ერთი წერტილისაკენ — ვეშაპისაკენ ეყო მიპყ-

რობილი. ჩამოვარდნილ სიჩუმეს მხოლოდ გემის კორპუსზე მოხლოდ
ტალღების ხმაური და ზღვის ფრინველების ყრანტალი არღვევდა.

— აბა! — მხოლოდ ეს ერთადერთი, მაგრამ მრავლისმეტყველი სიტყვა წარმოსთქვა პურგინმა და მკლავები მკერდზე გადაიჯვარდინა. რეზომ გაუგო მასწავლებელს. მიხვდა, ეს სიტყვა მხოლოდ და მხოლოდ მას ეკუთვნოდა. მასში გაფრთხილებაც იყო, გამხნეებაცა და ყველაფერი სარტოლდ. ვეშაპების მეტი აბა რა ენახა რეზო დობორჯგინიძეს, მაგრამ ახლა რატომღაც გაუჭირდა: — დაწყნარდი, რა მოგივიდა? დამშვიდდი! — გაიმხნევა თავი.

გემი კი ამ დროს სასროლ მანძილზე დაუახლოვდა ვეშაპს.

— ყურადღება! — ხმამალა წარმოსთქვა ტალღების ხმაურში პურგინმა და რეზოს მიაჩერდა.

რეზო პულტთან დაიხარა, ორივე ხელი მაგრად ჩასჭიდა სახელურს და მოემზადა...

ის-ის იყო ბარჯი უნდა გაესროლა, რომ მოულოდნელად ვეშაპმა ჩაყვინთა და რამდენიმე წუთის შემდეგ გემის გვერდით ამოცურდა. რეზომ სიბრაზისაგან კბილები გააღრჭიალა და თავისთვის ჩუმად შეიგინა.. მერე წამით მოიხედა და მისი თვალები პურგინის მოლოდინით აღსავსე მხერას წააწყდა. მიხვდა რეზო, თუ რას მოითხოვდა მისგან მასწავლებელი. ახლა საჭირო იყო სწრაფი მანევრირება, თორემ ადვილი შესაძლებელი იყო ვეშაპი ოკეანის უკიდევანო სივრცეში გაუჩინარებულყო. რეზომ ბევრი არ დაყოვნა. თვალის დახამხამებაში შემოაბრუნა დანადგარი და როცა ვეშაპი გემის ზურგთან ამოცურდა, სწრაფად და ზუსტად ტყორცნა ბარჯი, ბარჯმა გაიზუზუნა, მასზე გამობმული მსხვილი, მტკიცე კაპრონის თოკი გველივით დაიკლაკნა, წყალში გასრიალდა, მერე თანდათან გასწორდა და ახალგაზრდა მებარჯემ თავისდასასიხარულოდ დაინახა, თუ როგორ ჩაესო ბარჯი ვეშაპს. ვეშაპი წამით გაირინდა, მერე საშინელი ძალით გაიბრძოლა, ერთი კი დატრიალდა, მერე გასწორდა და წინ გასრიალდა. ახლა საჭირო იყო სწრაფი მანევრირება და სწრაფად მიყოლა, თორემ ტკივილისაგან გაგიჟებული გოლიათი დამპალი ძაფივით გასწყვეტდა მტკიცე თოკს და ბარჯიანად მიეფარებოდა თვალს.

— საჭე მარჯვნივ, საჭე მარჯვნივ! — ჩასძახა რეზომ მიკროფონში. თითქო მის ბრძანებას ემორჩილებო, გემი სწრაფად შებრუნდა და დაჭრილ ვეშაპს გაედნო, რომელიც, როგორც ეტყობოდა, სრულებითაც არ აპირებდა დამორჩილებას.

მხოლოდ ორი საათის დევნის შემდეგ შესწყვიტა ვეშაპმა წინასწარ დევნა. მამ ასე! პირველი ნათლობა და, მოპოვებულია პირველი ნათლობა. უკან დარჩა ის შიში და მოლოდინით აღსავსე მღელვარება, რომელიც ასე ბოჭავდა რეზოს.

ყველაზე უფრო მაინც ნიკოლოზ პურგინს გაუხარდა მოსწავლის წარმატება. მიუახლოვდა, მხარზე მეგობრულად დაჰკრა ხელი და უთხრა:

— ყოჩაღ! მომილოცნია, შვილო!.. მომეწონა შენი საზრიანობა, მოხერხებულობა და სიმარჯვე!..

იცოდა რეზომ, ნიკოლოზი მაინცდამაინც გულუხვი რომ არ იყო ვინმე შექებაში და მისმა ნათქვამმა ორმაგად გაახარა.

— ეს თქვენი დამსახურებაა! — შეჰლიმა რეზომ. — თქვენ რომ არა...

თითქოსდა მისი ნათქვამი არ გაუგონიაო, პურგინმა განაგრძო:

— ამიერიდან მე შენი მასწავლებელი არა ვარ, ჩვენ დღეიდან მხოლოდ კოლეგები ვართ, მეგობრები, მეზარცეები... ამიერიდან შენ თავისუფლად შეგიძლია დამოუკიდებლად იმუშაო... თუ მოინდომებ, დარწმუნებული ვარ, დიდ წარმატებას მიაღწევ.

— შევეცდები! — ჩაილაპარაკა რეზომ და ხელისგულით მოიწმინდა შუბლზე დაცვარული ოფლი.

მართლაც შეეცადა და მერე როგორ.

— მერე რა იყო, რეზო? — ვეკითხები ფიქრებში წასულს.

— მერე? — კითხულობს, დინჯად იღებს სიგარეტს, უკიდებს და განაგრძობს.

მეორე დღეს რეზო გულთბილად გამოეთხოვა თავის მასწავლებელს. პურგინმა მხარზე მეგობრულად დაჰკრა ხელი და უთხრა: — მაღლობელი ვარ იმედი რომ არ გაშიცრუე, შვილო!... აბა შენ იცი!

რეზომ ვეშაპთმჭერ „ვდუმივი-34“-ზე დაიწყო მუშაობა. ახალი მეგობრები, ახალი გარემო, დამოუკიდებელი საქმე... აქ უკვე აღარ ედგა გვერდით თავისი გამოცდილი მასწავლებელი და ამიერიდან მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი თავის იმედი უნდა ჰქონოდა... გაუჭირდა პირველად? რა თქმა უნდა! მაგრამ არ შემდრკალა. თანდათანობით აეწყო საქმე, თანდათანობით დაოსტატდა და გაიწაფა.

— თვითეული გემის ეკიპაჟი ერთმანეთს ეჯიბრებოდა, არა? — ვეკითხები რეზოს.

— რა თქმა უნდა!.. ცხადია, თითოეულ ჩვენგანს ჩვენი თანამოსაქმე გვეყვდა გამოწვეული.

„გელუჩივი-34“-ის ეკიპაჟი წარმატებით შრომობდა და ყოველთვის ანაღლებდა გეგმებსა და აღებულ ვალდებულებებს.

— ამაში, რა თქმა უნდა, განსაკუთრებული წვლილი მებარჯეთა ძეგლია, არა? — ვეკითხები რეზოს.

— მე მგონი კი! — ორჭოფული ღიმილით მიქნევს თავს.

მგონი კი არა, ეს ნამდვილად ასეა, რადგანაც მებარჯე მთავარი ფიგურაა ვეშაპთმჭერზე და ყველაფერი — წარმატება იქნება ეს თუ წარუმატებლობა, მებარჯის დამსახურებაა თუ დანაშაული.

მალე რეზო იმდენად დაოსტატდა, რომ მებარჯეთა ოქროს ხუთეულში შევიდა, შემდეგ კი ოქროს სამეულში. ოქროს სამეულში შესვლა კი იმას ნიშნავს, რომ შენ ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო მებარჯე ხარ ფლოტილიაში. მკითხველი ალბათ მიხვდება, რომ ეს არცთუ ისე ადვილი საქმეა, მითუმეტეს. მაშინ, როცა ფლოტილიაში ამდენი გამოცდილი, ამდენი სტაჟიანი მებარჯეა და თითოეული მათგანი ცდილობს სხვებს არ ჩამორჩეს.

— გეგმით რამდენი ვეშაპი უნდა მოგეკლათ დღეში? — აპჯერად ასეთ შეკითხვას ვუსვამთ მას.

— დღითრად? საშუალოდ ორი ან სამი..

— მაგრამ, ცხადია, ორ-სამს არ სჯერდებოდრი, არა?

— არ ვჯერდებოდრი... ჩვენ ხშირად უფრო მეტი ნადავლით ვბრუნდებოდრი საბაზო გემზე.

— მაინც რამდენს კლავდრი?

— ხუთს, ექვსს...

— ხუთ-ექვსს! — ვიმეორებ მე, — და ეს მაშინ, როდესაც ასეთი ძნელია, ასეთი შრომატევადია და სახიფათო თითოეული ვეშაპის მოკვლა?

— დიახ, მაშინაც... — იცინის იგი.

— როდისმე თუ ყოფილა შემთხვევა, რომ ამაზე მეტი მოგეკლას?

— ბევრჯერ!... ერთხელ საკავშირო რეკორდიც კი დავამყარეთ, რომელსაც, მე მგონი, კარგახანს ვერავინ ვერ მოხსნის.

— საკავშირო რეკორდი? როგორ?

— როგორ და ოცდაორი ვეშაპი მოვინადირეთ!

— ოცდაორი ვეშაპი? ერთ დღეში?

— დიახ, ერთ დღეში!...

როდის მოხდა ეს? ეს მაშინ მოხდა, როცა რეზო ოქროს სამეულში შევიდა და მას ქართველი პურგინი უწოდეს.

— საკმარისი არ არის? — დაღლილი ხმით ვეკითხება რეზო.

— საკმარისი? რა? აა! ჯერ არა, ჯერ ხომ...

და ისევ ვაყრი შეკითხვებს. იძულებულია მიპასუხო. დინჯად, აქტი-
ქარებლად მიხსნის, იშველიებს ციფრებს, ასახელებს დღეებს, ~~მეორე~~
ებს. ო, რამდენი შრომა, რამდენი გარჯა, რამდენი განცდა, რამდენი ~~მეორე~~
დატანილი სიძნელები იმალება ამ დღეებში, ამ კვირებში, ამ თვეებსა
და წლებში, და კიდევ რამდენი რამეა გასაგები და გასაშიფრი.

1965 წელს რუსო დობოროჯინიძე მისი ყოფილი მასწავლებლის ნი-
კოლოზ პურგინის თხოვნით შავი ზღვის თევზსარეწ საწარმოო გაერთი-
ანების „ანტარქტიკის“ ფლაგმანზე „იური დოლოგორუკი“ გადავიდა
შტურმან-მებარჯედ.

— ნადირობენ თუ არა ვეშაპებზე პოლარულ ღამეებში? — ვეკით-
ხები რუსოს.

— ხანდახან ვნადირობთ. ხოლმე! მაგრამ ეს იშვიათად ხდება...

ანტარქტიკის წყლებში ძალზე ხშირია ძლიერი ღელვები. ხანდახან
მაინც ისე გადაარბევა ოკეანე, რომ ღელვა თორმეტ ბაღს აღწევს. ამ
დროს ძნელია, ძალიან ძნელია და სახიფათო ნადირობა. მაგრამ შეჩვე-
ულ, გამობრძნედილ ეკიპაჟს როდი აშინებს ეს. ადამიანთა საერთო ძალა,
ნება და გამძლეობა ყოველგვარ სტიქიონზე ძლიერია და დაუძლეველი.
მაგრამ მაინც...

— ასეთი ღელვების დროს განსაკუთრებით მაინც მებარჯეს უჭირს
არა?...

— რა თქმა უნდა! — მაწყვეტინებს იგი.

ასეთ ღელვებში სპეციალურ წყალგუმტარ ბრეზენტის სპეცტანსაც-
მელს იცვამს რუსო. იგი თავიდან ფეხებამდე დაცულია წყლისაგან. ნოუ-
ჩანს მხოლოდ სახე. მაგრამ, მაინც ძალზე ცუდი განცდა გიპყრობს ხოლ-
მე კაცს, როცა გამუდმებით გველება თავზე ოკეანის ცივი, ყინულივით
ცივი ტალღა და ყოველ წუთს ჩაყლაპვით გემუჭრება. თუმცა,
ამაშიაც ხომ თავისებური და განუმეორებელი რომანტიკაც არის — ესაა
ოკეანის რომანტიკა, რომლის სიტყვებით გადმოცემა არ შეიძლება. ეს
რომ შეიგრძნოს კაცმა, თავად უნდა გამოსცადოს ეს.

— ესე იგი კმაყოფილი ხარ პროფესიით, ხომ? — ვსარგებლობ მი-
სი დუმილით და ვეკითხები.

— ისე შევეჩვიე ჩემს საქმეს, რომ ახლა ვერცკი წარმომიდგენია,
ოდესმე თუ შეველევი მას...

მერე საუბარი ეგრეთწოდებულ საზღვაო ფათერაკებზე ჩამოვარდა.

— ვინ მოსთვლის, რამდენნაირ უცნაურ და საშინელ არსებებს არ
შეხვდებოდა ოკეანეში კაცი. განსაკუთრებით კი ჩვენ, ვეშაპებზე მონადირე-
ებს გვხვდებიან ისინი ხშირად... ერთხელ, დილით, ბარჯთან მდგომმა —
თვალი მოვკარი უხარმაზარ ურჩხულს. იგი რვაფეხა აღმოჩნდა. კარ-

გახანს იგრიხებოდა წყლის ზედაპირზე, მერე კი ჩაყვინთა და გუფინა და... მალე ურჩხული ისევ გამოჩნდა. ამჯერად იგი მარტო არ გამოვიდა რომელიღაც უზარმაზარ არსებას შემოხვეოდა. ეტყობოდა, ისინი სხვა დრო-სასიცოცხლოდ იბრძოდნენ... ბრძოლის ადგილას უზარმაზარი ტალღები აღიმართნენ. იძულებული გახდით გემის მიმართულება შეგვეცვალა. ორთაბრძოლამ კარგახანს გასტანა. წყლის ზედაპირი წითლად შეიღებოდა... ბოლოს, ოკეანე თითქოს დაწყნარდა, ბრძოლის ადგილას ტალღები ჩაცხრა...

— ვეშაპები თუ იბრძვიან ერთმანეთში? — ვაწყვეტივს მე.

— როგორ არა!

— შესწრებხარ ასეთ სანახაობას?

— რამდენჯერმე!.. ერთხელ თვალი მოვკარი უზარმაზარ ვეშაპს.

მოულოდნელად სადღაც მეორე ვეშაპიც გამოჩნდა. ისინი ერთმანეთს დაეტაკნენ და მათ შორის საშინელი ორთაბრძოლა გაიმართა. დღევა მაშინ უნდა გენახათ — ირგვლივ ყველაფერი დუღდა. ბრძოლამ თითქმის ერთი საათი გასტანა. მერე დამარცხებულმა გაქცევით უშველა თავს... გამარჯვებული კი თითქმის ჩვენ თვალწინ იყო. ამოდენა ვეშაპს პირველად ვხედავდი ჩემს სიცოცხლეში. წუთის დაკარგვაც კი არ შეიძლებოდა.

— მესაქვე, წინ!.. მთელი სისწრაფით! — ჩავძახე მიკროფონში და ბარჯი მოვამზადე.

გემი სრული სვლით დაიძრა და ვეშაპს გაენტო.. ვეშაპი, თითქოს საფრთხე იგრძნო, მძიმედ შებრუნდა, ზურგი აქცია გემს და ამაყად გააპო ოკეანის მკერდი.

— „ნამდვილი მოზი დიცია! — გაიფიქრა რეზომ, — რამოდენაა წყეული!“

..ხუთი საათის განმავლობაში მისდევდნენ ვეშაპს... იგი ხან მარჯვნივ უხვევდა, ხან მარცხნივ, ხან წყალში ჩაყვინთავდა, ხანაც ზედაპირზე ამოცურდებოდა. მისი დევნით დაიღალა ეკიპაჟი, დაიღალა, ოფლად გააღვარა მებარჯე. მაინც არ ანებებდა თავს. არც ვეშაპი აპირებდა დანებებას. საათი საათს მისდევდა, ბოლოს, ხუთსაათნახევრის დევნის შემდეგ, რეზომ, როგორც იქნა, გამონახა შესაფერისი მომენტი და ზუსტად სტყორცნა ბარჯი.

შხუილით შეიჭრა ვეშაპის სხეულში სამოცდაათილოგრამიანი ბარჯი. ეს როგორ გამიბედესო და გადაირია ზღვის გოლიათი. გააფთრდა და მთელი გამძვინვარებით გაიწია წინ. კაპრონის თოკი დაჭიმა. საჭირო იყო სწრაფი მანევრირება და მიყოლა... კიდევ ერთი საათის დევნის შემდეგ ოკეანის უზარმაზარი მოზინადრის უსიცოცხლო სხეული მძიმედ



ირწეოდა ოკეანის ტალღებზე.

— საბაზო გემზე ძლივს ავითრიეთ უზარმაზარი ვეშაპი, — გვიყვება რეზო. — ღვი ასორმოცდაათ ტონას იწონიდა და ოცდაცხრა მეტრი სიგრძის რძე ჰქონდა.

— თუ არსებობს ამაზე დიდი ვეშაპი? — ვეკითხები მე.

— არა მგონია!... ყოველ შემთხვევაში, ეს იყო ყველაზე დიდი ვეშაპი, რომელიც ჩემი ანტარქტიკაში ყოფნისას მომიკლავს.

— არც სხვებს მოუკლავთ, არა?

— არა, ამოდენა არასოდეს! ყველაზე დიდი ვეშაპი, რომელიც 1930 წელს მოუხადირებიათ, 130 ტონას იწონიდა თურმე, მისი ჩონჩხი ახლა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ვაშინგტონის ეროვნულ მუზეუმშია გამოფენილი... არა, ის რაღაც არაჩვეულებრივი ეგზემპლარი იყო, როცა საბაზო გემზე ვეშაპი ელექტროხერხებით გადახერხეს, მის კუჭში რვა-ფეხას ნაწილები აღმოჩნდა.

— რა სიმიძღაერისაა ვეშაპი?

თითქოს იხსენებსო, ფიქრდება და მერე ამბობს: — ამ კითხვაზე რომ პასუხი გავცეთ, საჭიროა, ერთი ასეთი შედარება მოვიყვანოთ: იმისათვის, რომ შეამაგროო ჩვეულებრივი სიდიდის ვეშაპი, საჭიროა 30-35 ვაგონიანი შემაღვენლობის შესაჩერებელი მუხრტუკი.

ვეშაპზე მონადირეები მოკლულ ვეშაპს მსხვილი კაპრონის თოკებით ამაგრებენ გემის კორპუსზე და ნადირობის დამთავრების შემდეგ საბაზო გემზე მიათრევენ, სადაც იწყება მისი დამუშავება და გადამუშავება.

ბევრ საინტერესო და გასაოცარ ამბებს ყვებიან ჭკვიან და რომანტიკულ ცხოველებზე — დელფინებზე, რომელთაც ბევრჯერ უხსნიათ აღამიანები მოულოდნელი ხიფათისა და განსაცდელისაგან.

— ამ რამდენიმე წლის წინათ ჩვენს გემს დელფინთა ჯგუფი შემოეჩვია, — გვიყვება რეზო, — ისინი წინ მიუძღვებოდნენ ჩვენს გემს, თამაშობდნენ ტალღებზე, სულაც არ უფრთხოდნენ მეზღვაურებს. ყველაზე უფრო მაინც ერთი, ყველაზე დიდი დელფინი აქტიურობდა. როცა იგი გამოჩნდებოდა ტალღებზე, ჩვენ უკვე დანამდვილებით ვიცოდით, რომ მახლობლად ვეშაპი იმყოფებოდა. რამდენჯერაც არ გავემართეთ დელფინის მიერ ნაჩვენები მიმართულებით, ყოველთვის ვეშაპს გადავეყარეთ. დელფინი, თითქო ჩვენს სურვილებს გებულობსო, მიგვიძღვებოდა წინ და აიძულებდა ვეშაპს წყლის ზედაპირზე ამოცურებულყო. დელფინების დახმარებით ჩვენ ადვილად ვნადირობდით ვეშაპებზე... ამხანაგები ხშირად მეზუმრებოდნენ ხოლმე: — რა გენაღვლება, ბედი გწყალობს, დელფინებიც კი გენმარებიან ვეშაპების მონადირებაშიო.

ბევრი მოსწავლე აღუზრდია ბათუმელ მებარჯეს, ბევრისათვის ეს ნერგავს რეზოს ამ მეტად საპატიო და ვაჟკაცური პროფესიის შესრულებას. მისი ყოფილი მოსწავლეები ახლა წარმატებით მუშაობენ მსხვილ და მონადირე ფლოტილის სხვადასხვა გემებზე და განაგრძობენ თავიანთი მასწავლებლის სახელოვან საქმეს.

რეზომ წარმატებით შეურწყა ერთმანეთს სწავლა და შრომა. მან წარმოებისაგან მოუწყვეტლივ ბათუმის საზღვაო სასწავლებლის გემთწამყვანის დაუსწრებელ განყოფილებაზე შეიტანა საბუთები და შორეული ნაოსნობის შტურმანის დიპლომი მიიღო.

— რა საოცრად მალე გავიდა დრო, — ამბობს რეზო და მზერას ერთ ამოჩემებულ წერტილს აპყრობს: — თითქოს გუშინ იყო მუშაობა რომ დავიწყე და ოცდაორი წელი ჩამადნა ხელში... თითქოს დავბერდი უკვე.

— რა დროს ეგაა! — თითქოს ვამშვიდებდე, ისე ვეუბნები.

— თუ რა დროსაა, ნახე აგერ! შვილი მომესწრო უკვე. გუშინ სკოლაში დადიოდა, დღეს კი სტუდენტია.

შვილი მართლაც მოესწრო რეზო დობორჯგინიძეს... რა თქმა უნდა, დედას სულ სხვა პროფესია სურდა შვილისათვის, ასე ვთქვათ, უფრო მშვიდობიანი, მაგრამ გია ასე როდი ფიქრობდა. მას უკვე კარგახანია მოეხდინა არჩევანი, რომელსაც არავის არ ანდობდა. მან მამის ხიფათით აღსავსე, მაგრამ ვაჟკაცური გზა აირჩია — მაინცდამაინც მეზღვაური უნდა გავხდეთ, დაიჩემა და ბათუმის საზღვაოსნო სასწავლებელს მიაშურა.

— ალბათ უკმაყოფილო არა ხარ შვილის არჩევანით, არა? — ვეკითხები.

— არა, ნამდვილად არაა ცუდი არჩევანი! თანაც, გია უკვე დიდია და იცის, რისკენაც ისწრავებს.

სალაპარაკო თითქოს შემოგველია, მაგრამ კიდევ რაღაცაა სათქმელი, კიდევ რაღაცაა შესაკითხი. ასე ვთქვათ, კულის მოსასკენელად.

კარგახანს ვდუმვართ ორივენი. ბოლოს იგი არღვევს მყუდროებას, თავს ჩემკენ აბრუნებს და მოულოდნელად მეკითხება: — მობი დიკი წაგიკითხავს?

უხმოდ ვუქნევ თავს და, თანაც, მივირის, ეს რამ გაახსენა-მეთქი!

— რამდენჯერმე წავიკითხე... დიდებული წიგნია. ყველამ უნდა წაიკითხოს იგი... დაბოლოვება მაინც რა ძლიერია, რა ყოვლისმომცველი, რა გასაოცარი — თვალებს ხუჭავს და განაგრძობს: — „ანძებზე კი სიგიჟის, ერთგულებისა თუ ბედის გამო ისევ იდგა სამი მზვერავი — სამი წარმართი მებარჯე... ინდიელი გროტ — ანძაზე იდგა. ახლა კი წყალზე გროტ-ანძის რამდენიმე დიუმიდა მოჩანდა მხოლოდ, მოჩანდა აგრეთვე გრძელი, აფრიალებული ალაში, მომაკვდინებელ ტალღებთან შესმატ-

კბილებული წყნარად და თითქოს დამცინავად რომ ლიეღივებდა, თანაც ამ ტალღებთან შეხებას აღარაფერი უკლდა... და იმავე წამს, როგორც სტალილა დამოშმინდა, ჰაერში აღიმართა წითელკანიანი ხელი, ეჭყმეჭყმეჭ ჩაქუჩი ეჭირა. ხელი ცდილობდა, კიდევ უფრო საიმედოდ მიეჭყმეჭყმინა ალაში ანძის კენწეროზე, რომელიც სწრაფად იძირებოდა... — თვალებს ახელს და ჩურჩულით იმეორებს: — „საიმედოდ მიეჭედებინა ალაში ანძის კენწეროზე, რომელიც სწრაფად იძირებოდა“... დიდებული რამეა ეს, რამოდენა რწმენაა. არა, რწმენის გარეშე არ უნდა იცოცხლოს ადამიანი.

მართლაც, რწმენის გარეშე რომ აღარაფრის გაკეთება არ შეიძლება, — კარგად იცის ეს ჭეშმარიტება ბათუმელმა მებარჯემ.

ეძახიან. დგება, ხელს მართმევს და კმაყოფილი გამომეტყველებით მიდის. შიაბიჯებს დინჯად და თანდათან მშორდება. გავსცქერი მიმავალს და მოულოდნელად ძველი ბერძენი ფილოსოფოსის თაღესის სიტყვები მახსენდება:

— „ყველაზე მეტად რა აამებს კაცსა?

— მიღწევა სასურველისა!“

ჰოდა, სასურველი მიღწეულია, დიდი შრომის, დიდი ჯაფის შემდეგ სასურველი მიღწეულია უკვე და სწორედ აქედანაა ეს კმაყოფილებაც ალბათ.

აღიქსანერე გოგონიძე

ქართული ენის საგანძური

„ვეფხისტყაოსნის“ შემდეგ საქართველოში არც ერთ წიგნს არ მოუპოვებია ისეთი პოპულარობა და ხალხის სიყვარული, როგორც „დედაენამ“ მოიპოვა. ამიტომ სავსებით კანონზომიერია, რომ ორივე წიგნი ჩვენი ერის მუდმივი, განუყრელი თანამგზავრი გახდა.

გამოჩენილი მოაზროვნეები ყოველთვის იბრძოდნენ მშობლიური ენის უფლებების დასაცავად, მაგრამ მისი სრული განხორციელება მხოლოდ ლენინური ეროვნული პოლიტიკის გატარებით გახდა შესაძლებელი. ჯერ კიდევ 1903 წელს პარტიის მეორე ყრილობაზე ლენინის მიერ შემუშავებულ პროგრამაში, რომელიც ყრილობამ მიიღო, მერვე მუხლში ხაზგასმულია „მოსახლეობის უფლება, მიიღოს განათლება მშობლიურ ენაზე, რაც უზრუნველყოფილი იქნება ამისათვის საჭირო სკოლების შექმნით სახელმწიფოსა და თვითმმართველობის ორგანოების ხარჯზე“.

ტომბრის რევოლუციის გამარჯვების შედეგად შეიქმნა პარტიული პროგრამის ამ მოთხოვნის ხორცშესხმის რეალური შესაძლებლობა. ამიტომ მერვე ყრილობაზე მიღებულ ახალ პროგრამაში დასახულია „ერთიანი შრომის სკოლის პრინციპების სრული განხორციელება, დედაენაზე ერთავე სქესის ბავშვთათა სწავლება“. სოციალიზმის გაპარჯვებამ ჩვენს ქვეყანაში უზრუნველყო პარტიის პროგრამის ამ მოთხოვნის წარმატებით განხორციელება.

ამ დიდ ბედნიერებას ვერ მოესწრნენ ჩვენი სახელოვანი მამულიშვილები, სამოციანელები ილია, აკაკი, იაკობ გოგებაშვილი და სხვები, მაგრამ მათ თავის დროისათვის ძალიან ბევრი გააკეთეს მშობლიური ენის პრინციპების დასაცავად, მისი განვითარებისათვის. ვ. ი. ლენინი გვასწავლიდა, რომ წარსულის დამსახურება ფასდება არა იმის მიხედვით თუ რა არ მოუცილათ გამო-

ჩენილ მოღვაწეებს, არამედ იმის მიხედვით, თუ რა მოგვცეს მათ ახალი თავიანთ წინამორბედებთან შედარებით. ამ მეთოდოლოგიური პოზიციიდან თამაშად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფასდაუდებელია ამაგი იაკობ გოგებაშვილისა, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლის მიზნად დაისახა მშობლიური ენის პრინციპების დაცვა, სკოლებში დღე-ღეობაზე სწავლების განხორციელებიანათვის თანამდევრული და მედგარი ბრძოლა. ამ ბრძოლის სიმწვავეს ადვილად წარმოვიდგენთ, თუ რამდენიმე სტატისტიკურ მონაცემს მოვიტანთ: ცარიზმის რეაქციული პოლიტიკის შედეგად საქართველოში ქართული სკოლების რიცხვი თანდათან მცირდებოდა: თუ 1879 წელს 17,9 პროცენტს შეადგენდა, შემდგომ წლებში თანდათან იკლო და 1891 წლიდან თითქმის მთლიანად მოიშალა. ასევე მცირდებოდა ქართველ მასწავლებელთა რიცხვი. 1907 წლიათვის თბილისის და ქუთაისის გუბერნიებსა და ბათუმის ოლქის ყველა საშუალო სასწავლებელში მუშაობდა 877 მუშაკი, მათ შორის ქართველი 160 იყო. ამათგან დირექტორისა და მასწავლებლის ადგილი მხოლოდ 66 კაცს ეჭირა.

დღეაენის გამოძევებას სკოლიდან, ქართული ენის შევიწროებას იაკობ გოგებაშვილი დამღუბველად თვლიდა ჩვენი ერისათვის. იგი, უშინსკის სიტყვების

მოშველებით, წერდა: „წაართვით ხალხს ყველაფერი და მას შეუძლია კვლავ დაიბრუნოს იგი“. მაგრამ წაართვით ხალხს უნდა ვერასოდეს ვეღარ შექმნის ხალხს შეუძლია თვით ახალი სამშობლოს შექმნა, მაგრამ ენისა კი არასოდეს; მოკვდა ენა ხალხის ბაგეზე და მოკვდა თვით ხალხიც...“

იაკობ გოგებაშვილმა შემდგომ განავითარა უშინსკის იდეები მშობლიური ენის მნიშვნელობის შესახებ ერის ცხოვრებაში: „ერის განვითარება, — წერდა იაკობი, — პირდაპირ დამოკიდებულია ენის განვითარებაზე... თუ ენა წინ მიდის, დღითი-დღე იფურჩქნება, ვითარდება, მდიდრდება ფორმებით, ერის აზროვნებაც წელში იმართება, ძალღონეს იძენს, აყვავების ხანა უდგება“. დიდ პედაგოგს სწამდა, რომ დღე-ღეობა ღრმად აქვს გაძდგარი ფესვები ადამიანის ტვინში, ნერვებში, ხმის ორგანოებში, ძვალსა და რბილში, მთელს მის ბუნებაში; იგი არის ძვირფასი იარაღი, რომელიც ბუნებას ზედ გამოუჭრია ადამიანის სულსა და ხორცზე, მის ფსიქოლოგიურსა და ფიზიოლოგიურ აგებულებაზე. ამიტომ გოგებაშვილის აზრით, „სკოლა, რომელიც აგებული არ არის დღე-ღეობაზე, ხალხის ცხოვრებაში ვერ გაიდგამს ფესვებს და ვერ მოუტანს მას სასარგებლო ნაყოფს“.

ადამიანი, რომელიც მოკლებულია დღეაენის ცოდნას, აღნიშნა-

ვდა იაკობი, მოგვაგონებს საბრა-
ლო ობოლს, საწყალ სტუმარს,
რომელსაც არ გააჩნია თავისი სა-
კუთარი სახლი ამ ქვეყანაზე. იგი
მოგვაგონებს ხის მოჭრილ ტოტს,
რომელიც დღეს თუ ხვალ უფუ-
ოდ განმება. იგი შეიძლება დაამ-
ყნან სხვა ხეზე, მაგრამ გაზრდას
ვერასოდეს ეღიროება და ვერა-
სოდეს შეედრება ხეს, რომელსაც
ფესვები ღრმად აქვს გადგმული
წიაღაგში.

მშობლიური ენის პრინციპების
დაცვით იაკობ გოგებაშვილი რო-
დი უარყოფდა სხვა ენის, კერ-
ძოდ, რუსული ენის დაუფლების
მნიშვნელობას ქართველი ახალ-
გაზრდობისათვის. პირიქით, იგი,
რუსული ენის თავად ბრწყინვა-
ლე მცოდნე, ყოველთვის საჭი-
როდ თვლიდა რუსული ენის,
მდიდარი რუსული ლიტერატუ-
რის შეთვისებას. „მხოლოდ
მტერს შეუძლიან ურჩიოს ქართ-
ველებს; შეაქციეთ ზურგი უცხო
ენებსა, დარჩით მარტო დედა-
ენის ამარაო. ეს იქნება მეორე
უკიდურესობა, — წერდა ი. გო-
გებაშვილი, — რუსული ენა მი-
უცილებლად უნდა მისდევდეს
ქართულ ენას როგორც სკოლაში,
ისე სახლობაშიც, და ქართველნი
უნდა ვცდილობდეთ სრულად შე-
ვითვისოთ ეს ენა და მისი ლიტე-
რატურა“. მაგრამ თვით რუსული
ენის საფუძვლიანად დაუფლები-
სათვის, იაკობის აზრით, აუცი-
ლებელია პირველ რიგში მშობ-
ლიური ენის შესწავლა.

იმისათვის, რომ ხორცი შეესა-
თავისი იდეალისათვის, ი. გოგე-
ბაშვილი შეუდგა საშვილომადლო
საქმეს — სასკოლო სახეობის
ნელოების შედგენას. 1865 წელს,
25 წლის იაკობმა გამოსცა „ქარ-
თული ანბანი და პირველი სა-
კითხავი წიგნი მოსწავლეთათ-
ვის“, მის მოჰყვა „ბუნების კარი“
და ხანგრძლივი ძიების შემდეგ,
1876 წელს დაიბადა უბადლო, ჭე-
შმარტივად ეპოქალური მნიშვნე-
ლობის წიგნი „დედა ენა“. კარ-
გად წერდა პროფესორი გ. თავ-
ზიშვილი; „მარტო „დედა ენა“
და „ბუნების კარი“ კმარა იაკო-
ბის სამარადისო ძეგლად ქარო-
ველი ხალხის ისტორიაში“.

მრავლისმეტყველი და სიმბო-
ლურია თვით ამ წიგნის სახელ-
წოდება „დედა ენა“. ქართველი
კაცის ცხოვრებაში ხომ ყველაზე
სათაყვანებელი სიტყვა დედაა,
ამასთან დედა გაცილებით დიდი
ცნებაა, ვიდრე მშობელი. ამის
შესახებ თავის დროზე ილიას
უთქვამს: „ქართველისათვის „დე-
და“ მარტო მშობელი არ არის,
ქართველი ღვიძლ ენასაც „დე-
და-ენას“ ეძახის, უფროს ქალაქს
— „დედა-ქალაქს“, მკვიდრსა და
დიდ ბოძს სახლისას — „დედა-
ბოძს“, უდიდესსა და უმაგრეს
ბურჯს — „დედა-ბურჯს“, სამთა-
კრო აზრს — „დედა-აზრს“, გუ-
თნის გამგებელ მამაკაცსაც კი —
„გუთნის-დედას“ (ტ. III, გვ.
427).

მშრომელი ხალხის ინტერესებს
რომ გამოხატავდა, იაკობმა იმი-

თაც გვაძენო, რომ „დედა ენის“
თავფურცელს წააწერა — „სახალხო
სკოლებისათვის“. ქართული
საანბანო წიგნის ისტორიაში პი-
რველად გაჩნდა ასეთი წარწერა.
ასე იშვა ნამდვილი სახალხო წი-
გნი, რომელზეც ქართველთა
მთელი თაობები აღიზარდა. ამ
წიგნით ჩვენმა დიდმა პედაგოგმა
ჩინი უმღერა კაცუტკაცობას, ხა-
ლხის სიბრძნეს, შრომის სიყვა-
რულსა და პატრიოტიზმის
გრძნობას, ერის შემოქმედებით
წიაღში მთვლემარე პოტენციური
ძალები გამოაღვიძა, შთაბერა მათ
მაცოცხლებელი სული, ახალი
ღრთის იდეალების შესაბამისად
ჩამოქნა იგი და საერთაშორისო
პედაგოგიურ ამაპრეზზე გაიტანა,
რითაც უკვდავებისა და მარად-
რსებობის უფლება მოიპოვა ქა-
რთველი ხალხის გულში.

აღტორის სიცოცხლეში „დედა
ენა“ 33-ჯერ გამოიცა, ის ისწავ-
ლობდა არა მარტო სახალხო
სკოლებში, არამედ სასულიერო
სასწავლებლებშიც, ამიტომ 1886
წლიდან წიგნის თავფურცელზე
წააწერეს — „სკოლებში სახმა-
რიბლად“, რაც „დედა ენის“ ავ-
ტორიტეტის შემდგომ ზრდასა და
პოპულარობას მოწმობს.

„დედა ენა“ ი. გოგებაშვილის
ორიგინალური შემოქმედების ნა-
ყოფია. მართალია, მან წიგნის
შედგენისას გაითვალისწინა და
გამოიყენა მსოფლიო პედაგოგი-
ური აზრის მიღწევები, მაგრამ
აგი საკუთარი ინტუიციით მივიდა

ანბანის სახელმძღვანელოს წიგ-
ნის იმ პრინციპების აღმოჩენა-
მდე, რომლებიც რუსეთის
გერმანიის სინამდვილში
დამკვიდრებული. „დედა ენის“
საანბანო ნაწილის ღირსება იბი-
ცაა, რომ ავტორი წერა-კითხვის
სწავლებას იწყებდა კითხვაში ვა-
რჯიშით, მაშინ როცა კ. უშინსკი
უპირატესობას წერით დაწყებას
აძლევდა. ცხოვრებამ საგნებით
დაადასტურა, რომ აქ იაკობის მი-
დგომა უფრო მართებული იყო.

იაკობი დღენიადაც, გამუდმე-
ბულად, თითქმის ოთხი ათეული
წელი ხვეწავდა და აუმჯობესებ-
და თავის სახელმძღვანელოებს,
ფეხდაფეხ მისდევდა პედაგოგიის
განვითარებას, და ყოველი სიკე-
თით, რაც ამ განვითარებას მოს-
დევდა, ამდიდრებდა და ამშვენი-
ბდა თავის სახელმძღვანელოებს.
დიდმა პედაგოგმა კარგად იცოდა
ბავშვის ბუნება, იცოდა რა მიი-
ზიდავდა, გაახარებდა და ცოდ-
ნის წყურვილს აღუძრავდა ბავ-
შეებს. ამაზე მეტყველებს „დედა
ენაში“ შეტანილი პატარა მოთხ-
რობები: „ყმაწვილი და პეპელა“,
„ბუდე“, „ოფოფი“, „მერცხალი“,
„კურდღელი“ და სხვა. „დედა
ენაში“ შეტანილია ჩვენი სამშო-
ბლოს სინამდვილის ამსახველი
სურათები, უმთავრესად ცხოვე-
ლთა და მცენარეთა სამყაროდან.
165 სურათიდან უმეტესობა სა-
ქართველოს ბუნებიდანაა აღებუ-
ლი. ასევე დიდი ყურადღებით
აჩრის შერჩეული სავარჯიშოები,

რომლის მასალა იაკობს უმეტესად აღებული აქვს ხალხური სიტყვიერებიდან. „ხალხის შვილი, შუა ქართლში დაბადებული და დაბადებიდან ხალხის კალთაში გაზრდილი“, როგორც თვითონ უყვარდა თქმა, იაკობ გოგებაშვილი, ბუნებრივია, კარგად იცნობდა ხალხური შემოქმედების ნიმუშებს, იცოდა ამ მდიდარი და დაუშრეტელი წყაროს მნიშვნელობა. იგი თვითონ კრეფდა ხალხურ თქმულებებს, ზღაპრებს, ანდაზებს, ლექსებს, არაკებს, წმენდდა ლიტერატურულად, ხეყვავდა ენობრივად და ბავშვის ბუნების გათვალისწინებით შექმნიდა „დედა ენაში“. ამ საქმეში იგი იზიდავდა ცნობილ პოეტებსა და მწერლებს, უფრო მეტად კი აკაკის. „დედა ენაში“ დაბეჭდილი ყოველი მოთხრობის, ლექსისა და ხალხური შემოქმედების სხვადასხვა ნიმუშის ძირითადი დანიშნულებაა აღზარდოს მოსწავლეებში მსურველ სიყვარული სწავლისადმი, შრომიანადმი, მშობლიური ბუნებისადმი. მშობლიური ხალხისადმი, ზრდიდეს მტკიცე ნებისყოფის, ხასიათის, ჰუმანურობის, სამშობლოსათვის თავდადების გრძნობას და ადამიანობის ყველა თვისებას (დ. ლორთქიფანიძე).

იაკობი არ შემოფარგლულა წერა-კითხვის სწავლებითა და სავარჯიშოებით, მან გამოსცა „დედა ენის“ მეორე ნაწილი „საკითხავი წიგნი ანბანის შემდეგ

ორი წლის სრული კურსით“ - „დედა ენის“ ორივე ნაწილი „ბუნების კარი“ და ბოლოს „სკოე სლოვო“ ერთიანად ქსში ქმნიდა სახელმძღვანელოთა სისტემას. რომლითაც იაკობ გოგებაშვილი უდიდეს კეთილისმყოფელ გავლენას ახდენდა „ახალი ტიპის ქართველის“ ფორმირებაზე, ებრძოდა სიზარმაცეს, შურიანობას, გაომიპალველობას, თვალთმაქცობას და ცრურწმენას, მზარს უჭერდა და პრობაგანდას უწევდა სამართლიანობას, შრომისპოყვარეობას, კაცურკაცობას, ადამიანობას. ამიტომ იყო, რომ იაკობის სახელმძღვანელოები, პირველ რიგში კი „დედა ენა“, სააწუღლებრივი ტირაჟით ვრცელდებოდა არამარტო სკოლებში, ფართო მოსახლეობაშიც, არამარტო საქართველოში, რუსეთში, თურქეთსა და სპარსეთში. „სახალხო გაზეთის“ ცნობით 1912 წლისათვის „დედა ენა“ გავრცელებული იყო 577 ათასი ცალი, სულ ყველა სახელმძღვანელო გობაშვილისა რუსულ ენაზე გამოცემულთან ერთად—ერთი მილიონ 167 ათასი ცალი, ჭარ კიდევ 1900 წელს, როცა „ივერია“ აჯამებდა ი. გოგებაშვილის წიგნების გავრცელებას, ასკვნიდა: „აგონებ, რომ საქართველოს დაარსებიდან დღემდე ეს პირველი მაგილითია, რომ რომელიმე ქართველის ავტორის წიგნები მოჰფენოდეს ქვეყანას ნახევარი მილიონით და ისიც ავტორის სიცოცხ-

ლის დროს“ („ივერია“, № 73, 1900).

„დედა ენა“ აღწევდა საქართველოს ყველა კუნძულში, ყველა სოფელში, როგორც იაკობი წერდა: „შეისრიალებდა ხეობებში, ადიოდა მთაში და ჰბადებდა მოთხოვნალებსა და სიყვარულს ქართულის მწიგნობრობისას“. უდიდეს როლს ასრულებდა იგი აჭარაში. იაკობ გოგებაშვილი აჭარაში ოსმალთა ბატონობის შედეგების დაძლევაზე და ამ უბედურების და უმშვენიერესი მხარის აღორძინებაში განსაკუთრებულ როლს აჩვენებდა მომავალში ენის გაძლიერებას. იგი პირდაპირ წერდა: „ჩვენს სამშობლოს შემოუერთდა ვეებერთელა ნაწილი საქართველოში, მთლად გამაჰმადიანებულნი, სადაც მტკიცე კავშირის დაწერგვა შეიძლება მხოლოდ ქართული ენის შეწყობით. რომელიც არის ერთადერთი ძაფი, რაზედაც ჰკიდია მისი კავშირი ჩვენს სახელმწიფოსთანო“. იაკობს ახარებდა და კანონიერი სიამაყის გრძნობას გვირგვინს ის ფაქტი, რომ მართალია აჭარის მკვიდრთ ოსმალებმა ძალით მოახვიეს მუსლიმანური სარწმუნოება, მაგრამ „აჭარლებმა ენასა და ეროვნებას არ უღალატეს და თავით ფეხებამდის დარჩნენ ქართველებადო“. დიდი პედაგოგი ალტაყეებით შეხვდა თურქთა უღლისაგან აჭარის განთავისუფლებ-

ბას და ამ ისტორიულ მივლენას არა ერთი თბილი წერილი მიუღწევს, ამასთან თავისი სიყვარული და კეთილშინაობა აჭარის მიმართ „ბუნების კარშიც“ ოსტატურად ჩააქსოვა. ამ წიგნში იგი აჭარაში გიორგი ყაზბეგის მოგზაურობის მასალებზე დაყრდნობით გადმოგვცემს: „აჭარა ბიჭები შეკამჩნიეო. მალე იმათი ყვილ-ხივილი ცხადად მოგვესმა. აჭარლები პირველად ენახე და ვფიქრობდი, ნუთუ ერთმანეთს თათრულად ელაპარაკებოან? ნუთუ საქართველოს არსება აჭარაში გაქარწყლებულა? ბოლოს ახლოს მივედი და, ღმერთო ჩემო, ისევ ქართველები ყოფილან... რა მშვენიერი სახისანი იყვნენ თეთრ-წიოვლნი და ლამაზნი“. შემდეგ... „ვინც კი შეგვხვდა, — აღნიშნულია „ბუნების კარში“ — სულ ტანადი, მზარ-ბეჭიანი და თვალადნი... სუკთა, გაწმენდილი სახე, ცოტა ზოდიდო ცხვირი და შევარდნას შეხედულება“. იაკობი აჭარის მართო ფიზიკურა გარეგნობის დახასიათებით არ იფარგლება. იგი წერს: აჭარელი მარდია, მხნე, გამბედავი; ამას გარდა, საუკეთესო ზნეობითი თვისებები აჭარლებისა არის: მოხუცებულის პატივისცემა, სტუმრის მიგებება, ცნობისმოყვარეობა და დაუღალავი გამრჩელობა“.

ასე აცნობდა სახელოვანი მოძღვარი საქართველოს სხვა კუთხეების შვილებს თავისი ღვიძლი ძმების, სამასწულგანმორებული აჭარის მკვიდრთა ფიზიკურ და სულიერ თვისებებს და აღძრავდა მოსწავლეებსა და ფართო მშრომელ მოსახლეობაში აჭარისადმი ინტერესს, მის მკვიდრთადმი სიპატიისა და საყვარულის, მხარდაჭერის მხურვალე გრძნობას. მაგრამ გოგებაშვილი მარტო ამითაც არ იფარგლებოდა, მან აქტიური მონაწილეობა მიიღო აჭარაში პირველი ქართული სკოლის დაარსებაში. ეს სკოლა ქალაქ ბათუმში გაიხსნა 1881 წელს. დიდი პედაგოგი სამჯერ ჩამოსულა ბათუმში მისი მუშაობის შესასწავლად და დახმარების აღმოსაჩენად. მივლინების ხარჯებზე ყოველთვის უარს ამბობდა და სკოლის სასარგებლოდ ტოვებდა. გარდა ამისა არაერთხელ დახმარებია ბათუმელ მოსწავლეებს პირადი დანაზოგით, ხოლო სკოლაში მესამე მასწავლებლის შტატი მისი ინიციატივით და პირადი თანხის გაღებით შექმნილა. იაკობს ყოველ ჩამოსვლაზე განსაკუთრებით აინტერესებდა, როგორ იზრდებოდა ქართველ მაჰმადიანთა შვილების კონტინგენტი სკოლაში და როგორ მიდიოდა ქართული ენის სწავლება. აქ წამყვანი მისი სა-

ხელმძღვანელოები იყო, რომელსაც არამარტო სკოლაში, ^{ოჯახში} ბშიც იძენდნენ. როგორც დოკუმენტები ადასტურებს, ^{განსაკუთრებით} რებით ფართოდ გავრცელებულა ოჯახებში „დედა ენა“, მას ბევრბიც კი იძენდნენ. წიგნების, მათ შორის „დედა ენის“ გავრცელებაში უდიდესი ღვაწლი მიუძღვის ზაქარია ჭიჭინაძეს.

იაკობ გოგებაშვილი ითვალისწინებდა აჭარის ისტორიულ წარსულს, ამ კუთხის თავისებურებებს და ცდილობდა თავისი სახელმძღვანელოები შესაბამისად ვადამუშავებინა. ამიტომ იყო, რომ მან დიდი ცვლილებები შეიტანა „დედა ენაში“, განსაკუთრებით მის პირველ ნაწილში, რომელსაც იგი „პატარა დედა ენა“ უწოდებდა. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი პიროვნება მაინც უსაყვედურებდა იაკობს, „დედა ენა“ მაჰმადიანი ბავშვებისათვის არ გამოდგებოდა. იაკობი დასაბუთებულ პასუხს აძლევდა: „ბარე ცხრა გამოცემა დაიბეჭდა და გაიყიდა პატარა „დედა ენისა“ და არც ერთ მათგანში აღარ ყოფილა არც ჭვარი, არც ეკლესია და არც სხვა კუთვნილებანი ქრისტიანული ეკლესიისა... თვით მეორე ნაწილი „დედა ენისა“ საცესებით არის მოკლებული არამც თუ საეკლესიო, არამედ სარწმუნოებ-

რივ ელემენტსა. ეს იმ განზრახ-
ვით, რომ წიგნს მიმზიდველი ხა-
სიათი ჰქონდეს ქართველ მაჰმა-
დიანათებსა“. იაკობმა ანგარიში
გაუწია ქართველ მაჰმადიანებს
და სხვა ცვლილებანიც შეიტანა
„დედა ენაში“. მაგალითად, რაფ.
ერისთავის ლექსი „გუთანო“ ასე
იწყებოდა: „გუთანო ქრისტეს ნა-
კურთხო“. იაკობმა სახელმძღვა-
ნელოში ასე დაბეჭდა: „გუთანო
უფლის ნაკურთხო“. ამ ცვლილე-
ბებით გამოიგზავნა იგი აჭარაში,
ასევე გაიგზავნა სტამბოლსა და
ფერეიდანში. იაკობი ამოზე წერს:
„ათასი ეკემბლარი „დედა ენა-
სა“ მოიფინა სტამბოლსა და მცირე
აზიის მაჰმადიან ქართველებ-
ში და არც ერთ კორესპონდენტს
არ შეუმჩნევია მცირეოდენი უკ-
მაყოფილებაც კი“ (ტ. 5, გვ. 750).

ბათუმის ქართული სკოლაწერა-
კითხვის გამავრცელებელმა საზო-
გადოებამ გახსნა, შემდეგ ეს საქმე
გააგრძელა ქართულმა საქველმო-
ქმედო საზოგადოებამ, რომელსაც
1916 წელს აჭარის სოფლებში 7
ქართული სკოლა გაუხსნია. ყვე-
ლა მათგანში წამყვანი იაკობ გო-
გებაშვილის სახელმძღვანელოე-
ბი იყო. მაგრამ ისტორიული ავ-
ბედითობის გამო მშობლიური
ენის სწავლება აჭარაში საბჭოთა
ხელისუფლების პირობებშიც არ
რამდენადმე რთული გზით მიმდი-
ნარეობდა. მიუხედავად იმისა,

რომ საქართველოს რევკომმა
1921 წლის 15 აპრილს მიიღო
დეკრეტი, რომლითაც უკუწავა
გამოიყო სახელმწიფოსაგან
სკოლა ეკლესიისაგან, ეს დეკრე-
ტი აჭარაში 1924 წლამდე ვერ
განხორციელდა, რადგან დიდი
იყო მაჰმადიანური სარწმუნოების
გავლენა, რომლის დაძლევა ერთ-
ბაშად არ შეიძლებოდა.

1928 წლის ნოემბერში აჭარის
პარტიული ორგანიზაციის მე-11
კონფერენციამ მიიღო გადაწყვე-
ტილება რელიგიური სკოლების—
მედრესეების დახურვის შესახებ.
1928-29 სასწავლო წლის მეორე
ნახევრიდან აჭარის მთელ ტერი-
ტორიაზე უნდა შემოეღოთ საყო-
ველთაო-სავალდებულო სწავ-
ლება ორივე სქესის ბავშვებისა-
თვის 8-დან 14-წლამდე. ამ ღო-
ნისძიებებმა გადაწყვეტი როლი
შეასრულეს აჭარის სკოლებში
მშობლიურ ენაზე სწავლებისა და
განათლების, კულტურის მკვეთ-
რი აღმავლობისათვის. 40-იანი
წლებიდან აჭარის სკოლებში და-
მკვიდრდა საქართველოს ყველა
სკოლაში მოქმედი ერთიანი სახე-
ლმძღვანელოები, დაწყებით სკო-
ლებში კი მშობლიური ენის სა-
ხელმძღვანელოდ მთელს საქართ-
ველოში იაკობ გოგებაშვილის
„დედა ენის“ საფუძველზე შედ-
გენილი, ახალი საბჭოური ცხოვ-
რების გათვალისწინებით შექმნი-
ლი სახელმძღვანელო მოეფინა,
რომელსაც შეუენარჩუნდა ი. გო-

გებაშვილის მიერ შერქმეული სახელი „დედაენა“.

იაკობ გოგებაშვილს პოპულარობა და აღიარება სიცოცხლისი არ მოკლებია, ამაზე მეტყველებს თუგინდ „ბათუმის გაზეთის“ ერთი წერილი, რომელიც 1912 წელს გამოქვეყნდა. იქ ნათქვამია: „რაც უნდა გამოჩენილი პედაგოგი დაიბადოს ჩვენს ქვეყანაში მომავალში, გოგებაშვილი მუდამ დარჩება პედაგოგის მამათავრად და პირველ მოძღვრად... როგორც ყოველმხრივ სამაგალითო ადამიანი. იაკობ გოგებაშვილი არა მარტო სიტყვით იყო დიდი მასწავლებელი თავისი ხალხისა, არამედ პირადი ცხოვრებით. იგი საქმით ამტკიცებდა

თუ როგორი უნდა იყოს ქვეყნის რიტი მამულიშვილი დაეძინოს და მოღვაწე“...
გინგლიძე

მაგრამ იაკობ გოგებაშვილის დანსახურების ქვეყნის რიტი დაფასება მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში გახდა შესაძლებელი, ხოლო დიდი პედაგოგის მდიდარმა მემკვიდრეობამ მხოლოდ საბჭოთა სინამდვილეში ჰპოვა ყველაზე სრული ხორცშესხმა მოზარდი თაობის სწავლებასა და აღზრდაში.

„დედაენა“. ამჟამადაც უდიდეს საგანმანათლებლო-აღმზრდელობით როლს ასრულებს და კეთილისმყოფელ გავლენას ახდენს ახალი თაობის სულიერ ფორმირებაზე.

მამია ვარშანიძე 60 წლისაა

ცნობილ ქართველ პოეტს მამია ვარშანიძეს დაბადების 60 წელი შეუსრულდა. ამ თარიღთან დაკავშირებით საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილების გამგეობამ ღვაწლმოსილ მწერალს მიმართა მისალმებით.



ძვირფასო მამია! საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილების გამგეობა, შენი მეგობრები და თანამოქალაქმენი მხურვალედ მოგესალმებით და გილოცავთ დაბადების 60 წლისთავს.

უკვე ოთხი ათეული წელია, რაც თქვენი გულწრფელი პოეტური ხმა, პატრიოტული მგზნებარებით შემართული თქვენი ლექსები ქართველი მკითხველის კუთვნილება გახდა. თქვენს პირველსავე ლექსებში („კოლექტივში“ და „კომკავშირელი რძალი“), რომელიც 1934 წელს გამოქვეყნდა, მკაფიოდ გამოჩნდა თქვენი პოეზიის ნიშანდობლივი თვისებები — გულწრფელობა და ემოციურობა, პატრიოტიზმი და თანამედროვეობის გამახვილებული გრძნობა. მას შემდეგ თქვენ უანგაროდ, წმინდა გულით, მუხლჩაუხრელად ემსახურებით ქართულ პოეზიას და ბევრი საინტერესო ნაწარმოებით გაამდიდრეთ იგი. ვის არ ახსოვს წრფელი, ფაქიზი პოეტური გემოვნებით აღბეჭდილი თქვენი ლექსები — „დედის ბაღჩა“, „პირველი თოვლი“, „ბათუმი“, „მოდი, ნახე“, „სულ

პატარა მამული მაქვს“, „იავნანა“ და სხვ.

სამამულო ომის მრისხანე დღეებში თქვენ ოთხი წლის განმავლობაში იაოალით ხელში ებრძოდით სამშობლოს მტრებს, თავად იწინიერებდით რისკაცული ცხოვრების სიხარულიც და სიმძიმეც და ნახული თუ განცდილი მხატვრული დამაჯერებლობით ასახეთ თქვენს პირველ წიგნში „მებრძოლის სიმღერები“, რომელიც სანგრებში იწერებოდა.

ამჟამად ოცამდე პოეტური კრებულის ავტორი ხართ. თქვენი წიგნები „სიცოცხლის წყარო“, „ფიცია“, „ჩემი ტაძარი“, „მაღალი ფიქრები“, „იმღერე, გულო“, „ლოდოსი“ და სხვა გაუღენთილია სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულით, სულით და გულით უმღერით ახალ ყოფას, საბჭოთა ხელისუფლებამ რომ დაამკვიდრა აჭარასა და მთელ საქართველოში. თქვენი ვრცელი პოემა „ხიხანის არწივები“ აჭარის ტრაგიკული ბედის ერთი მონაკვეთის პოეტურად ხორცშესხმული მატანეა.

მრავალი თქვენი ლექსი თარგმნილია რუსულ და მოძმე ერების ენებზე.

თქვენ დღესაც ჭაბუკური გატაცებით ეჭიდებით მხატვრულ სიტყვას, ქმნით ახალ ნაწარმოებებს ჩვენს დღევანდელობაზე.

ახლახან გამოქვეყნებული თქვენი საიუბილეო კრებული ლექსებისა და ლირიკული პოემებისა ომახიანი და ფხიანი სიტყვით აუღერებული დიდებული ჰიმნია სიყვარულის, სიკეთის და პატიოსნებისა.

თქვენ მთელი არსებით ჩაბმული ხართ ჩვენი მღელვარე ცხოვრების ფერხულში. წლების მანძილზე მუშაობდით საოლქო გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ განყოფილების გამგედ, აჭარის სახელმწიფო გამომცემლობის დირექტორად, ამჟამად ხართ ყურნალ „ჭოროხის“ პასუხისმგებელი მდივანი და მთელ თქვენს ენერჯიას ახმართ ყურნალის ხარისხის ამალღებას, ლიტერატურის ახალგაზრდა კადრების აღზრდა-დაოსტატებას.

ჩვენო ძვირფასო და საყვარელო მამია!

თქვენი დაბადების 60 წლისთავზე ძმურად და მეგობრულად გართმევთ ხელს და ვისურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს, მარად პოეტურ სიტყაბუკეს და ახალ შემოქმედებით წარმატებებს ჩვენი მშობლიური ლიტერატურის საკეთილდღეოდ.

საქართველოს მფარველთა კავშირის აჭარის ორგანიზაციის გამგეობა.

ყურნალ „ჭოროხის“ სარედაქციო კოლეგია და თანამშრომლები მამია ვარშანიძეს ულოცავენ დაბადების 60 წლისთავსა და უსურვებენ ხანგრძლივ სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, ახალ შემოქმედებით შევართებასა და წარმატებებს.

649/181

ფანე 40 კვვ.



**ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ**

„ЧОРОХИ“

**ОРГАН СОЮЗА СОВЕТСКИХ ПИСАТЕЛЕЙ
ГРУЗИИ И АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ
ИНДЕКС 78118**